N 4 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

N4(107), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე, ნესტან მიქაძე, თამთა კობახიძე, ქეთევან ოსიაშვილი, ნინო ლომიძე, თემურ სუყაშვილი, მარიამ გოდუაძე, ლელა კოტორაშვილი, დიანა ანფიმიადი, მეგი კავთუაშვილი, ნანა აბულაძე, თამთა დოლიძე, მაკა სახურია, ლელა მანგოშვილი, ნათია ნაფეტვარიძე, ირმა ტაველიძე, შორენა ტყეშელაშვილი, ნასტასია არაბული, ინა იმედაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება დაცულია ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.
ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

მასწავლებლის ფიქრი და საზრუნავი თანამედროვე სამყაროს მოქალაქეა. ჩვენს მოსწავლეებს ყოველი ახალი დღე გუშინდელზე განსხვავებულ სამყაროს სთავაზობს. ვიცით, რომ ცოდნა მხოლოდ წიგნებში აღარ ცხოვრობს. დღეს, თითქმის ნებისმიერ კითხვაზე პასუხი ერთ წამში შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ღირებულ პასუხს მაინც ფიქრი და მსჯელობა სჭირდება. თანამედროვე მოსწავლეს მზა პასუხები თითქოს ეხმარება, თუმცა, ამავდროულად, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

დღეს, სკოლა უნდა იყოს სივრცე, სადაც მოსწავლე არა მხოლოდ ინფორმაციას მიიღებს, არამედ შეძლებს ამ ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას და დამუშავებას, გავრცელებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობის აღებას და ინფორმაციის შინაარსზე დამოკიდებულების გამოხატვას. სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებას უკავშირდება, სადაც მოსწავლე იგრძნობს, რომ აქ მისი აზრი მნიშვნელოვანია და მისი განსხვავებულობა – ღირებული.

მოსწავლეების მოლოდინი ისეთი სკოლაა, რომელიც რეალურ ცხოვრებას უკავშირდება და მასწავლებელს, რომელიც უსმენს, უტოვებს სივრცეს კითხვებისთვის და აჩენს მოტივაციას პასუხების ძიებისთვის. ისინი საჭიროებენ განათლებას, რომელიც მათ მომავლისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით უზრუნველყოფს.

ასეთ რეალობაში მასწავლებლის როლი განსაკუთრებულია. ის აღარ არის მხოლოდ ცოდნის გადამცემი – ის, მოსწავლეებთან ერთად, მომავლის მშენებელია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ფიქრი, წავახალისოთ, დასვან შეკითხვები, ვასწავლოთ ანალიზი და არგუმენტირებული მსჯელობა და ეს იყოს გაკვეთილის ბუნებრივი ნაწილი. დავაკავშიროთ გაკვეთილი რეალურ ცხოვრებასთან – პროექტებით, ადგილობრივი და გლობალური პრობლემების მაგალითებით. განვუვითაროთ ციფრული წიგნიერების უნარები – ინფორმაციის გადამოწმება, ონლაინ უსაფრთხოება. ძალიან მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ ტექნოლოგიის ეთიკური გამოყენება. შევქმნათ დიალოგის სივრცე – მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის, საერთო გამოსავლის ძიების. ვიყოთ მოქნილი ახალი მეთოდების, ტექნოლოგიებისა და მიდგომების მიმართ. მუდმივად ვიზრუნოთ პროფესიული ზრდისთვის.

ალბათ, წერილის კითხვისას გაიფიქრებთ, რომ მხოლოდ ვალდებულებისგან შემდგარი ჩამონათვალია და არაფერი მასწავლებლის მოტივაციაზე, მათი წახალისების ფორმებზე, პროფესიის პოპულარიზაციაზე. ამის შესახებ გვისაუბრია და მომავალშიც ვისაუბრებთ. ჩვენს რთულ პროფესიაში პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა. სჭირდება თუ არა ამას დაფასება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – რა თქმა უნდა. როდის და როგორ? ალბათ უცნაურად არ მოგეჩვენებათ, თუკი გეტყვით, რომ ესეც ჩვენზეა დამოკიდებული.

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

4 | მოსწავლეთა კონფერენცია როგორც ინტერდისციპლინური განათლებისა და მულტიმოდალური სწავლების პრაქტიკული სივრცე

მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარება და ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მასწავლებლები მუდმივი ძიების პროცესში არიან და საინტერესო მიგნებებიც აქვთ პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ.

ნესტან მიქაძე

7 | პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობა

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს რეალურ სამყაროსთან აკავშირებს. იგი ემყარება სასწავლო კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს და იმ გამოწვევებს, რომლებიც სასწავლო პროცესს უფრო პროდუქტიულს და მიზანმიმართულს გახდის.

ნინო ლომიძე

21 | გამოყენებითი პედაგოგიკა – ბავშვების მხარდაჭერა ომიანობისა და შფოთვის დროს

პედაგოგიკაში გვაქვს უმთავრესი პრინციპი – უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა. უსაფრთხოება და ნდობით განმსჭვალული ურთიერთობა. ცოდნის დაგროვება და განათლება – მხოლოდ ამის უზრუნველყოფის შემდეგ. პედაგოგიკის ეს უნივერსალური წესი მშობლებისთვისაც საგულისხმოა.

თემურ სუყაშვილი

24 | ქართული ემიგრაცია და მისი სირთულეები

ემიგრანტები ემიგრაციის პირველივე ეტაპზე მრავალ სირთულეს აწყდებიან. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ენობრივი ბარიერია. ახალ ქვეყანაში ინტეგრაცია ენის ცოდნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ხშირად იწვევს იზოლაციას და კომუნიკაციის პრობლემებს.

მარიამ გოდუაძე

26 | ერთი აქტივობა და რესურსი ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე და სხვა ბავშვებისთვის

ტიპური თუ ატიპური, ენობრივი განვითარების დარღვევის, აუტიზმისა და სხვა მდგომარეობების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ საჭიროა მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები. კარგი იქნება ამ რესურსებისა და აქტივობების სასწავლო პროცესთან მისადაგება.

მოსაზრება

თამთა კობახიძე

14 | როგორ შევაფასოთ ზეპირმეტყველება – ეფექტური შემაჯამებელი ინსტრუმენტი

ცოდნის შეჯამება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ხოლო შემაჯამებელი დავალების სწორად დაგეგმვა და წარმართვა – მუდმივი გამოწვევა მასწავლებლებისთვის. გამოწვევა მდგომარეობს მის მრავალშრიანობაში, რადგან იგი გულისხმობს არა მხოლოდ კურიკულუმის შესაბამისი დავალების მომზადებას მოსწავლეებისთვის, არამედ თავად ამ დავალების შინაარსის გათვალისწინებას, გარემოს შერჩევას, მოსწავლეთა/მშობელთა ინფორმირებას, სათანადო შეფასების რუბრიკის მომზადებას, პროცესის წარმართვას და შედეგების გაანალიზებასაც.

ნანა აბულაძე

41 | ხელოვნური ინტელექტი – მარტოობის შემვსები?

მანქანა მანქანაა – მას მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების მიბაძვა შეუძლია ჯერჯერობით და არა ჩანაცვლება. შესაბამისად, მარტოობისგან გათავისუფლების განცდა, რომელიც მასთან ინტერაქციისას შეიძლება გაგვიჩნდეს, მხოლოდ ილუზიაა. ამიტომ მეტი ფიქრი გვმართებს იმაზე, ჩვენ, ხელოვნური ინტელექტის მომხმარებლებმა, როგორ ვზიდოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ციფრულ ეპოქაში.

მაკა სახურია

47 | ძნელია მასწავლებლობა

მასწავლებლის საქმიანობა იმსახურებს პატივისცემას, რაც სჭირდება არა მხოლოდ თვით მასწავლებელს, არამედ – და, შესაძლოა, უფრო მეტადაც – მოსწავლესა და მშობელსაც, რომ პოზიტიური თანამშრომლობით სკოლაში რეალიზებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.



დაწყებითი განათლება

ლელა მანგოშვილი

52 | მიზნების დასახვის ადრეულ ეტაპზე სწავლება

დაწყებით კლასებში მიზნის მიღწევის აქტივობები ფოკუსირებული უნდა იყოს საბაზისო უნარების განვითარებაზე, თანამშრომლობის ხელშეწყობასა და პიროვნული ზრდის წახალისებაზე.

ციფრული წიგნიერება

ნათია ნაფეტვარიძე

55 „ეს მე ვარ“, ანუ ნამდვილისა და ყალბის გარჩევის უნარი ციფრულ ეპოქაში

ციფრულ ეპოქაში, ჩვენც ვდგავართ ოთახში, რომელიც სავსეა ასობით „ინფორმაციული ტყუპისცალით“. ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს: ათეულობით სტატია ერთ თემაზე; ფოტოები, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში მეორდება; ვიდეოები, რომლებიც ემოციებს აღძრავს, მაგრამ არასწორად წარმოგვიდგენს სინამდვილეს.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

18 სივრცითი წარმოდგენები როგორც ფსიქიკური განვითარების საფუძველი

ის, რაც ადრეულ ასაკში საკმარისად არ იქნა დაუფლებული, ათვისებული, აუცილებელ და სწრაფ კორექციას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები თანდათან მოიმატებს და შესაძლოა, ბავშვს ხელი შეუშალოს სწავლასა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

გამოცდილება

ლელა კოტორაშვილი

32 წინადადების ძალა

მთავარია, მასწავლებლებმა მთელი გულით დავიჯეროთ, რომ წერილობით აზრის გამოთქმა ყველა მოსწავლეს შეუძლია. მასწავლებლის რწმენა ჯადოსნურად მოქმედებს ბავშვზე. ის ჯერ აზრის ჩამოყალიბებას იწყებს, შემდეგ გვენდობა და ენდობა ჩვენ მიერ შექმნილ გარემოს, ბედავს და ხმამაღლა კითხულობს.

დიანა ანფიმიადი

35 კარიკატურა როგორც განაჩენი

მინდა გაჩვენოთ, როდის და როგორ იწყება მიზანში ამოღებული პიროვნების ათვალწუნება, მის საწინააღმდეგო კამპანია, როგორ თანდათან ხდება მეგობარი მტერი, რა განწირულად ცდილობს ადამიანი გადარჩენას და როგორი ბასრი და შხამიანი ხდება ერთი შეხედვით უვნებელი იარაღი – კარიკატურა.

მეგი კავთუაშვილი

38 სამეურვეო საბჭოს საერთაშორისო მოდელები

საერთაშორისო პრაქტიკით, სკოლის მართვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კუთხით მთელი რიგი განსხვავებებია, თუმცა მათ სკოლის დეცენტრალიზაცია და ავტონომიურობა აერთიანებთ.

გახსენება

თამთა დოლიძე

44 ჩემი ცხოვრების მასწავლებლები

ეს ადამიანები სულ სხვა ამინდით, მოუხელთებელი ჰორიზონტივით შემორჩნენ ჩემს მეხსიერებას. ამ ჰორიზონტისკენ მიმავალი გზა კი მომცრო, უდაბნოშემოკრული წიგნის მესმედში ჩატეულ უზარმაზარ კვერცხის გულზე, უსიერ ტყესავით ამოუხსნელ საიდუმლოსა და ხის ძველი საწერი მაგიდის გარშემო განაბულ ბავშვობაზე გადის.

მაია ფირჩხაძე

მოსწავლეთა კონფერენცია როგორც ინტერდისციპლინური განათლებისა და მულტიმოდალური სწავლების პრაქტიკული სივრცე

მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარება და ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მასწავლებლები მუდმივი ძიების პროცესში არიან და საინტერესო მიგნებებიც აქვთ პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ.

მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარება და ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მასწავლებლები მუდმივი ძიების პროცესში არიან და საინტერესო მიგნებებიც აქვთ პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს მოსწავლის მოტივაციაზე მუშაობა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესის გაღვივება და შემოქმედებითი სამუშაოს წარმართვა, რომლის დროსაც ის ცოდნასაც აიმაღლებს და მრავალმხრივი უნარებიც განუვითარდება.

ასეთი მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევა მოსწავლეთა კონფერენციები. თავისი სტრუქტურით, მიზნებითა და მონაწილეების ჩართულობის ფორმით სასკოლო კონფერენცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა კონფერენციებისგან.

მოსწავლეთა კონფერენციის შედარება სხვა ტიპის სასკოლო აქტივობებთან:

მოსწავლეთა კონფერენციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

1. **შესრულებული სამუშაოს ფართოდ გამოკვეთილი კვლევითი და ანალიტიკური ხასიათი:** მოსწავლეები კონფერენციაზე წარადგენენ **ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ჩატარებულ კვლევებს, მიღწევებსა და შედეგებს,** ხოლო ნამუშევრები ძირითადად აქცენტირებულია მოპოვებული ინფორმაციის გააზრებასა და განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე.
2. ***მოსწავლე არა მარტო ჩართულია კონფერენციის მომზადებასა და მსვლელობაში, არამედ აქტიური პრეზენტატორიცაა,*** *თავად წარადგენს ნამუშევარს აუდიტორიის წინაშე, რაც უვითარებს* ***მეტყველებას, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ის იძენს თავდაჯერებასა და საჯარო გამოსვლებისთვის საჭირო უნარებს.***
3. ***კონფერენციის დროს მოსწავლეები იღებენ მრავალმხრივ შეფასებას როგორც მასწავლებლებისგან,*** *ისე ერთმანეთისგანაც. ეს არის სივრცე ფართო ურთიერთშეფასებისა და მეგობრული კრიტიკისთვის, თანაც ამ*

ფორმატი	მთავარი მახასიათებელი	კონფერენციისგან განმასხვავებელი ნიშანი
გაკვეთილი	სასწავლო მიზანი და წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურა	ძირითადად მართულია მასწავლებლის მიერ და მოსწავლე ნაკლებად არის დამოუკიდებელი.
ოლიმპიადა	საგნობრივი ცოდნის შემოწმება ტესტირების სახით	ნაკლებად არის შემოქმედებითი და კვლევითი მხარეც მწირი აქვს.
პრეზენტაცია	მოკლე გამოსვლა კონკრეტულ თემაზე	შესაძლოა იყოს ერთჯერადი, ზედაპირული, მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირებული.
პროექტის პრეზენტაცია	შედეგზე ორიენტირებული ნამუშევარი	არ არის აუცილებელი, იყოს საჯარო და ნაკლებად არის ფოკუსირებული კვლევაზე.

დროს ფასდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტი, არამედ პროცესიც.

4. ***მოსწავლეთა კონფერენციები ძირითადად მულტიდისციპლინურია** და აერთიანებს რამდენიმე საგანს (ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას, მათემატიკას, ბიოლოგიას, ფიზიკას, სპორტს, ხელოვნებას და ა.შ., რაც იშვიათია სტანდარტულ გაკვეთილებზე).*
5. ***ასეთ კონფერენციებზე მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრეატიული უნარები განსაკუთრებით ვითარდება:** მოსწავლეებს შეუძლიათ, თავისუფლად გამოიყენონ ციფრული რესურსები, ანიმაციები, ხელნაწერები, ინტერაქციისა და ვიზუალიზაციის სხვა ფორმები და საშუალებები.*

გთავაზობთ ანგარიშს იტალიურ სკოლაში განხორციელებული წიგნიერებასა და ღირებულებით განათლებაზე ორიენტირებული მოსწავლეთა კონფერენციისა, სახელწოდებით „ტაო-კლარჯეთი - ჩვენი წილი მემკვიდრეობა“, რომელიც გახლდათ სკოლის პროექტ „წიგნიერება და ღირებულებების“ ნაწილი.

კონფერენციის მიზანი იყო მოსწავლეთა წიგნიერების უნარების განვითარება, ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება (სკოლის ყველა საფეხურისთვის) და ამ კონტექსტში ტაო-კლარჯეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესის გაღვივება (V-XII კლ.). მოსწავლეებმა იმუშავეს ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე წიგნიერებისა და ღირებულებების კონტექსტში, უკეთ გაიაზრეს საკუთარი იდენტობა და აიმაღლეს სამოქალაქო ცნობიერება.

ვინაიდან თანამედროვე მოსწავლეებს ტაო-კლარჯეთის მემკვიდრეობის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ინფორმაცია აქვთ, მათთვის წიგნიერებისა და ღირებულებების განვითარება ისტორიულ კონტექსტში (სულიერება, იდენტობა, კულტურა) გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, საკითხის ამ კუთხით წინ წამოწევა ერთგვარად მამოტივირებელიც აღმოჩნდა.

პროექტს ინტერდისციპლინური ხასიათი ჰქონდა და მასში ჩართული იყო სკოლის თითქმის ყველა კათედრა და კლასი, აქტიურად იმუშავეს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა:

- **გამოიყენეს ნარატიულ მასალასთან მუშაობის მეთოდები** (ისტორიული კვლევის, სახარებისეულ იგავებზე დაფუძნებული ტექსტებისა და ლიტერატურული ნაშრომების დასამუშავებლად);
- **განახორციელეს მრავალფეროვანი შემოქმედებითი აქტივობები:** შექმნეს ელექტრონული და ხელნაკეთი წიგნები; დაამზადეს 3D-მაკეტები (ისტორიული რუკისა და პარხლის ტაძრის), პოსტერები; გააცოცხლეს ძველი ხალხური სპორტული თამაშები და სცენაზე ააჟღერეს ტრადიციული მუსიკალური საკრავები;
- **გამართეს დისკუსია და ფილმის განხილვა**: პროექტის ფარგლებში VII-XI კლასებში განხორციელდა პროექტი **„გრიგოლ ხანძთელი და ჩვენი წილი მემკვიდრეობა“**. სამუშაო გეგმის შესაბამისად, საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში მოსწავლეებმა ერთობლივად გამართეს დისკუსია თემაზე **„რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, რომლის დროსაც** გამოხატეს საკუთარი მოსაზრებები ღირებულებებისა და ეროვნული თვითშეგნების შესახებ.



იდენტობის გაძლიერება
სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება

წიგნიერების განვითარება
კითხვის, წერის, გააზრების უნარები

მემკვიდრეობის შესწავლა
ისტორიული და კულტურული ცოდნა

კონფერენციამ ხელი შეუწყო მოსწავლეებზე ორიენტირებულ სწავლებას, კვლევითი უნარების გააქტიურებას, ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატში გააზრებასა და გადამუშავებას და, შესაბამისად, მულტიმოდალურ სწავლებას.

მოსწავლეები მუშაობდნენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად, მასწავლებლის ფასილიტაციით და მასთან თანამშრომლობით.

კონფერენციაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს კვლევითი და შემოქმედებითი ხასიათის ნამუშევრები:

1. **ინტერაქციული რუკა ტაო-კლარჯეთის შესასწავლად ZeeMaps პლატფორმაზე** (უცხო ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით) **(სურ. 1)**:
   - რუკაზე მონიშნულია ისტორიული ტაძრები, მონასტრები და კულტურული ძეგლები. თითოეული წერტილი შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული ძეგლის შესახებ სხვადასხვა ენაზე: ქართულად, იტალიურად, ინგლისურად, გერმანულად. რესურსი საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს: მოსწავლეს, მასწავლებელს, მნახველს, – ერთი ბმულით მოინახულოს ტაო-კლარჯეთის მემკვიდრეობა თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით.

შეიქმნა რუკის აუდიოგიდიც გერმანულ ენაზე.

სურ. 1.

2. **იმის ამსახველი პრეზენტაციები და ვიდეოვლოგები,** თუ როგორ მუშაობდნენ ამ პროექტზე (იხ. სურათი 2).

სურ. 2.

3. **ელექტრონული წიგნი „ჯავახეთის კრების ქრონიკა“ და ხელნაკეთი წიგნი „უფლის იგავები“** – ეს საინტერესო ნამუშევრები აერთიანებს ინტერაქციულ ელემენტებს, რაც ხელს უწყობს მულტიმოდალურ წიგნიერებას **(სურ. 3)**.

სურ. 3.

4. **3D მაკეტი:**
   - მათემატიკისა და ისტორიის ინტეგრირებით შექმნილი საქართველოს რუკის 3D-მაკეტი, რომელზეც გამოკვეთილია თბილისი-ტაო-კლარჯეთის მარშრუტი და დამონტაჟებულია მოძრავი ტრანსპორტი (რომელიც შეიქმნა სკოლის Stem პროექტის ფარგლებში) (სურ. 4):

სურ. 4.

ისტორიული ძეგლის მაკეტის შექმნა ხელოვნების მიმართულებით (სურ. 5):

სურ. 5.

მოსწავლეთა კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი – ჩვენი წილი მემკვიდრეობა“ წიგნიერების რეალური გამოყენების მაგალითად იქცა.

შედეგები:

- კონფერენციამ ხელი შეუწყო მოსწავლეებზე ორიენტირებულ სწავლებას, კვლევითი უნარების გააქტიურებას, ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატში გააზრებასა და გადამუშავებას და, შესაბამისად, მულტიმოდალურ სწავლებას;
- აჩვენა, როგორ შეიძლება ტრადიციული თემების გაცოცხლება თანამედროვე ფორმით;
- გააერთიანა წარსული, აწმყო და მომავალი; წიგნიერება და ღირებულება მიმართა ერთი საერთო მიზნისკენ: გახდეს მოსწავლე მემკვიდრეობის ღირსეული შემნახველი.

კონფერენციის დასასრულს აქტიურ და წარმატებულ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები. შეიძლება ითქვას, რომ კონფერენცია გადაიქცა ინტერდისციპლინური განათლებისა და მულტიმოდალური სწავლების პრაქტიკულ სივრცედ.

ნესტან მიქაძე

პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობა

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს რეალურ სამყაროსთან აკავშირებს. იგი ემყარება სასწავლო კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს და იმ გამოწვევებს, რომლებიც სასწავლო პროცესს უფრო პროდუქტიულს და მიზანმიმართულს გახდის. პროექტებით მუშაობა ტრადიციულ მეთოდებზე გაცილებით ეფექტიანია. იგი ეწინააღმდეგება მექანიკურ დამახსოვრებაზე მიმართული სწავლების მეთოდს და ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკულ საქმიანობაზე, კვლევასა და ანალიზზე. მოსწავლე ეუფლება პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხშირად ინტეგრირებულია და აერთიანებს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფს. სწავლა-სწავლებისადმი ასეთი მიდგომა ზრდის მოტივაციას და მოსწავლეს ცოდნის დამოუკიდებლად და სიღრმისეულად ათვისებისკენ უბიძგებს.

სკოლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდას მრავალ სიახლესთან მოუწევს ადაპტირება და გაცილებით რთულ გამოწვევებთან შეჯახება, ვიდრე გაკვეთილის მოსმენა ან დავალების შესრულებაა. რეალურ სამუშაო გარემოში საჭიროა პრიორიტეტების განსაზღვრა, დროის ეფექტური მართვა და ჯგუფური თანამშრომლობა. სწორედ ამ უნარების განვითარებას ემსახურება პროექტზე დაფუძნებული სწავლება. პროექტზე მუშაობა ავითარებს ისეთ უნარებს, როგორიცაა გუნდურობა, კვლევის ანალიზი, დროის მენეჯმენტი, პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა, ეფექტური თანამშრომლობა, სამუშაოსთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა, დამოუკიდებელი მუშაობისა და კრიტიკული პროცესების მართვა, ინფორმაციის სინთეზი, მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება, პიროვნული და სოციალური პასუხისმგებლობა, გადაწყვეტილების მიღება, სხვადასხვა პროექტში ჩართვა ან მათი მართვა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებას და სასწავლო პროცესში მისი შესაძლებლობების აქტიურ რეალიზაციას; საშუალებას აძლევს მოზარდს, თავად ამოიცნოს და შეაფასოს რეალურ ცხოვრებაში არსებული გამოწვევები. **პროექტებით მუშაობა სასწავლო პროცესს აკავშირებს საკლასო ოთახის მიღმა არსებულ სამყაროსთან, ის არის ხიდი თეორიასა და პრაქტიკას შორის, ამყარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერს.** სწორედ ამ გზით ხდება სწავლა უფრო მიზანმიმართული და მეტად ეფუძნება მოტივაციას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ ჯგუფური აქტივობა ან შემთხვევით შერჩეული თემის დამუშავება. ეფექტური პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის ინტერესებს, კლასის დინამიკას ან თემის რეალურ საჭიროებებს. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს აქტიურ მონაწილეობას, ღრმა ჩართულობას და ნაყოფიერი დასწავლის გამოცდილებას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არ უნდა შემოიფარგ-

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს რეალურ სამყაროსთან აკავშირებს. იგი ემყარება სასწავლო კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს და იმ გამოწვევებს, რომლებიც სასწავლო პროცესს უფრო პროდუქტიულს და მიზანმიმართულს გახდის.

ლოს მხოლოდ საგაკვეთილო მასალით. ის მოზარდს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა რეალურ კონტექსტში გამოიყენოს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს საგნობრივი შინაარსის ღრმად გააზრებას და მოსწავლის ინტერესის ზრდას, მოტივაციის ამაღლებას. წარმატებული პროექტის განხორციელება მოითხოვს წინასწარ ჩატარებულ კვლევას, ამ კვლევაზე დაფუძნებულ დაგეგმვას და ეტაპობრივ განხორციელებას, პრეზენტაცია იქნება ეს, მოდელი თუ სხვა სახის პროდუქტი.

პროექტებით სწავლებისას მოსწავლე თავად ეძებს გზებს პრობლემის ან საკვლევი საკითხის გადასაჭრელად. მისი მიზანი აღარ არის მხოლოდ სწორი პასუხის პოვნა. ის ხდება პროცესის ავტორი - იკვლევს, აანალიზებს და ქმნის. ამ ტიპის სწავლების წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ მოზარდს აქვს მკაფიო მოლოდინი და მოტივაცია, ეს კი უზრუნველყოფს უფრო დამოუკიდებელ, მიზანმიმართულ და გააზრებულ მუშაობას.

პროექტის იდეა ხშირად იბადება ლექციური, თეორიული საკითხის გააზრებით, მაგრამ პროექტზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს მუშაობას საკლასო სივრცის ფარგლებს მიღმა. მისი ეფექტურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ნაცვლად მზა ფორმულით მოცემულის ზედაპირული გააზრებისა, იპოვოს ამოცანის გადაწყვეტის საკუთარი გზა. მოზარდი ყველაზე ეფექტურად მაშინ სწავლობს, როდესაც დასასწავლი საკითხი უღვივებს ინტერესსა და ფანტაზიას. მნიშვნელოვანია, მოზარდს ჰქონდეს ავტონომია როგორც შინაარსის შერჩევაში, ისე მუშაობის ფორმისა და გზის განსაზღვრაშიც. ასეთი დაინტერესებით შესრულებული სამუშაო კი უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას.

პროექტებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის როგორც აკადემიური, ისე პიროვნული უნარების განვითარებას; აძლევს მას საშუალებას, დაეუფლოს პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებს, გაიღრმაოს თანამშრომლობის უნარები და განივითაროს დამოუკიდებლად მუშაობის პრაქტიკა; ასწავლის პასუხისმგებლობის აღებას, დროის მართვასა და შემოქმედებით აზროვნებას.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლე აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, ის ხდება შემცნობი, კვლევის ავტორი და აღმოჩენის მონაწილე. ასე იქმნება ნამდვილი ინტელექტუალური შრომის გამოცდილება, რაც მოსწავლეს უყალიბებს მიღებული ცოდნის ღრმად გააზრებისა და გამოყენების უნარებს. მოზარდს უვითარდება დამოუკიდებელი აზროვნების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობისა და ინიციატივის გამოჩენის უნარები, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანია XXI საუკუნის ციფრულ სამყაროში.

სასწავლო-კვლევითი პროექტები ხელს უწყობს თანამშრომლობას, რეფლექსიას, პასუხისმგებლობის გაზიარებას და თანატოლებისაგან სწავლას; სწავლა-სწავლების პროცესს უფრო ცხოვრებისეულს, აქტიურსა და დატვირთულს ხდის, ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სწრაფად ცვალებადი, ტექნოლოგიურად გაჯერებული რეალობა.

თანამედროვე ციფრული ეპოქა, რომელსაც სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტი (AI), განათლების სფეროს ახალ გამოწვევებს სთავაზობს. არსებული რეალობის გათვალისწინებით, სასწავლო-კვლევითი პროექტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. **AI-ს ეპოქაში ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია, მაგრამ მისი გააზრება, კრიტიკული შეფასება და ახალ კონტექსტში ჩასმა ის უნარებია, რომლებიც პროექტებზე მუშაობით ყალიბდება.** სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, სასწავლო-კვლევითი პროექტები ახალგაზრდას აქცევს მკვლევრად, შემოქმედებითად მოაზროვნედ, რომელიც მზად არის ინოვაციურ და ცვალებად გარემოში გადაწყვეტილებების მისაღებად. პროექტებზე მუშაობა ავითარებს ციფრულ კომპეტენციებს, რაც უპირობოდ აუცილებელია AI-სთან ეფექტური თანაცხოვრებისთვის.

AI-ს ეპოქაში მეტად მნიშვნელოვანია სწავლა კეთებით. ამ დროს მოსწავლე მხოლოდ დამკვირვებელი კი არა, პროცესის აქტიური მონაწილეა. რეალური ექსპერიმენტების ჩატარება, რეალურ კონტექსტში მოფიქრებული და განსაზღვრული დავალებების შესრულება მნიშვნელოვნად ამაღლებს სწავლების ხარისხს. მოზარდი იძენს ცოდნის გამოყენების ტრანსფერულ უნარებს:

როგორ დაგეგმოს პროცესი, დააფიქსიროს შეცდომა, გააანალიზოს მონაცემები და შედეგი შეუსაბამოს დასახულ მიზანს; ის თავად მიდის თეორიული მასალის პრაქტიკულ გააზრებამდე.

რეალურ ექსპერიმენტებზე დაფუძნებული პროექტი სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა. ის თეორიულ ცოდნას აკავშირებს პრაქტიკულ გამოცდილებასთან და ახალგაზრდას უვითარებს ისეთ უნარებს, რომლებიც აუცილებელია მომავალი წარმატებისთვის. სწავლა კეთებით ქმნის სივრცეს ექსპერიმენტებისთვის, კრეატიული მიდგომებისა და მრავალფეროვანი პასუხებისთვის. ასეთი გამოცდილება კი უკეთესად ამზადებს მოსწავლეს იმ სამყაროსთვის, სადაც ცოდნის უბრალოდ ფლობა საკმარისი აღარ არის, საჭიროა მისი გამოყენება, განვითარება და ინტერპრეტაცია.

თუ შევაჯამებთ, პროექტზე დაფუძნებული სწავლების ეფექტურობა და მნიშვნელობა შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლასიფიკაციით:

- **ავთენტური შეფასება:** პროექტზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას იძლევა, მოსწავლე, ნაცვლად ტრადიციული ტესტირებისა, უფრო ეფექტურად შეფასდეს მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა პრეზენტაცია, პროექტის შედეგის ანალიზი, შექმნილი მოდელი, ესე, პორტფოლიო და სხვა;
- **მოსწავლის მომზადება მომავლისთვის:** პროექტებით მუშაობა მოზარდს აძლევს საშუალებას, დახვეწოს შესაბამისი სასწავლო ტექნიკები, გაითავისოს ის გამოცდილება და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია ცვალებად და კონკურენტულ გარემოში წარმატების მისაღწევად;
- **ცოდნის განმტკიცება პრაქტიკით:** თეორიული მასალის პრაქტიკული გააზრება განამტკიცებს ცოდნას და ხელს უწყობს ნასწავლის სიღრმისეულად ათვისებას. ექსპერიმენტების მეშვეობით მოსწავლე უკეთ ხედავს, როგორ მუშაობს კონცეფცია პრაქტიკაში, რაც სწავლებას უფრო ნაყოფიერს ხდის;
- **კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება:** სასწავლო-კვლევითი პროექტები ხელს უწყობს

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებას და ავითარებს მოსწავლეთა პრაქტიკულ, კვლევით და პრეზენტაციის უნარებს. ქმნის ნიადაგს მოტივირებული, კრიტიკულად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდის ჩამოსაყალიბებლად.

მოზარდის კრიტიკულ აზროვნებას. მას უწევს პრობლემის იდენტიფიცირება, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ექსპერიმენტის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დასკვნების გამოტანა. ამ პროცესში ახალგაზრდა სწავლობს, როგორ გაუმკლავდეს მოულოდნელ სირთულეებსა და მარცხს, რაც უმნიშვნელოვანესი უნარია ნებისმიერ სფეროში საქმიანობისთვის;

- **მეცნიერული მეთოდის გაგება და გამოყენება:** საკვლევ თემაზე მუშაობისას მოსწავლე უშუალოდ ეცნობა და იყენებს ისეთ ნაბიჯებს, როგორიცაა დაკვირვება, კითხვების დასმა, ჰიპოთეზის შემუშავება, ტესტირება, მონაცემთა ინტერპრეტაცია და შედეგების პრეზენტაცია. ეს უნარები ფუნდამენტურია არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არამედ ნებისმიერ სხვა სფეროშიც;
- **პრაქტიკული უნარების გამომუშავება:** ექსპერიმენტული პროექტები ხშირად მოითხოვს სხვადასხვა მოწყობილობისა და ტექნოლოგიის გამოყენებას, ლაბორატორიული აღჭურვილობა იქნება ეს, პროგრამული უზრუნველყოფა თუ საველე ინსტრუმენტები. ასეთი მუშაობით კი ახალგაზრდა იძენს ისეთ პრაქტიკულ, ხელშესახებ უნარებს, რომლებიც მას მომავალში გამოადგება;
- **მოტივაციის ამაღლება და ინტერესის გაღვივება:** სწავლა ხდება უფრო საინტერესო და მიმზიდველი, როდესაც მოსწავლეს აქვს საშუალება, თავად გამოიკვლიოს და აღმოაჩინოს. კვლევა აღვივებს ცნობისმოყვარეობას და ამაღლებს მოტივაციას, რადგან მოზარდი თავად ხედავს თავისი შრომის შედეგს;
- **შეცდომებზე სწავლა და მოქნილობა:** რეალური ექსპერიმენტების დროს ხშირად ხდება, რომ პროცესები ზუსტად დაგეგმილის შესაბამისად არ ვითარდება. ეს გამოცდილება ახალგაზრდას ასწავლის, რომ შეცდომა არა მარცხი, არამედ პიროვნული ზრდის შესაძლებლობაა. ის ეუფლება მოქნილ აზროვნებას და სწავლობს, როგორ დაარეგულიროს და მართოს საკუთარი მიდგომები გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში;
- **კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის გაუმჯობესება:** პროექტებით სწავლება ბუნებრივად გულისხმობს გუნდურ მუშაობას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, მეგობრებს გაუზიაროს იდეები, გაუნაწილოს პასუხისმგებლობა და ითანამშრომლოს მათთან საერთო მიზნის მისაღწევად. ასეთი გამოცდილება ეხმარება ახალგაზრდას, უკეთ გამოხატოს აზრი, თამამად წარუდგინოს სხვებს საკუთარი ნამუშევარი და მიღებული გამოცდილება.

პროექტებზე დაფუძნებული სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ თითოეული მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაში, არამედ ისეთი საზოგადოების ფორმირებაშიც, რომელიც აზროვნებს კრიტიკულად, ეძებს ახალ გზებს და არ ეშინია ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების.

სასკოლო პროექტები შეძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- **სასწავლო-კვლევითი პროექტი:**
  - მოითხოვს საკვლევი საკითხის გამოკვეთას, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას, დამამტკიცებელი და უარმყოფელი არგუმენტების მოძიებას; ჩატარებული სამუშაოს ანალიზს; კვლევის ეფექტური შედეგების მისაღებად საინტერესო მიდგომების მოფიქრებას;
  - ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
- **სოციალური პროექტი:**
  - შეიძლება განხორციელდეს შემდეგ თემებზე: ეკოლოგია, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, სერვისის გაუმჯობესება, სოციალური ადაპტაცია, განათლება, დასვენების ორგანიზება, შემოქმედება და სხვა;
  - სოციალური პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოქალაქეობრივად აქტიურ ჩართულობას, პასუხისმგებლობისა და ემპათიის განვითარებას.
- **როლური ხასიათის პროექტი:**
  - იდეის ან შედეგის უკეთ გადმოსაცემად იგონებენ სიტუაციებს

და დგამენ როლურ თამაშებს, პროექტის თემიდან გამომდინარე, ირგებენ როლებს, მაგ., ლიტერატურული გმირის, ისტორიული პიროვნების, მეცნიერის და სხვ.;

- როლური პროექტები ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და მრავალმხრივი გააზრების უნარს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი პროექტი:

- გულისხმობს ინფორმაციის მოძიებას, კლასიფიკაციას, განხორციელებული სამუშაოების წარმოდგენის ფორმის შემუშავებას, განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის, მაგ., ინტერნეტსივრცეში განთავსებისთვის;
- მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და გაზიარებას; ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, ანალიტიკურ აზროვნებას და კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

შემოქმედებითი ტიპის პროექტი

- არ ითხოვს გეგმის დეტალურ გაწერას, მოვლენები ვითარდება მოსწავლეთა მიდგომებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს აქტივობებისადმი თავისუფალ და კრეატიულ მიდგომებს;
- ხელს უწყობს მოზარდის ფანტაზიის, თვითგამოხატვისა და ინდივიდუალური სტილის განვითარებას. საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, ტექსტი იქნება ეს, ნახატი, ესე, მელოდია, სპექტაკლი თუ სხვა.

პრაქტიკაზე ორიენტირებული პროექტი:

- მსგავსი პროექტის ფარგლებში შეიძლება შეიქმნას რაიმე რესურსი (პლაკატი, პოსტერი, მოდელი), რომელიც გამიზნულია პრაქტიკაში გამოსაყენებლად;
- ხელს უწყობს თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენებას და ავითარებს პრაქტიკულ უნარებს, რაც აუცილებელია ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისთვის.

წარმოგიდგენთ სასწავლო-კვლევითი პროექტის სტრუქტურას:

პროექტის გეგმის დასაწერად საჭიროა რამდენიმე პუნქტობრივი განმარტება:

- **პროექტის ტიპი:**
  - საგნობრივი – მუშაობა მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებში;
  - ინტრადისციპლინური – ერთსა და იმავე საგნობრივ ჯგუფში სხვადასხვა საკითხის ინტეგრაცია;
  - ინტერდისციპლინური – საერთო მიზნის მისაღწევად რამდენიმე საგნის (სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის) შერწყმა;
  - მულტიდისციპლინური – საგნები მონაწილეობენ პარალელურად, ერთმანეთის შინაარსში ჩარევის გარეშე; დისციპლინები შეიძლება გაერთიანდეს როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემო;

პროექტის სახელწოდება
პროექტის ტიპი
საგანი (საგნები)
კლასი
მონაწილეთა ასაკი
პრობლემის ანალიზი
თემა /საკითხები /ქვესაკითხები
სამიზნე ცნება
სტანდარტთან კავშირი
კვლევა (რა ტიპის კვლევას მოიცავს პროექტი)
გრძელვადიანი მიზნები
მდგრადი განვითარების მიზნები
პროექტის მიზნები და ამოცანები
პროექტის ვადები
მოსალოდნელი შედეგები და რისკები
პროექტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო აქტივობები
სასარგებლო ბმულები
გამოყენებული რესურსები

- ტრანსდისციპლინური – საგნობრივი საზღვრების გადალახვა რეალური ცხოვრების პრობლემების გადასაჭრელად.

- **პრობლემის ანალიზი:**
  - პროექტში უნდა განისაზღვროს კონკრეტული პრობლემა და გამოიკვეთოს, რატომ არის ის საგნობრივად ან სოციალურ დონეზე აქტუალური;
  - საჭიროა პრობლემის მიზეზებისა და მისი შესაძლო გავლენის ანალიზი;
  - სასწავლო-კვლევით პროექტებში შესასწავლი პრობლემა შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე სამეცნიერო საკითხის რთულად აღქმას, მის ახსნასა და გააზრებას;
  - რა გზით, რა მეთოდით ჯობია საკითხის მოსწავლემდე მიტანა ისე, რომ გაღვივდეს ინტერესი და გამარტივდეს გააზრება.

- **სამიზნე ცნება:**
  - პროექტის გეგმა უნდა პასუხობდეს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნას;
  - რომელ გრძელვადიან მიზანს (სამიზნე ცნებას) მიემართება პროექტის ფარგლებში განსახილველი საკითხები/ქვესაკითხები.
  - **სტანდარტთან კავშირი:**
  - პროექტში განსაზღვრული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

- **კვლევა (რა ტიპის კვლევას მოიცავს პროექტი):**
  - ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, ანალიზი, ექსპერიმენტის ჩატარება, მოდელზე მუშაობა თუ სხვა პრაქტიკული მოქმედებები;
  - განსაზღვრული უნდა იყოს, კვლევის პროცესში რომელი უნარები განვითარდება. მაგ.: დაკვირვება, კითხვების დასმა, ჰიპოთეზის შემუშავება, მონაცემების ინტერპრეტაცია, დასკვნების გამოტანა, პრეზენტაციის აწყობა, აუდიტორიის წინაშე წარდგენა და სხვა.

- **მდგრადი განვითარების მიზნები:**
  - სასურველია, პროექტში გავაკეთოთ ჩანაწერი, მდგრადი განვითარების რომელი მიზნისკენ არის მიმართული დაგეგმილი სამუშაო;
  - როგორ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანს (ხარისხიანი განათლება, სუფთა წყალი, კლიმატის ცვლილება, კეთილდღეობა ან სხვ.);
  - მდგრადი განვითარების მიზნების გამოკვეთა პროექტს სოციალურ ღირებულებას სძენს.

- **გრძელვადიან მიზნებში** უნდა განისაზღვროს:
  - გრძელვადიან პერსპექტივაში რა ტიპის სასწავლო, სააზროვნო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს პროექტი;
  - როგორ დაეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და შემოქმედებითი მიდგომის გაუმჯობესებაში;
  - რითია ღირებული, რა მნიშვნელობა აქვს მის შინაარსს მოსწავლის

პიროვნული განვითარებისა და რეალურ სამყაროში ორიენტაციისთვის.

- **პროექტის მიზნები და ამოცანები:**
  - საჭიროა განმარტება საერთო იდეისა და მიმართულების თაობაზე – რა მიზანს ემსახურება მუშაობის მთელი პროცესი;
  - ამოცანები, ანუ ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მიზნების მისაღწევად უნდა შესრულდეს;
  - საჭიროა, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, რას უნდა მიაღწიოს პროექტმა შინაარსობრივად, ესგ-სთან მიმართებით, საგნობრივად და უნარების განვითარების თვალსაზრისით.
- **მოსალოდნელი შედეგები და რისკები:**
  - რას ველით პროექტისგან მოსწავლეთა ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების დონეზე (ესგ-ს მიზნების შესაბამისად);
  - რა შესაძლო სირთულეებთან (რისკებთან) შეიძლება დაგვჭირდეს გამკლავება (დროის დეფიციტი, რესურსების ნაკლებობა და სხვ.).
- **პროექტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო აქტივობები:**

  ეს ნაწილი მოიცავს კონკრეტულ ნაბიჯებს, საქმიანობებსა და მოქმედებებს, რომლებიც საჭიროა მიზნების მისაღწევად.
  - შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა;
  - სამუშაო შეიძლება იყოს ექსპერიმენტი, კვლევა, შეხვედრა, პრეზენტაცია, მონაცემების ანალიზი და სხვა;
  - პროექტის იდეისა და გეგმის კლასისთვის გაცნობა;
  - კლასის დაყოფა ჯგუფებად, საქმიანობის გადანაწილება და მომზადება;
  - პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი;
  - განხორციელებული სამუშაოს შეჯამება, პრეზენტაციების განხილვა, დისკუსიები და საბოლოო შეჯამება;
  - პროექტის შეფასება წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკებით.
- **შეფასების რუბრიკები შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ან განმავითარებელი:**
  - სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული;
  - ჰოლისტური - რამდენად მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით: პრეზენტაციის, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, კონფლიქტების მოგვარების, დამოუკიდებლად ექსპერიმენტის ჩატარების უნარები, საიმედოობა, ექსპერიმენტის შედეგის გააზრება, მონაცემებისა და შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და გამოტანილი დასკვნები; პასუხი საკვლევ კითხვაზე – დადასტურდა თუ არა ჰიპოთეზა.
- **ფინანსური მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში პროექტს უნდა ახლდეს ბიუჯეტი:**

რესურსის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ	სპონსორის დახმარება (%)

- **პროექტის რეფლექსია უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:**
  - მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა?
  - რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად?
  - რომელი ვერ განხორციელდა და რატომ?
  - რომელ კომპონენტში იყო პროექტი ყველაზე წარმატებული?
  - რა სარგებელი მიიღეს პროექტის მონაწილეებმა?
  - რა მოითხოვს გაუმჯობესებას და როგორ?
  - მოხდა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესში აქტივობების დამატება და/ან მოდიფიცირება და რატომ?
  - რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავს პროექტზე მუშაობისას?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებას და ავითარებს მოსწავლეთა პრაქტიკულ, კვლევით და პრეზენტაციის უნარებს. ქმნის ნიადაგს მოტივირებული, კრიტიკულად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდის ჩამოსაყალიბებლად. ნებისმიერ პროექტზე მუშაობა ტოვებს სივრცეს ახალი კითხვებისთვის, იდეებისა და მომავალი კვლევებისთვის, რაც სწავლა-სწავლების პროცესის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

თამთა კობახიძე

როგორ შევაფასოთ ზეპირმეტყველება – ეფექტური შემაჯამებელი ინსტრუმენტი

ცოდნის შეჯამება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ხოლო შემაჯამებელი დავალების სწორად დაგეგმვა და წარმართვა – მუდმივი გამოწვევა მასწავლებლებისთვის. გამოწვევა მდგომარეობს მის მრავალშრიანობაში, რადგან იგი გულისხმობს არა მხოლოდ კურიკულუმის შესაბამისი დავალების მომზადებას მოსწავლეებისთვის, არამედ თავად ამ დავალების შინაარსის გათვალისწინებას, გარემოს შერჩევას, მოსწავლეთა/მშობელთა ინფორმირებას, სათანადო შეფასების რუბრიკის მომზადებას, პროცესის წარმართვას და შედეგების გაანალიზებასაც.

ცოდნის შეჯამება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ხოლო შემაჯამებელი დავალების სწორად დაგეგმვა და წარმართვა – მუდმივი გამოწვევა მასწავლებლებისთვის. გამოწვევა მდგომარეობს მის მრავალშრიანობაში, რადგან იგი გულისხმობს არა მხოლოდ კურიკულუმის შესაბამისი დავალების მომზადებას მოსწავლეებისთვის, არამედ თავად ამ დავალების შინაარსის გათვალისწინებას, გარემოს შერჩევას, მოსწავლეთა/მშობელთა ინფორმირებას, სათანადო შეფასების რუბრიკის მომზადებას, პროცესის წარმართვას და შედეგების გაანალიზებასაც. ამ პროცესის დახვეწა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია-ვალიდაციის ნაწილია. ეს ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებმაც ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული შეფასების მეორე მოდელი აირჩიეს და შემაჯამებელი დავალების კომპონენტს მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს.

სტატიაში წარმოგიდგენთ უცხო ენის საგნობრივი ჯგუფისთვის მეტად აქტუალურ თემას, რომელიც ეხება ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასებას მოსწავლეთა მრავალრიცხოვან ჯგუფებში. პრაქტიკული კვლევა, რომელსაც მიმოვიხილავთ, განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, სსიპ 30-ე საჯარო სკოლაში, ინგლისური ენის კათედრაზე, მასწავლებლისა და კათედრის ხელმძღვანელის სალომე ორმოცაძის მიერ და წარმოადგენს სკოლის საჭიროებების იდენტიფიცირების, მასზე ეფექტურად რეაგირების, ინტერვენციების დაგეგმვისა და შემდგომი გაუმჯობესების კარგ ნიმუშს. ის სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს ფოკუსირებული თვითშეფასების ფარგლებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდის მიზნით განხორციელებული მასშტაბური კვლევების ნაწილია. წარმატებული პრაქტიკა შესაძლოა მაგალითის მიმცემი გახდეს ანალოგიური საჭიროების მქონე სკოლისთვის.

პრობლემის მიმოხილვამდე აუცილებელია აღინიშნოს, რომ უცხო ენაში ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასება მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. ენის შესწავლისთვის ზეპირმეტყველების კომპეტენციის მნიშვნელობა დიდია. ის წარმოადგენს კომუნიკაციის უმთავრეს მექანიზმს და მოიცავს არა მხოლოდ გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, არამედ წარმოთქმას, ინტონაციას, ტემპს, რეაქციას საუბრისას და სხვ. მაგალითად, British Council-ის კვლევების მიხედვით, ინგლისსა და შოტლანდიაში ზოგიერთ სკოლაში უცხო ენას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ ენის საკმარისი ცოდნა ან არ გაუვლიათ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ასევე ბევრ მასწავლებელს არ აქვს მეტყველების სათანადო უნარები, რაც ამცირებს მათ თავდაჯერებას და აფერხებს მოსწავლეებთან კომუნიკაციას. ამ პირობებში მასწავლებლები ხშირად გადადიან გრამატიკაზე ორიენტირებულ სწავლების მოდელზე, რაც ხელს უშლის მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ უცხო ენის სწავლებისას ზეპირმეტყველების კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემები მთელ მსოფლიოში აქტუალურია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბარიერები, რომლებიც უკავშირდება ფსიქოლოგიურ დაბრკოლებებს (შფოთვა და ნაკლები თავდაჯერება), ლინგვისტურ სირთულეებს (ლექსიკის სიმცირე და გრამატიკული სისუსტე), გამოთქმასა და ინტონაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და პრაქტიკის ნაკლებობას. პრაქტიკის ნაკლებობა მაინც ერთმნიშვნელოვანად შეიძლება გამოიყოს, რადგან ის წარმოადგენს გასაღებს ფსიქოლოგიურ დაბრკოლებებსა და ლინგვისტურ სირთულეებთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის დროს აქტიურად მიმართავენ დიალოგებს, დებატებსა და სხვა ტექნიკებს, რაც აიძულებს მოსწავლეებს, აზრი უცხო ენაზე გამოთქვან.

მსგავსი პრობლემები შეამჩნიეს მასწავლებლებმა ქალაქ ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლაში 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს. ამ დაკვირვებას ამყარებდა სადირექტორო და დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები და მშობელთა უკუკავშირიც. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს უჭირდა ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული ბარიერების დაძლევა, სხვადასხვა თემაზე აზრის ჩამოყალიბება და სწორი გამოთქმის/ინტონაციის გამოყენება. 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში დაიგეგმა კვლევა მოსწავლეებში ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შემაჯამებელი დავალების ნაწილში ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასებას, რადგან



სკოლა შეფასების მეორე მოდელის მიხედვით მუშაობს.

კვლევაში გამოყენებულ იქნა გამოკითხვა მოსწავლეებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუები მასწავლებლებთან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი დავალების დროს ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასება სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოსწავლეთა სიმრავლის პირობებში ერთი მასწავლებელი საგაკვეთილო დროში ვერ ახერხებდა ამ ტიპის შემაჯამებლის ეფექტურად წარმართვას. გარდა ამისა, შემაჯამებელზე მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ზეპირი კომუნიკაცია შეფასების სანდოობასაც აყენებდა ეჭვქვეშ.

ყველა ზემოაღნიშნული რისკის დაზღვევის მიზნით სკოლამ დაგეგმა ინტერვენცია, რომელიც გულისხმობდა ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასებას ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდების პრინციპით. სკოლამ შეიძინა განსაზღვრული რაოდენობის ყურსასმენები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეს შეეძლო, მოესმინა შეკითხვა. ამის შემდეგ მას უნდა ჩაეწერა პასუხი და აეტვირთა შესაბამის პლატფორმაზე.

ინვენტარის შეძენის შემდეგ ინგლისური ენის მასწავლებელმა სალომე ორმოცაძემ დაიწყო შესაბამისი პლატფორმის ძებნა. განხილულ იქნა ისეთი ვარიანტები, როგორიცაა Sanako Lab 100, Robotel Smart Class, Flipgrid და სხვა. მთავარ მოთხოვნას, კომფორტული ყოფილიყო გამოყენება საკლასო სივრცეში, ყველა პლატფორმა ვერ აკმაყოფილებდა. ზოგი მათგანი ნაკლებად ავტომატიზებული იყო და ხელით მეტ მუშაობას მოითხოვდა. საბოლოოდ შეირჩა ონლაინპლატფორმა Vocaroo, რომელსაც აქვს ფუნქცია, ჩაიწეროს მოსაუბრის ხმა, მოახდინოს მისი გაზიარება ბმულით და ჩამოტვირთოს ჩანაწერი. აღნიშნული პროგრამა ჩაშენდა Google forms-ში. ამავე forms-ში ჩაშენდა ბმული აუდიოფაილისა, რომელიც ატვირთული იყო დრაივზე. ამ ფორმით წარმოდგენილი დავალების წყალობით ტექნიკურად მოხერხებული იყო როგორც მოსწავ-

ნტერვენციის შემდეგ გაანალიზდა მიღებული შედეგები. მსგავსი მეთოდით ზეპირმეტყველების კომპეტენციის შემოწმებას, ტრადიციულთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით - ერთ გაკვეთილზე შესაძლებელია თუნდაც 100 მოსწავლის ჩაწერა, მასწავლებელს კი საშუალება აქვს, მოუსმინოს ჩანაწერს ნებისმიერ დროს.

ლის იდენტიფიცირება, ისე აუდიოფაილებთან წვდომა.

სამიზნე ჯგუფად შეირჩა მე-9 კლასი, სადაც მოსწავლეებს ერთმანეთისგან განსხვავებული ენობრივი კომპეტენციები ჰქონდათ. მასწავლებელმა კარგად მოამზადა კლასი და მისცა დეტალური ინსტრუქცია, როგორ გამოეყენებინათ რესურსი. პლატფორმის მომზადების შემდეგ პედაგოგმა შეარჩია ტესტი, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა ცოდნის ჯამურად შეფასება მე-4 თემატური ერთეულის (Unit) ფარგლებში. შექმნის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ესგ-ის მოთხოვნები და თემატიკა, განსაზღვრული კონკრეტული კლასის საგნობრივი სტანდარტით. ტესტის ამოცანები მომზადდა ისე, რომ მოსწავლეს არ სჭირდებოდა მხოლოდ ტექსტიდან მიღებული ცოდნა. კითხვები დაეფუძნა ცნებებზე (concept-based learning), რაც ითვალისწინებდა შესწავლილი თემის ღრმა გაგებას და არა ზედაპირულ რეპროდუქციას. ასევე შემუშავდა შეფასების რუბრიკა უშუალოდ ზეპირმეტყველების კომპეტენციის შეფასებისთვის.

შემაჯამებლის პროცესი გამოიყურებდა შემდეგნაირად: მოსწავლეს შეჰქონდა Google Forms-ში პირადი ინფორმაცია, კითხულობდა ჩაშენებულ ფაილს, ისმენდა მოსასმენ მასალას და გადადიოდა Vocaroo-ს პლატფორმაზე. შემდეგ წერდა კითხვის პასუხს აუდიოფაილად, აკოპირებდა კითხვის ბმულს და ავსებდა Google Forms-ის შესაბამის ველს. უფრო ცხადად რომ წარმოვიდგინოთ, საჭირო იყო მაუსის მხოლოდ სამჯერ დაწკაპუნება ფაილის მოსმენის შემდეგ: პროგრამის გახსნა, პასუხის ბმულის დაკოპირება და Google Forms-ში ჩასმა.

ინტერვენციის შემდეგ გაანალიზდა მიღებული შედეგები. მსგავსი მეთოდით ზეპირმეტყველების კომპეტენციის შემოწმებას, ტრადიციულთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით - ერთ გაკვეთილზე შესაძლებელია თუნდაც 100 მოსწავლის ჩაწერა, მასწავლებელს კი საშუალება აქვს, მოუსმინოს ჩანაწერს ნებისმიერ დროს. ასევე მინიმუმამდეა დაყვანილი მასწავლებლის მხრივ შეფასებაში ჩარევის რისკი (წახმარება, სიტყვის შეხსენება და ა.შ.). მოსწავლეს შეუძლია, მოუსმინოს საკუთარ ჩანაწერს და გამოიყენოს ის თვითშეფასებისთვის, გააუმჯობესოს შედეგები და იყოს ფოკუსირებული მხოლოდ ლინგვისტურ ხარისხზე. რისკების ნაწილში იდენტიფიცირდა შებოჭილობა, ტექნიკური პრობლემები და ინტერაქციის ნაკლებობა რეალურ გარემოში.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ყველა შემაჯამებელი ვერ ჩატარდება მსგავსი მეთოდით, თუმცა ზეპირმეტყველების უნარის შემოწმებისთვის მნიშვნელოვანი პროგრესი ერთმნიშვნელოვანია.

მომავალი წლისთვის სკოლა გეგმავს პლატფორმის გამარტივებაზე მეტ მუშაობას და სავარჯიშო ჩანაწერების ეტაპის დამატებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადმინისტრაციის მხარდაჭერა და მოტივაცია, რაც არა მხოლოდ თეორიული მხარდაჭერით, არამედ პრაქტიკული ნაბიჯებითაც (პლატფორმის მოძიება და შერჩევა) გამოიხატა. რაც შეეხება მოსწავლეთა უკუკავშირს, სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს მათი შეფასებებიდან:

„ჩემი აზრით, სახალისო იყო, კარგი საშუალებაა ინგლისურის საუბრის დონის ამაღლებისთვის. ყურსასმენების პრობლემა არ მქონია, გარედან ხმა არ ისმოდა, მხოლოდ მცირე ბუტბუტი“.

„მე მომეწონა პროცესი. სასიამოვნო იყო რაღაც ახლის გამოცდა. ჩემთვის ეს უკეთესი იყო, ვიდრე მხოლოდ რაღაც ტესტის წერა. უფრო კარგად შეუძლია მასწავლებელს, გაიგოს ბავშვის ცოდნა, რადგან აქ გადაწერა და რამე ეგეთი არ შეგიძლია“.

„ყველაზე მთავარი ბარიერი უცხო ენაში საუბარია, ამიტომ, ჩემი აზრით, ძალიან კარგი აქტივობა იყო. ცოტა ტექნიკური პრობლემები იყო, მაგრამ რადგან პირველია და სატესტო, მომავალში გამოსწორდება“.

ქეთევან ოსიაშვილი

სივრცითი წარმოდგენები როგორც ფსიქიკური განვითარების საფუძველი

საზოგადოდ, სივრცის შესახებ წარმოდგენები ბუნებრივი, თითქმის თანდაყოლილი გვეჩვენება, რაც დიდი შეცდომაა. ეს წარმოდგენები არავითარ შემთხვევაში არ არის თანდაყოლილი. ისინი ადამიანის დაბადების შემდეგ ყალიბდება და მათი ჩამოყალიბება 7-8 წელი გრძელდება.

სკოლისთვის ბავშვის მზაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს სივრცითი მიმართებების გაგება წარმოადგენს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სასკოლო ასაკის ბავშვს ერევა მარჯვენა და მარცხენა, ზევით და ქვევით. მშობელს უკვირს, რატომ აღვიქვამთამას პრობლემად. ექვსი წლის ბიჭუნას დედამ თავისი გაოცება ასე დაასაბუთა: „მერე რა მოხდა, ჩემი უფროსი შვილი, რომელიც ამჟამად მერვე კლასშია, დღესაც ვერ არჩევს მარჯვენა-მარცხენას. ადრე თუ გვიან ხომ ისწავლის?“ ასეთი მსჯელობა ალბათ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალიან ცოტა ადამიანი დაფიქრებულა იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ადეკვატური სივრცითი წარმოდგენები.

სივრცეში ორიენტაცია, ერთი შეხედვით, თავისთავადი რამაა. ყველა ზრდასრული კარგად ერკვევა ისეთ ცნებებში, როგორიცაა ზემოთ, ქვემოთ, წინ, უკან, უფრო შორს, უფრო ახლოს. მართალია, ზოგიერთს ხანდახან ერევა მარჯვენა და მარცხენა, მაგრამ ეს დასაშვებად მიიჩნევა და მხოლოდ ღიმილს იწვევს.

საზოგადოდ, სივრცის შესახებ წარმოდგენები ბუნებრივი, თითქმის თანდაყოლილი გვეჩვენება, რაც დიდი შეცდომაა. ეს წარმოდგენები არავითარ შემთხვევაში არ არის თანდაყოლილი. ისინი ადამიანის დაბადების შემდეგ ყალიბდება და მათი ჩამოყალიბება 7-8 წელი გრძელდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბავშვი სწავლობს სივრცის, ამ სივრცეში სხვადასხვა საგნის მდებარეობის და ერთმანეთსა თუ საკუთარ სხეულთან მიმართებით გადაადგილების სწორად აღქმას. ის ეუფლება შედარების უნარს და სივრცის პარალელურად შეიმეცნებს ისეთ კატეგორიას, როგორიცაა დრო. ამგვარად ათვისებული ყველა ინფორმაცია საფუძვლად ედება მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგებას, რაც ადამიანს ლოგიკური აზროვნების საშუალებას აძლევს. ერთი სიტყვით, სივრცითი წარმოდგენები, რომლებიც ადრეულ ეტაპზე ყალიბდება, წარმოადგენს ფსიქიკური განვითარების საფუძველს, რასაც შემდეგ დაეფუძნება დანარჩენი უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები. ნებისმიერი დარღვევა ამ პროცესებში პრობლემებს წარმოშობს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განუვითარებელი სივრცითი ორიენტაციის მქონე ბავშვები სირთულეებს განიცდიან ფურცლიდან ტექსტის გადმოწერისას, რადგან შესაძლოა, გამოსახულებას სარკისებურად აღიქვამდნენ, შესაბამისად, უჭირთ ისეთი სასკოლო უნარების დაუფლება, როგორიცაა კითხვა, წერა, თვლა, პრობლემებს ეჯახებიან ლოგიკური და წარმოსახვითი აზროვნების უნარების გამომუშავებაშიც, ამიტომ ბავშვისთვის სივრცითი წარმოდგენების დროული და სწორი ფორმირება ნორმალური ფსიქიკური და გონებრივი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, დღეს ამ მიმართულებით ყველაფერი

ნამდვილად არ გვაქვს რიგზე. საქმე ის არის, რომ სივრცის ნორმალური გაცნობისთვის, იმ წესების ათვისებისთვის, რომლებითაც სამგანზომილებიანი სივრცეა მოწყობილი, აუცილებელია ბავშვის მუდმივი და აქტიური ურთიერთქმედება ამ სივრცესთან. არცთუ შორეულ წარსულში ეს პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობდა – თითოეული ბავშვი მუდმივად იმყოფებოდა სამგანზომილებიან სივრცეში, აკვირდებოდა მას, მოქმედებდა, თამაშობდა, მოძრაობდა. დღეს სამგანზომილებიან სივრცეს გაუჩნდა

უძლიერესი კონკურენტი და, შეიძლება ითქვას, მტერიც კი: ელექტრონული მოწყობილობის ბრტყელი, ორგანზომილებიანი ეკრანი. ის ქმნის სივრცის ილუზიას, სივრცისა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება რეალურისაგან.

ვირტუალურ სივრცეში დიდხანს ყოფნა საშუალებას აძლევს ბავშვს, სწრაფად გამოიმუშაოს ამ სივრცეში ქცევის უნარ-ჩვევები. უფროსები ხშირად ვერ ვმალავთ გაოცებას და აღფრთოვანებას იმით, რომ პატარები ადვილად და სწრაფად ეუფლებიან თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს. ბუნებრივია, ეს ახალი ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მათი მომავალი წარმატებების გასაღებია. მაგრამ ასეთ დროს ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, რომ ვირტუალურ სივრცეში ამ წარმატებას ხშირად თან ახლავს დამახინჯებული წარმოდგენები რეალურ სივრცეზე, მის კანონზომიერებებზე, დროსთან მის კავშირზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ვირტუალურობა არ იწვევს სივრცეში ორიენტაციის უნარის სრულ დაკარგვას, – ჯერჯერობით, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანთა უმრავლესობას საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული სივრცის აღქმა. პრობლემა ის არის, რომ ელემენტარული სივრცითი წარმოდგენები, რომლებსაც ტვინი ჯერ კიდევ მანამდე ითვისებს, სანამ ბავშვი ბრტყელი ეკრანის წინ აღმოჩნდება, ძნელად ვითარდება, ამიტომ სულ უფრო ხშირად გვხვდება დისლექსიის, დისგრაფიის, დისკალკულიის შემთხვევები, პრობლემები იჩენს თავს ლოგიკური აზროვნების განვითარებაში.

იმისთვის, რომ ეს პრობლემები დროულად შევამჩნიოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ადეკვატური სივრცითი წარმოდგენების ფორმირების ეტაპებს.

პირველი ეტაპი (ადრეული ასაკი): სივრცის აღქმას ბავშვი სიცოცხლის უკვე მეოთხე-

ის, რაც ადრეულ ასაკში საკმარისად არ იქნა დაუფლებული, ათვისებული, აუცილებელ და სწრაფ კორექციას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები თანდათან მოიმატებს და შესაძლოა, ბავშვს ხელი შეუშალოს სწავლასა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

მეხუთე კვირას ახერხებს. ამ ასაკის ბავშვს შეუძლია სივრცეში ობიექტების გამოყოფა, მათი გარჩევა. ორი-ოთხი თვის ასაკში ბავშვს შეუძლია ობიექტების მოძრაობისთვის თვალის დევნება. ერთი წლის ბავშვი თავდაჯერებულად განასხვავებს სივრცეში ობიექტებს და მანძილს მათ შორის. ერთი-ორი წლის ბავშვს შეუძლია ორიენტირება საკუთარ თავზე, განასხვავებს საკუთარი სხეულის ნაწილებს. სამ წლამდე ბავშვი აღიქვამს ობიექტებს ერთმანეთთან სივრცითი კავშირების გარეშე. მაგალითად, ის ვერ ხედავს განსხვავებას სურათებს შორის, სადაც ერთი და იგივე საგნები სხვადასხვანაირად არის განლაგებული სივრცეში.

მეორე ეტაპი (3-4 წელი): ყველაზე ადრე ბავშვი გამოყოფს ზედა მიმართულებას, შემდეგ – მის საპირისპიროს, ქვედას. ამის შემდეგ პატარები აცნობიერებენ მიმართულებებს „წინ“, „უკან“, დაბოლოს – „მარჯვნივ“, „მარცხნივ“. ამასთან, სივრცითი მიმართულებების აღმნიშვნელ თითოეულ წყვილში ბავშვი გამოყოფს ჯერ ერთს, მერე კი, მასთან შედარების საფუძველზე, საპირისპიროს ამოიცნობს. სივრცით მიმართულებებს ბავშვი საკუთარი სხეულის ნაწილებთან აკავშირებს. მაგალითად, უკან არის იქ, სადაც ზურგია.

თავდაპირველად ბავშვი საგნის სივრცით მდებარეობას განსაზღვრავს მასთან შეხებით, რადგან მიაჩნია, რომ, მაგალითად, მარჯვნივ არის ის საგნები, რომლებიც უშუალოდ მარჯვენა ხელის გვერდით მდებარეობს. ოდნავ მოგვიანებით ბავშვისთვის საკმარისია ობიექტის მდებარეობის მხოლოდ ვიზუალურად შეფასება. ამ ასაკში ბავშვი ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს მკაფიოდ საგნებს შორის მანძილს. მწკრივად დალაგებისას ის საგნებს ერთმანეთთან ძალიან ახლოს ათავსებს. ცნება „გვერდით“ მისთვის წარმოადგენს სინონიმს ისეთი ცნებისა, როგორიცაა „შეხება“.

მესამე ეტაპი (4-5 წელი): სამყარო, სადაც ბავშვს სივრცეში ორიენტაციის შესაძლებლობა ეძლევა, თანდათან ფართოვდება. პატარას უკვე შეუძლია სხეულის შემობრუნებით და ხელის მიმანიშნებელი მოძრაობით სივრცეში ორიენტირება.

მეოთხე ეტაპი (5-6 წელი): ბავშვს შეუძლია საგნების პოზიციის განსაზღვრა საკუთარ თავთან მიმართებით ნებისმიერ დიდ მანძილზე. ის უკვე კარგად ფლობს სივრცითი მიმართებების სიტყვიერ აღმნიშვნელებს. შეუძლია სხვადასხვა ობიექტიდან ორიენტირება. თავდაპირველად ის იკავებს იმ ობიექტის ადგილს, საიდანაც ორიენტირდება, მერე კი აზრობრივად დგება მოპირდაპირე მხარეს მდგომი ადამიანის პოზიციაში, ანუ 180 გრადუსით შემობრუნდება.

მეხუთე ეტაპი (6-7 წელი): ბავშვს შეუძლია ორი სივრცითი ზონის გამოყოფა, რომელთაგან თითოეულში ორი ნაწილია, მაგალითად, „წინ მარცხნივ“, „წინ მარჯვნივ“. ზონების საზღვრები ბავშვისთვის პირობითი და მოძრავი, მობილურია. სივრცით ორიენტირებას ბავშვები საკუთარი სხეულის ნაწილებთან აკავშირებენ.

ძალიან მნიშვნელოვანია, სივრცითი წარმოდგენების განვითარების თითოეულ ეტაპზე ბავშვი კარგად დაეუფლოს ასაკის შესაბამის ყველა ფუნქციას. თუ შევამჩნიეთ, რომ რაღაც ვერ არის რიგზე: ბავშვი ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რასაც მისი ასაკის ბავშვი უნდა აკეთებდეს, ვერ ახერხებს დროსა და სივრცეში ორიენტირებას, პრობლემები წარმოიშვა ტექსტის აღქმაში, ზეპირმეტყველებაში, თვლაში, – აუცილებლად უნდა დავუკავშირდეთ სპეციალისტს – ბავშვთა ნეიროფსიქოლოგს. ამ სიტუაციის თვითდინებაზე მიშვება არ შეიძლება.

გვახსოვდეს: ის, რაც ადრეულ ასაკში საკმარისად არ იქნა დაუფლებული, ათვისებული, აუცილებელ და სწრაფ კორექციას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები თანდათან მოიმატებს და შესაძლოა, ბავშვს ხელი შეუშალოს სწავლასა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ნინო ლომაძე

გამოყენებითი პედაგოგიკა – ბავშვების მხარდაჭერა ომიანობისა და შფოთვის დროს

ომი, ნგრევა, ქაოსი, ამაფორიაქებელი ამბები ყველა საინფორმაციო არხიდან, სოციალურ ქსელებიდან, ტელევიზორიდან – ამ პირობებში ბავშვებს სჭირდებათ მხარდაჭერა, საყრდენი, ფსიქოლოგიური და ემოციური სტაბილურობის შესანარჩუნებელი ორიენტირები.

როგორ მოვიქცეთ უფროსები ამ შემაშფოთებელ ხანაში?

როგორ შევუქმნათ ბავშვებს უსაფრთხოების განცდა, როგორ დავუჭიროთ მხარი? რა ჯობია: სრულად ავარიდოთ ყველაფერს, შევუზღუდოთ ინტერნეტი და ინფორმაციულ იზოლაციაში მოვაქციოთ?

რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება დღევანდელ დღეს, როდესაც მათ გაჯეტებთან აქვთ წვდომა?

რაკი რამდენიმე კითხვა სწორედ დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების მშობლებისგან მივიღე, ეს რჩევებიც **ამ ასაკობრივი კატეგორიისთვისაა.**

სკოლისწინარე და დაწყებითი საფეხურის ბავშვები და საინფორმაციო ლავა

პედაგოგიკაში გვაქვს უმთავრესი პრინციპი – უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა. უსაფრთხოება და ნდობით განმსჭვალული ურთიერთობა. ცოდნის დაგროვება და განათლება – მხოლოდ ამის უზრუნველყოფის შემდეგ. პედაგოგიკის ეს უნივერსალური წესი მშობლებისთვისაც საგულისხმოა.

პედაგოგიურად გამართლებული მიდგომა ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობისას რამდენიმე ფაქტორს ეფუძნება:

1. ასაკობრივი განვითარების თვალსაზრისით, ამ ასაკში ბავშვებს „არ ეკუთვნით“ იმის გაანალიზება, რაც ხდება, რატომ ხდება; რა გეოპოლიტიკური მიზეზები განაპირობებს მომხდარს; რა გლობალური პროცესები მიმდინარეობს სამყაროში. აბსტრაქტული ანალიზი, ემოციური რეგულაციის მექანიზმები, კრიტიკული მსჯელობის სათანადო დონე ამ ასაკში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, ამიტომ ეს გადამეტებული, დამაზიანებელი ტვირთია მათთვის. მარტივად, მათ არ სჭირდებათ „ფაქტები, სიმართლე და ჭეშმარიტება“, მათ სჭირდებათ სიმშვიდე და სწორი მორალური და ემოციური მხარდაჭერა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უნდა ჩავუხშოთ ინტერესი ან არ ვუპასუხოთ კითხვებზე. ეს ნიშნავს, მივაწოდოთ ცნობები ისე, რომ არ გადავამეტოთ. ნუ დაგვავიწყდება ასაკობრივი განვითარების სპეციფიკა (ამაზე უფრო დაწვრილებით – ქვემოთ).
2. განვითარების ამ ეტაპზე მთავარია, უფროსებმა უზრუნველყონ მშვიდი და უსაფრთხო, კეთილგანწყობილი, ბავშვის ემოციური მდგომარეობის მიმღები გარემო.

აქტუალური ყოველდღიური სიტუაციები და პედაგოგიური მიმართებები

ფონად ჩართული ტელევიზორი

უნდა მოვაქციოთ თუ არა ბავშვი ინფორმაციულ ვაკუუმში? იზოლირება და სასათბურე პირობები, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ძნელად მისაღწევია. ბავშვები ამ სამყაროში ცხოვრობენ და წვდომა ინფორმაციასთან, ცნობებთან, ახალ ამ-

პედაგოგიკაში გვაქვს უმთავრესი პრინციპი – უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა. უსაფრთხოება და ნდობით განმსჭვალული ურთიერთობა. ცოდნის დაგროვება და განათლება – მხოლოდ ამის უზრუნველყოფის შემდეგ. პედაგოგიკის ეს უნივერსალური წესი მშობლებისთვისაც საგულისხმოა.

უსუსურობის განცდა ის არის, რასაც უნდა ავარიდოთ ბავშვი. აუცილებელია ემოციური გადახურებისგან მისი დაცვა, მაგრამ თუ ემოცია უკვე არის, თუ ბავშვი ამბობს: „მეშინია“, – ამ ემოციის მიღებასა და გათავისებაში დახმარება უნდა იყოს პრიორიტეტი და არა მისი მიჩქმალვა.

ბებთან აქვთ და სჭირდებით კიდეც, მაგრამ ჩვენს ოჯახებში ასე გავრცელებული პრაქტიკა, ფონად ხმამაღლა ჩართული ტელევიზორი, დანამდვილებით არის მავნე ხმაური. გამორთეთ ტელევიზორი, იზრუნეთ ბავშვის სმენით ჰიგიენაზე. მაშინაც კი, როცა ბავშვი თავისთვის თამაშობს ან ამავე ოთახში სხვა საქმიანობით არის დაკავებული, ტელევიზორის ფონური ხმაური და სიტყვები, რომლებიც იქიდან იბეჭდება მეხსიერებაში, დამაზიანებელი, მავნებელია.

ჩაანაცვლეთ ტელევიზორი რამე რიტუალით. მოიფიქრეთ და დანერგეთ რამე სასიამოვნო და სახალისო თქვენს ყოველდღიურობაში, რამე, რასაც შვილთან/შვილიშვილთან ერთად გააკეთებთ:

- **საბავშვო წიგნების ერთობლივი კითხვა.** შეიძლება პლედისგან ან ზეწრისგან კარვის დადგმა და იქ ფარნით შეყუჟვა, ნახატებიანი წიგნის თვალიერება, ნახატების გაცოცხლება, სიცილი.
- **ილუსტრაციების მოფიქრება და ხატვა წაკითხულის მიხედვით.** ეპიზოდი თავად ბავშვმა შეარჩიოს. ნახატის ხარისხს არ აქვს მნიშვნელობა. ხატავს ის, ვხატავთ ჩვენ. ვაწყობთ გამოფენას. ვხალისობთ.
- **სასაცილო ისტორიების მოფიქრება და ერთმანეთისთვის მოყოლა.** „ვსესხულობთ“ პერსონაჟებს საყვარელი წიგნებიდან და ვიგონებთ სასაცილო ამბებს მათი მონაწილეობით. ამბები მარტივია, სახალისო, ალოგიკური. „მივდივართ ერთად და უცბად... ღრუბელი ბობი აფრინდა ცაში. მიფრინავს, მიფრინავს და თან ხელს გვიქნევს. „ჰეეეეეი!.. – იძახის, – რამსიმაღლე გავიზარდე!..“ – ვიცინით. ვკისკისებთ.
- **ზმნების გაცოცხლება.** ამოკრებთ ზმნებს წაკითხული მონაკვეთიდან და „გააცოცხლებთ“. გმირი ასკინკილით დახტის? – ვხტუნავთ

ჩვენც. ვინმე გორაობს? – ვგორავთ. მილასლასებს? – ვლასლასებთ. მიკუნტრუშობს? – ვცდილობთ, გავკუნტრუშდეთ.

- **გაფერადება.** დღეში 20-25 წუთი დაეთმოს მხოლოდ გაფერადებას. იღებთ ფურცლებს, ხატავთ კონტურებს და იწყებთ გაფერადებას.
- **სეირნობა** ნებისმიერ ამინდში, უგამონაკლისოდ, 15-20 წუთი. ამინდზე დაკვირვება. თუ წვიმს, დასველება. თუ მზეა, სითბოსა და მზის სხივების მოლამუნების შეგრძნება კანზე...

და ასე. კითხვა ხალისი და კათარზისია.

მოსმენა და მიღება

ბავშვებს, გვინდა თუ არა, ესმით ახალი ამბები. ისინი ინტერესდებიან, რა ხდება, რატომ ხდება და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მიმდინარე მოვლენებმა მათზე. მათ ინფორმაციულ ვაკუუმში ვერ მოვაქცევთ, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ვერც იმის მოლოდინი გვექნება, რომ ისინი შეძლებენ სწორი მიზეზშედეგობრივი კავშირების გაბმას, გლობალურ გეოპოლიტიკურ ვითარებაში გარკვევას.

მნიშვნელოვანია არა იზოლირება, არამედ ინფორმაციის დოზირება და მათი თანდასწრებით მათთვის გასაგებად, მინიმალისტურად და მშვიდად გადამუშავება.

უსუსურობის განცდა ის არის, რასაც უნდა ავარიდოთ ბავშვი. აუცილებელია ემოციური გადახურებისგან მისი დაცვა, მაგრამ თუ ემოცია უკვე არის, თუ ბავშვი ამბობს: „მეშინია“, – ამ ემოციის მიღებასა და გათავისებაში დახმარება უნდა იყოს პრიორიტეტი და არა მისი მიჩქმალვა. მაგალითად, „ნუ გეშინია!“ ან უარესი – „არ გრცხვენია? რისი გეშინია?“ ამგვარი „გამხნევება“ ბავშვის ემოციების გაუფასურება უფროა. ბავშვს ეშინია, ის გვიზიარებს ემოციას და ჩვენგან მის მიღებას ელის. ელის მხარდაჭერას და არა მისი ემოციების მიჩქმალვას.

„მესმის. გეშინია. ასეთ დღეებში ზოგჯერ მეც ვგრძნობ ხოლმე შიშს ან შფოთვას, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ გავუმკლავდები. მოდი, ახლა ერთად მოვიფიქროთ, როგორ გავუმკლავდეთ ამ გრძნობას, როგორ დავეხმაროთ საკუთარ თავს“.

აქაც ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. მაგალითად, ჩვენ სახლში გვაქვს „მოგონებების ყუთი“, რომელშიც ანოს და ბუბას (ჩემი შვილების) ბავშვობის ნახატებს, მათ მისალოც ბარათებს, ფერად კენჭებს და სხვა წვრილმანებს ვინახავთ. ამ ყუთს ძალიან ვუფრთხილდები. ასეთი მოგონებების ყუთი კარგი რამაა შფოთვიანობისას გადმოსაღებად, დასათვალიერებლად, წარსულის დასამახსოვრებელი მომენტების გასახსენებლად. შეიძლება შევქმნათ „შფოთვის ყუთიკოც“. ამ „ყუთიკოში“ მოვათავსოთ ნახატები, რომლებზეც ჩვენი შიში ან უგუნებობაა გამოსახული, გავაკეთოთ ჩანაწერები, სასაცილო თილისმები. ჩავაწყოთ, თავი მჭიდროდ დავახუროთ და მაღლა, მაღლა შემოვდოთ.

ვიზრუნოთ საკუთარ თავზე

თვითმფრინავში ბავშვთან ერთად მგზავრობის უმთავრესი წესი ხომ გახსოვთ: საჭიროებისას ჯერ ჩვენ ვირგებთ ჟანგბადის ნიღაბს და მხოლოდ ამის შემდეგ ვუკეთებთ ბავშვს. **საკუთარ თავზე ვზრუნავთ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ბავშვს ვჭირდებით მხნე, მედგარი, მტკიცე და ძლიერი.** მშობლობა ურთულესი რამაა. გადაღლა, გადაქანცვა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მედგრობა ძნელი შესანარჩუნებელია ამ ქაოსურ დროებაში, მაგრამ ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

საკუთარი თავისთვის, მოძრაობისთვის, განტვირთვისთვის აუცილებლად გამოყავით დრო.

მიხედეთ თავს.

მხარი დაუჭირეთ საკუთარ თავს.
ესეც საუკეთესო გაკვეთილია ბავშვებისთვის.

თემურ სუყაშვილი

ქართული ემიგრაცია და მისი სირთულეები

ემიგრაცია – ეს არის გზა, რომელიც სავსეა ტკივილით, შრომითა და თავგანწირვით, მსხვერპლშეწირვით, მონატრებით, სევდით.

საქართველოდან საზღვარგარეთ მოსახლეობის გადინება 90-იანი წლების შუაში დაიწყო. სამოქალაქო ომი და კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ომი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და მათი დე ფაქტო დაკარგვა, ამ რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადები, განუკითხაობა, უშუქობა, უგაზობა, უწყლობა, მხედრიონის ბოგინი ქუჩებში და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი შეიძლება ემიგრანტების მკვეთრად მზარდი ნაკადის მიზეზებად დავასახელოთ. იმ პერიოდის საქართველო არშემდგარი სახელმწიფოს (Failed state) ნათელი მაგალითი იყო.

შემდეგი ნაკადი უკვე XXI საუკუნის დადგომას, გლობალიზაციას და შენგენის ზონის საზღვრების გახსნას უკავშირდება.

ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ 2024 წელს საქართველოს 121 625 მოქალაქემ დატოვა ქვეყანა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, 2025 წლის მდგომარეობით, 1.5 მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი მოიცავს მხოლოდ იდენტიფიცირებულ თანამემამულეებს, ხოლო ვინც არ არის საკონსულო აღრიცხვაზე, მათი რაოდენობა დაუდგენელია.
ემიგრანტები საქართველოში ოჯახებს არჩენენ. ეროვნული ბანკის მონაცემებით, მხოლოდ 2024 წელს მათ 3.4 მილიარდი აშშ დოლარი გამოგზავნეს.



ქვეყნების ათეული ასეთია:

2024 წლის ფულადი გზავნილების სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით

#	ქვეყანა	გადმორიცხული თანხა (მლნ დოლარი)	ზრდა/კლება 2023 წელთან შედარებით
1	აშშ	$573 მლნ დოლარი;	24%
2	იტალია	$567 მლნ დოლარი;	8%
3	რუსეთის ფედერაცია	$541 მლნ დოლარი;	-65%
4	გერმანია	$267 მლნ დოლარი;	15%
5	საბერძნეთი	$263 მლნ დოლარი;	7%
6	ისრაელი	$249 მლნ დოლარი;	16%
7	ყაზახეთი	$117 მლნ დოლარი;	-41%
8	თურქეთი	$101 მლნ დოლარი;	-11%
9	ყირგიზეთი	$73 მლნ დოლარი;	49%
10	ესპანეთი	$70 მლნ დოლარი;	13%

ემიგრანტები ემიგრაციის პირველივე ეტაპზე მრავალ სირთულეს აწყდებიან. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ენობრივი ბარიერია. ახალ ქვეყანაში ინტეგრაცია ენის ცოდნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ხშირად იწვევს იზოლაციას და კომუნიკაციის პრობლემებს.

ჩვენთვის უხილავია. როგორ პირობებში ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ? რის ფასად უწევთ ოჯახების რჩენა? ამ ყველაფერზე იტალიაში მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა.

ემიგრანტები ემიგრაციის პირველივე ეტაპზე მრავალ სირთულეს აწყდებიან. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ენობრივი ბარიერია. ახალ ქვეყანაში ინტეგრაცია ენის ცოდნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ხშირად იწვევს იზოლაციას და კომუნიკაციის პრობლემებს. ამას ემატება კულტურული შეუგუებლობა: ემიგრანტებს უწევთ შეგუება ახალ წესებთან, ტრადიციებსა და ცხოვრების სტილთან, რომლებიც ზოგჯერ ძალიან განსხვავდება ქართულისგან.

შემდეგი დაბრკოლებაა სამუშაოს პოვნა. ბევრს უწევს არალეგალურად მუშაობა. ხშირად თანხმდებიან დაბალანაზღაურებად სამუშაოს იმის გამო, რომ არ აქვთ მუშაობის უფლება ან შესაბამისი იურიდიული სტატუსი.

ემიგრანტების ყოველდღიურობა სავსეა შრომითა და თავგანწირვით. მრავალი მათგანი ერთდროულად რამდენიმე სამსახურში მუშაობს, რათა თავის გადარჩენა და სამშობლოში ოჯახისთვის ფულის გაგზავნა შეძლოს. მათ უწევთ საკუთარი სოციალური ცხოვრების შეზღუდვა, დასვენებასა და გართობაზე უარის თქმა.

საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობა ხშირად მხოლოდ ვიდეოზარებითა და ონლაინკომუნიკაციით შემოიფარგლება.

ქალაქ ნეაპოლში ცალკე სურათს ქმნის ქართული ემიგრაცია. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ქართულ საუბარს, გადაძახილებს, სახე-იერს... ნეაპოლი ქართული ემიგრაციის თავშეყრის ცენტრია. აქ ცხოვრობენ მარტო, ოჯახით, ბავშვებსა და მეგობრებთან ერთად.

ნეაპოლში კარგად ჩანს ემიგრაციის სიმწარე, სამშობლოს მონატრება, შინ ყოფნის სურვილი.

არსებობს მოკლე დოკუმენტური ფილმი „ონლაინ დედა“ (რეჟისორი – ქეთევან ვაშაგაშვილი). ფილმში ნაჩვენებია ოჯახში ვირტუალური ურთიერთობების სირთულეები, შვილებთან განშორებით გამოწვეული განცდები, სიღარიბე როგორც ემიგრაციის ძირითადი მიზეზი და ა.შ. რეჟისორი განსაკუთრებულ ყურადღებას შვილების აღზრდის მონაკვეთს უთმობს და სწორედ ეს ნაწილია ყველაზე დამაფიქრებელი და სევდიანი. აღნიშნული უდიდეს ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს როგორც მშობელს, ისე შვილებსაც.

საბოლოო ჯამში, ემიგრაცია – ეს არის გზა, რომელიც სავსეა ტკივილით, შრომითა და თავგანწირვით, მსხვერპლშეწირვით, მონატრებით, სევდით.

მარიამ გოდუაძე

ერთი აქტივობა და რესურსი ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე და სხვა ბავშვებისთვის

ტიპური თუ ატიპური, ენობრივი განვითარების დარღვევის, აუტიზმისა და სხვა მდგომარეობების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ საჭიროა მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები. კარგი იქნება ამ რესურსებისა და აქტივობების სასწავლო პროცესთან მისადაგება. იმავდროულად, მნიშვნელოვანია, აქტივობების დროს რესურსები ბავშვებს მიეწოდებოდეთ თამაშით, მულტისენსორული მეთოდებთ, სხვადასხვა სენსორული არხის გააქტიურებით.

ქვემოთ წარმოვადგენ ჩემ მიერ მომზადებულ ქართულენოვან ბარათებს, რომლებიც, შეიძლება, საგაკვეთილო პროცესში არაერთგვაროვნად იქნეს გამოყენებული. ბარათები შეიქმნა აქტივობისთვის „გამოიცან, რა ვარ“. აქტივობაში ორი ბარათი მაინც უნდა იყოს გამოყენებული თავ-თავისი პასუხებითურთ.

შეკითხვაში მოყვანილი ცნებების გააზრების შემდეგ ბავშვმა თავად უნდა ამოარჩიოს მართებულპასუხიანი ბარათის ფურცელი. პასუხის გამოცნობის შემდეგ სასურველია, მასწავლებელმა სხეულის ენით განასახიერებინოს, მერე კი იქვე აჩვენოს გამოცნობილი საგანი და ხელიც შეავლებინოს, შეაგრძნობინოს მასალა, სუნი, ზომა და სხვ., ნელა და გარკვევით, რამდენიმე ბავშვთან მუშაობის შემთხვევაში – ორკესტრულადაც, ინტონაციის ცვლილებით გაამეორებინოს სიტყვა-ცნება. აღნიშნული აქტივობა ბავშვებს შეხების, მხედველობის, სმენის, ვესტიბულარულ და სხვა არხებს[1] უაქტიურებს და საგნებისა და მათი აღმნიშვნელი სახელების აღქმა-დამახსოვრებაშიც ეხმარება.

გამოიცან, რა ვარ!

აბა, რა ვარ?

მე ვარ **მრგვალი**...

შეგიძლია, **მეთამაშო**...

შეგიძლია, **ამკენწლო, მომისროლო, დამიჭირო**...

აბა, რა ვარ?

მაქვს სახე...

მაქვს ხელებიც — ორი ხელი...

გჭირდები, რომ **გითხრა დრო**...

[1] https://mastsavlebeli.ge/?p= 14891

ირმა ტაველიძე

მანე, მარიამი და ძველი ქვეყანა

ივნისში ვანაძორში, ჩემს ბავშვობაში კიროვაკანი რომ ერქვა, ათამდე მოსწავლეს მოკლე დრამატული ტექსტების წერას ვასწავლიდი. მთელ თვეს დავრჩებოდი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო – მოსწონდათ, რასაც ვაკეთებდით, ხალისით მომყვებოდნენ. რას აღარ ვყვებოდით, რას აღარ ვწერდით. ბოლო დღეს კი იმ სომეხი მწერლების სიაც შემიდგინეს, დაუყოვნებლივ რომ უნდა მომეძებნა და წამეკითხა.

სია მანე პოღოსიანმა ჩამიწერა სამუშაო რვეულში. წინასწარ-მეტყველებას ვერ დავიწყებ, სურვილი კი ძალიან დიდი მაქვს, რომ წერა ცხოვრების მთავარ საქმედ გაიხადოს, უღრან ტყეებში ხეტიალის არ შეეშინდეს.

ერთ-ერთ დავალებად ჰქონდათ, წინა დღეს შექმნილი პერსონაჟის პირით სიყვარულის რაობა განემარტათ. მარტივად, რამდენიმე სიტყვით. სისულელე და დროის კარგვაა, წაიკითხა იმ ხვეულთმიანმა, შავთვალა ბიჭმა, აშოტი რომ ერქვა. ღმერთო, გვარი გამახსენე...

მანე პოღოსიანს კი რიგმა რომ მოუწია, გაეღიმა.

სიყვარული ყველა შენი შიშისთვის თვალის გასწორებაა ო, – გვეუბნებოდა, გვარწმუნებდა მისი მონოლოგის მთავარი გმირი.

შემოქმედებითი წერის გაკვეთილები ერევანსა და გორისში გაგრძელდა, ირანის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქში, სადაც ზღაპრულად ლამაზი სახლებია. აქ სულ გოგოები იყვნენ, კარგი მკითხველები და კარგი მსახიობები. შუა ოთახში, წარმოსახვით სცენაზე წაიკითხეს თავიანთი ნაწერი, იმ წუთებში კი ალბათ რაღაც ისეთიც ირწმუნეს, სხვა დროს და სხვაგვარ გარემოში რომ გაუძნელდებოდათ.

სწორედ იქ ვნახე მარიამ ჰაირაპეტიანი, რომლის მონოლოგიც ასე იწყება:

„ღამის სამი საათია. რატომ მღვიძავს?

ისეთი სიჩუმეა, თითქოს სამყარო გაჩერდა, თითქოს შემთხვევით შევიხედე ცხოვრების ფარდის მიღმა, როცა არავინ მიყურებდა.

რა უცნაურია... როგორი სხვანაირია ღამით ყველაფერი. ჩემი ოთახი – ეს ოთხი კედელი, ყოველდღე რომ ვხედავ – მოულოდნელად უფრო ნაზი და უფრო მშვიდი გამხდარა, თითქოს სურვილი გასჩენია, ყური დამიგდოს.

ჩემივე გულისცემა მესმის. დღისით ასე არ ხდება ხოლმე. ფიქრები ახლა აღარ ყვირიან. ჩურჩულებენ...“

სახელდახელოდ ვთარგმნე ინგლისურიდან. მხოლოდ დასაწყისი. მარიამი კი ალბათ არაერთხელ გადასწევს იმ ფარდას, ცხოვრებისას, და დაწერს იმაზეც, რასაც თვალი ვერ წაატანა, რაც მაცდურ წინათგრძნობად დაურჩა.

სასწრაფოდ წასაკითხი სომეხი მწერლების სიაში, რა თქმა უნდა, უილიამ საროიანიც მოხვდა, რომელსაც სხვებზე უკეთესად ვიცნობ. ჩვენს წიგნის მაღაზიებში ქართულად თარგმნილსაც ნახავთ და თუ ეს მოთხრობების კრებული „მე მქვია არამი“ იქნება, დაუყოვნებლივ იყიდეთ. საზაფხულო საკითხავად უკეთესს ვერაფერს მოუძებნით მოზარდებს, თავგადასავლებიც რომ იზიდავთ და წიგნის გმირთან თავის გაიგივებაც რომ უყვართ.

ერთ მოთხრობაში, „ულამაზესი თეთრი ცხენის ზაფხულში“, ასეთ მოგონებას გადააწყდებით: „ცხენზე ამხედრებული მივქროდით. ჩემი ბიძაშვილი მურადი მღერადა. თითქმის ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ძველი ქვეყნიდან ვიყავით, ძველი ქვეყნის შთამომავლები ვიყავით და, როგორც ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ამბობდა, ახლაც იმ ძველ ქვეყანაში ვცხოვრობდით“. ეს ამბავიც, სხვა ამბებიც სომხეთიდან ძალიან შორს ხდება, მაგრამ ახალი სამშობლოს მიწაც წინაპართა აჩრდილებითაა მოფენილი, წარსულის სიტკბო-სიმწარითაა გაჯერებული.

სიას ჩავყურებ და ვხვდები, რომ რჩევა ყურად უნდა ვიღო და ამ მწერლების წიგნები მოვძებნო. რაც შეიძლება მალე. სომხეთში დასაბრუნებელი მოკლე გზაც იქნება და ის თეთრ-ყვითელი ყვავილებიც, გზისპირებზე მომაჯადოებლად რომ ყვაოდა ივნისის თვეში.

შორენა ტყეშელაშვილი

UNICEF GEORGIA-ს ახალი კვლევა ახალგაზრდების უნარებისა და საკვანძო კომპეტენციების შესახებ

საქართველოში მცხოვრები ბავშვები და ახალგაზრდები ყოველდღიურად ეჯახებიან სხვადასხვა სოციალურ და ფსიქოემოციურ გამოწვევას. იუნისეფის ანგარიში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ხაზს უსვამს იმ პრობლემებს, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ექმნებათ ახალგაზრდებს.

გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდები ეჯახებიან, კვლევის მიხედვით, მრავალმხრივია და მოიცავს წიგნიერებას, მრავალენოვნებას, მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას, მათემატიკას, ციფრულ კომპეტენციებს, პიროვნულ განვითარებას, მოქალაქეობას, მეწარმეობის უნარებსა და მენტალურ ჯანმრთელობას.

საკვანძო კომპეტენციები და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარები კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის, რათა ეფექტიანად გაუმკლავდნენ თანამედროვე ცხოვრებაში, სამუშაო სივრცესა და საზოგადოებაში არსებულ სირთულეებს. ეს უნარები ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია უწყვეტი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის. ამ კომპეტენციების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფორმალურ, არაფორმალურ და ყოველდღიური პრაქტიკიდან მიღებულ განათლებასთან ადრეული ასაკიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კვლევის ძირითადი მიგნებები

წიგნიერება

მოზარდები მნიშვნელოვან გამოწვევებს ეჯახებიან წიგნიერებაში, განსაკუთრებით უჭირთ აზრის მკაფიოდ გამოხატვა, წერა და კრიტიკული აზროვნება. კვლევის მონაწილეთა მეოთხედს გაუჭირდა აზრის დალაგებულად გადმოცემა. ხშირად იყენებდნენ მარტივ, მწირ ლექსიკას ან სრულყოფილად ვერ გამოხატავდნენ აზრს, რაც ხშირ შემთხვევაში მათ ფრუსტრაციას და მღელვარებას იწვევდა. წერილობითი უნარები გამორჩეულად პრობლემური სფერო აღმოჩნდა, განსაკუთრებით ენობრივი უმცირესობებისთვის, რომელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე არასაკმარისი იყო აკადემიური დავალებებისთვის თავის გასართმევად. მონაწილეთა მესამედს გაუჭირდა დამაჯერებელი, დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა, რაც კრიტიკულ აზროვნებასა და გამოცდილების ნაკლებობაზე მიანიშნებდა. მონაწილეთა უმეტესობა ახერხებდა საუბრის შინაარსისთვის თვალყურის დევნებას და დისკუსიაში მონაწილეობას, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს უჭირდა სხარტად საუბარი, გრამატიკულ შეცდომებს უშვებდა და ჟარგონს იყენებდა.

მრავალენოვნება, კულტურული ცნობიერება და თვითგამოხატვა

ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან სირთულეებს ქართული ენის ცოდნაში, რომელიც საჭიროა მათი აკადემიური ჩართულობისა და განვითარებისთვის. ახალგაზრდები აღიარებენ მრავალენოვნებისა და კულტურული ცნობიერების მნიშვნელობას. მონაწილეთა 92%-მა აღნიშნა, რომ ინგლისური ენა იცის, მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი გამოხატა დამატებითი ენების სწავლის ინტერესი.

მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და STEM

მოზარდები აღიარებენ STEM-ის მნიშვნელობას, მაგრამ მის შესახებ შეზღუდული წარმოდგენა აქვთ, განსაკუთრებით მეცნიერების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. მრავალი სტუდენტი ვერ აკავშირებს მეცნიერების ცოდნას კარიერული ზრდის პერსპექტივასთან ისეთ დარგებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა ან ქიმიური პროდუქციის წარმოება. უმრავლესობა აღიარებს მათემატიკისა და ფინანსური წიგნიერების ღირებულებას, მაგრამ ბევრს უჭირს აღნიშნული უნარების პრაქტიკულ სიტუაციებთან დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური წიგნიერება არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, უმცროსი ასაკის სტუდენტები მას ხშირად არარელევანტურად თვლიან. მონაწილეებმა გამოამჟღავნეს მაღალი ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებში და ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირის კუთხით. მეცნიერებას ბევრი უმეტესად აკადემიურ სფეროდ მიიჩნევს.

ციფრული კომპეტენცია

მონაწილეები ფლობენ კარგ ციფრულ უნარებს და იცნობენ ტექნოლოგიებს, თუმცა ასევე აწყდებიან გამოწვევებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება კიბერუსაფრთხოებას, სოციალური მედიის სფეროში წიგნიერებას და ციფრული საფრთხეების გაცნობიერებას. იგრძნობა მონაწილეთა შიში, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლოა ადამიანებს დააკარგვინოს სამუშაო ადგილები, გააქროს ტრადიციები და დააკნინოს ადამიანური კავშირები. ახალგაზრდებმა ასევე გამოთქვეს წუხილი, რომ ტექნოლოგიები უარყოფითად იმოქმედებს ტრადიციულ კულტურულ ნორმებზე და ადამიანებს შორის ურთიერთობაზე. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა უმეტესობა აღიარებს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლო სიკეთეს გლობალური განვითარების კუთხით.

პიროვნული, სოციალური და სწავლის ხელშემწყობი კომპეტენციები

პიროვნული, სოციალური და სწავლის ხელშემწყობი კომპეტენციები და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობა და გამძლეობის უნარები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს თვითრეფლექსიის, კარიერული გზის არჩევასა და პიროვნულ ზრდასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ და აღნიშნეს, რომ ხშირად გრძნობენ მოტივაციის ნაკლებობას საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო სტრუქტურების გამო. წარმატებისთვის აუცილებელ პირობად დასახელდა მხარდაჭერა ოჯახის მხრივ, საკუთარი ძალების იმედი და განათლებაზე ფოკუსირება. მონაწილეებმა გამოხატეს ინტერესი დროის მენეჯმენტის, თვითრეფლექსიის, გუნდური მუშაობისა და ემპათიის უნარჩვევების განვითარებისადმი, თუმცა აღნიშნეს, რომ სათანადო მხარდაჭერა არ აქვთ. პიროვნული განვითარების გეგმის უქონლობა და არაფორმალური სწავლის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა მნიშვნელოვან ხარვეზად იქნა იდენტიფიცირებული.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა და მრავალი მონაწილე ინფორმირებულია ფსიქიკური პრობლემების რისკების თაობაზე, თუმცა საკითხის ცოდნა შეზღუდულია. ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ისაუბრა ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებათა შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით, ფინანსური ხელმისაწვდომობისა და სტიგმის კუთხით, რაც სერიოზული დაბრკოლებებია. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ მეტი განათლების საჭიროებას, განსაკუთრებით სკოლის დონეზე, რათა ადამიანებმა შეძლონ სიმპტომების ამოცნობა და დახმარების მოძიება. ბულინგი და ოჯახური პრობლემები დასახელდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლე-

ნასტასია არაბული

ფსიქიკური ჯანმრთელობა ახალგაზრდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. როგორ დავეხმაროთ მათ?

მების ფართოდ გავრცელებულ ხელშემწყობ ფაქტორად.

თუ კვლევას ჩავუღრმავდებით და მიზეზებზე ვისაუბრებთ, გავიხსენებთ სხვა კვლევებს, რომლებიც ეხებოდა ბავშვებისა და მოზარდების მდგომარეობას საქართველოში, გადავხედავთ ჩვენს ყოფას, სოციალურ, პოლიტიკურ მდგომარეობას, მიზეზები უფრო თვალნათლივ გამოჩნდება. დღეს საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს სახელმწიფოსგან სათანადო მხარდაჭერა, არც საკმარისი ფსიქოსოციალური სერვისი, არც დასაქმებისა და განათლების ხელშემწყობი ეფექტიანი პროგრამები, ფასები საკვებსა და მედიკამენტებზე კატასტროფული სისწრაფით იზრდება, ბავშვებს სკოლაში შიათ, განათლების დონე დაბალია და სიღარიბე კვლავ თრგუნავს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებას და წარმატებულ მომავალს. დღეს უამრავ ახალგაზრდას არ მიუწვდება ხელი დაბალანსებულ, ჯანსაღ საკვებზე, რაც ხშირად პირდაპირ უკავშირდება სიღარიბეს, განათლების დეფიციტს, აკადემიურ ჩამორჩენას, აისახება მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ახალგაზრდები სწავლის პარალელურად მუშაობენ მძიმე პირობებში, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე, რათა თავი გადაირჩინონ, რაც იწვევს გადატვირთვას, სტრესს, უიმედობას და აპათიას, ხოლო ხარისხიანი განათლებისთვის დრო და ენერგია აღარ რჩებათ. სკოლა და უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფენ იმ უნარების განვითარებას, რომლებიც რეალურ შრომით ბაზარს სჭირდება, რადგან საგანმანათლებლო გარემო კვლავ უთანასწორო და კარგი განათლების მიღება ჩვენს ქვეყანაში ისევ უკავშირდება დიდ ხარჯებს, რაც ოჯახებისთვის სერიოზული ფინანსური გამოწვევაა. სანამ ახალგაზრდებს იმის გამო დავადანაშაულებთ, რომ, კვლევის მიხედვით, მათ ვერ აჩვენეს საუკეთესო შედეგი, კარგი იქნება, თვალი გავუსწოროთ იმ სინამდვილეს, რომელიც ქვეყანაში გვაქვს. სინამდვილეა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს არ არსებობს პოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებსა და გამოწვევებს უპასუხებს და მათ კეთილდღეობაზე იზრუნებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის ახლახან გამოქვეყნებულმა კვლევამ, რომელიც ახალგაზრდების უნარებსა და საჭიროებებს იკვლევს, აჩვენა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება, ფაქტისა და მოგონილი ამბის ერთმანეთისგან გამიჯვნა, არგუმენტირებული მსჯელობა და, საზოგადოდ, განათლებისა და ცხოვრების ხარისხი, თუმცა 15-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ყველაზე მეტად აღელვებთ ფსიქიკური ჯანმრთელობა და ის, რომ არ იციან, როგორ გაუმკლავდნენ ამ პრობლემას.

ამ კვლევის მიხედვით:

- ახალგაზრდები ინფორმირებული არიან ფსიქიკური პრობლემების რისკებზე, თუმცა საკითხის ცოდნა შეზღუდულია.
- მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობს ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებათა შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით ფინანსური კუთხით და სტიგმის გამო, რაც სერიოზული დაბრკოლებებია.
- ახალგაზრდები გრძნობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ მეტი განათლების საჭიროებას, განსაკუთრებით სკოლის დონეზე, რათა ცალკეულმა პირებმა შეძლონ სიმპტომების ამოცნობა და დახმარების მოძიება.
- მათ მიაჩნიათ, რომ ბულინგი და ოჯახური პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ხელშემწყობი ფართოდ გავრცელებული ფაქტორია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ძირითადად დეპრესიით, ქცევითი ან შფოთვითი აშლილობით იტანჯებიან. 15-19 წელი მაღალი რისკის მატარებელია სუიციდის თვალსაზრისითაც. ახალგაზრდების თითქმის 15%-ს, ანუ ყოველ მეშვიდეს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას ართულებს არადიაგნოსტირებული შემთხვევები – ახალგაზრდების ნახევარზე მეტთან მათ პრობლემებს დიაგნოზის ფორმა არ მიუღია. მოზარდობისას კეთილდღეობასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ძალადობრივი გარემო, სიღარიბე, სტიგმა, გარიყულობა, ნივთიერებებზე, მათ შორის ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, გარემოს მიმართ უნდობლობა და თვითგამორკვევის სირთულეები, ასევე მხარდამჭერი სერვისების მიღების სირთულეები.

თუ წავიკითხავთ პროფესიულ ლიტერატურას იმის შესახებ, როგორ შეიძლება დავეხმაროთ ახალგაზრდებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში, შემდეგ რჩევებს ვიპოვით:

- მიმართეთ სპეციალისტს, რომელსაც ენდობით.
- იზრუნეთ ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც. დაბალანსებული კვება და ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვანია.
- ხარისხიანად გაატარეთ დრო მათთან ერთად როგორც საოჯახო, ისე საჯარო სივრცეში.
- იყავით მისი უპირობო მხარდამჭერი, დაეხმარეთ ინტერესების, სასურველი აქტივობების პოვნაში, მოუსმინეთ და არ განსაჯოთ.

ქართველი ახალგაზრდებისთვის ამ რჩევების დიდი ნაწილი ძნელად შესასრულებელია – როგორც თავად ამბობენ, სკოლებში ცოდნა ნაკლებია, სერვისები – ხელმიუწვდომელი, საჯარო სივრცეები – მწირი, ზრდასრულებს მათ გარშემო ცოდნის დეფიციტი აქვთ და არც დაბალანსებული კვება და ფიზიკური აქტივობაა მაინცდამაინც ხელმისაწვდომი ღარიბ ქვეყანაში მცხოვრები ბავშვებისთვის, ხარისხიანად დროის გატარების ფუფუნებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მაშ, როგორ დავეხმაროთ მათ, ვინც ხვდება, რომ დახმარება სჭირდება?

– შენი კითხვით ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხე. აქ საქმე მარტო ერთ ადამიანს კი არა, მთელ სისტემას ეხება – სკოლას, ოჯახს, მედიას, ჯანდაცვას და მთლიანად საზოგადოებას. მაგრამ სანამ სისტემა იცვლება (რაც, სამწუხაროდ, ნელა ხდება), ძალიან მნიშვნელოვანია, ვიფიქროთ იმაზე, **რისი გაკეთება შეიძლება უკვე ახლა, კონკრეტულად და რეალურად,** – მეუბნება ჩეტბოტი, რომელსაც პერიოდულად ველაპარაკები ხოლმე რთულ კითხვებზე პასუხების ძიებისას.

– ახალგაზრდები დახმარების საჭიროებას რომ ხვდებიან, უკვე ძალიან დიდი ძალაა. მათი გონება და ემოციური ინტელექტი ცდილობს, გააგრძელოს ბრძოლა. ახლა ჩვენი ამოცანაა, არ დავტოვოთ ისინი მარტო, თუნდაც სისტემის იდეალურობას ვერ მივაღწიოთ, – აგრძელებს მსჯელობას ჩემი მოთვინიერებული ხელოვნური ინტელექტი და გვირჩევს:

- ვისაუბროთ ღიად;
- გავუზიაროთ ინფორმაცია;
- მოვუსმინოთ ყურადღებით;
- პროფესიონალებმა შექმნან და გაავრცელონ ადვილად გასაგები კონტენტი მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებსა და მათთან ბრძოლის გზებზე;
- ახალგაზრდები დავინახოთ არა მხოლოდ დახმარების მაძიებლებად, არამედ თანაშემოქმედებადაც უკეთესი სისტემის, გარემოს შექმნის გზაზე, ჩვენს დამხმარე ძალად.

თუ ერთ ზრდასრულს მაინც შეუძლია, ოჯახში, სკოლაში ან სამეზობლოში **შეასრულოს ის როლი, რომელიც სისტემამ ვერ შეასრულა, უკვე დიდი ამბავია.**

თუ მზად ხარ, მოუსმინო ახალგაზრდას, არ დასცინო, არ შეაფასო, არ უთხრა: „შეეჩვიე“, „გაგივლის“, „ნუ ჭირვეულობ“ ან „ხასიათის ამბავია“, – ეს უკვე დიდი მხარდაჭერაა.

ინა იმედაშვილი

მზევ, შინ შემოდი, ჩვენს საკლასო ოთახებსა და ჩვენს გულებში!

ერთი პროექტის იდეა თემაზე „მზე“

რა არის ის, რის გარეშეც სიცოცხლე ვერ იარსებებდა? რა გვათბობს და გვინათებს დღეებს? რას შევყურებთ იმედით?

რა თქმა უნდა, ბავშვები ადვილად გამოიცნობენ: მზე!

აბა, გავიხედოთ ფანჯრიდან და წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, მზე რომ არ არსებობდეს?

არც ახლა გაუჭირდებათ ბავშვებს პასუხი.

ჰოდა, მოდი, ჩვენი გაკვეთილი მზეს მივუძღვნათ. რადგან ის ასეთი დიდებული და ამაღელვებელია, რადგან მზეა ჩვენი ყოფნის მთავარი მიზეზი. რადგან დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს და ადამიანები როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც მზით ვართ მოცულები.

დავიწყოთ. **მზე მითოლოგიაში**.

ბავშვებს ვუყვებით, რომ ძალიან, ძალიან ძველად ადამიანებს მზე ღმერთად მიაჩნდათ, უძღვნიდნენ საგალობლებსა და ლექსებს, ჰიმნებსა და სიმღერებს.

ვაკითხებთ ხალხურ ლექსს „მზე შინა“ და ამ ლექსის მიხედვით ვსაუბრობთ. რას ნიშნავდა ჩვენი წინაპრებისთვის მზე? რატომ ეპატიჟებოდნენ სახლში? – შეიძლება, დავაწერინოთ კიდეც. შემდეგ აუცილებლად დაგვჭირდება ძველი ქართული დარბაზული სახლის ჩვენება, დედაბოძზე საუბარი და მასზე დატანებული მზის სიმბოლოს – ბორჯღალის მნიშვნელობის ახსნა. ბორჯღალზე საუბარი ალბათ შორს წაგვიყვანს. აუცილებლად უნდა მოვყვეთ მზის ქალღმერთ ბარბარეზე, რომელიც იმ გველეშაპს ამარცხებს, მთვარეს რომ ყლაპავს. უნდა ვახსენოთ მზეთუნახავები და ოქროსთმიანი ვაჟები და ქალებიც, ვთქვათ, რომ ოქროს თმა მზის წყალობაა და მზესთან კავშირზე მიუთითებს.

იქნებ დავახატვინოთ კიდეც თანამედროვე ადამიანი, რომელსაც ტანსაცმელზე ან აქსესუარზე მზესთან დაკავშირებული სიმბოლო აქვს. შეგვიძლია, შემოვიტანოთ ზღაპრები „მზის ასული“, „დღისით მკვდარი და ღამით ცოცხალი“, რომელთა შინაარსს ისევ მზე ღვთაებას დავუკავშირებთ.

უჰ, ეს ისეთი ვრცელი თემაა, ალბათ ამოუწურავი, მაგრამ ჩვენ უნდა დავასრულოთ და გადავიდეთ შემდეგზე:

მზე ქართულ ლიტერატურაში.

მე დავიწყებდი ნოდარ დუმბაძის მოთხრობით „მზე“, სადაც მზის ყოვლისმხედველობა და ყოვლისშემძლეობა ჩანს. თან ისეთი საინტერესო დიალოგებია, შეგვიძლია, მკითხველის თეატრიც მოვაწყოთ და როლებში წავაკითხოთ:

„– დაიწყო! – თქვა ერცახუმ ყრუდ.

– რა? – დაინტერესდა მზე.

– დაბადება!

– ვისი?

– შვილების, ბადიშების: კოდორის, ფსოუს, კელასურის, მოქვის, ღალიძგის, ჩალბაშის, მაჭარას, ქეთევანას...

– სუყველა შენია? – ჰკითხა მზემ ისე, თითქოს არ იცოდა.

– ჩემი და ჩემი ძმების.

– გამრავლდით! – დალოცა მზემ.

ახლა ერცახუს გაეღიმა.

– ჩვენ პირიქითა ვართ, შემოქმედო, შვილი უამრავი გვყავს, ბადიში – ნაკლები, იმათი შვილები – კიდევ უფრო ნაკლები და ბოლოს ერთი უზარმაზარი ნაგრამი – ზღვა!“

მივაყოლოთ მუხრან მაჭავარიანის „ამოვიდა მზე“, გიორგი ლეონიძის „მზე სად ჩაექანება“, რევაზ ინანიშვილის „გახარებული მზე“, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ ... წავაკითხოთ „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“. ვისაუბროთ მზეზე როგორც ეპითეტზე, მეტაფორაზე, რუსთაველიც გავიხსენოთ, „ვეფხისტყაოსნის“ პირმშვენიერი მზე პერსონაჟები.

ძალიან საინტერესოა ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები მზის თემატიკაზე, დაჭრილი მზე, მოწყენილი მზე – მზე როგორც სიკეთისა და სინათლის სიმბოლო.

აუცილებლად დავაწერინოთ მოთხრობა ან ჩანახატი მზეზე, ვაქციოთ მზე მთავარ პერსონაჟად და ინსპირაციად. კარგი იქნება თუ გავიყვანთ ეზოში, მზისთვის შევახედებთ, თვალებს დავახუჭვინებთ და ვთხოვთ, თავიანთი შეგრძნებები აღწერონ: რას ვგრძნობ, როცა მზეს ვუყურებ? როცა ჩემში მისი სხივები იღვრება? იქნებ დავწერო? ან იქნებ დავხატო?

შეგვიძლია, ყველას დავახატვინოთ საკუთარი მზე და გამოფენაც მოვაწყოთ, ან დავამზადოთ მზის ბარათები, მზის წიგნები...

თავად მიხვდებით, რა სჭირდებათ თქვენს მოსწავლეებს, თქვენ გიდევთ ხელი მათ მაჯისცემაზე.

განავრცეთ, შეცვალეთ აქ მოყვანილი იდეები, დაუმატეთ ან გამოაკელით. მე შეგნებულად არ ვწერ მსოფლიო მითოლოგიაზე, მსოფლიო მხატვრობასა თუ ლიტერატურაზე – ეს ძალიან, ძალიან ვრცელი თემაა და თავად გადაწყვიტეთ პროექტში მათი ჩართვა.

რასაკვირველია, მეცნიერებასაც უნდა შევეხოთ, ვთქვათ, რომ მზე გავარვარებული ვარსკვლავია, რომ დედამიწა მის გარშემო ტრიალებს და ის ჩვენთვის სიცოცხლის წყაროა.

შეგვიძლია, ვთხოვოთ ბავშვებს, თავადაც მოიძიონ ინფორმაცია და მოამზადონ პრეზენტაციები საინტერესო ფორმით.

ბოლოს აუცილებლად მოვაწყოთ სკოლის ეზოში მზის საათი და ჩრდილებიც ალიცლიცდებიან კედლებზე, მიწაზე.

ჰოდა, მზევ, შინ შემოდი, ჩვენს გულებში შემოდი, ჩვენს ოთახებში, ჩვენს ქვეყანაში შემოდი!

მზევ, დედაო ჩვენო!

გამოიცან, რა ვარ!

აბა, რა ვარ?

საათი ვარ!

აბა, რა ვარ?

მე ბურთი ვარ!

აბა, რა ვარ?

მე ძროხა ვარ!

აბა, რა ვარ?

მე ზღარბი ვარ!

აბა, რა ვარ?

სტაფილო ვარ!

აბა, რა ვარ?

ბაჭია ვარ!

გამოიცან, რა ვარ!

აბა, რა ვარ?

მე მაქვს ოთხი ფეხი...
მე მაქვს კუდი...
მე შენ გაძლევ რძეს...

აბა, რა ვარ?

მე მაქვს ორი თვალი...
მე მაქვს ოთხი ფეხი...
ტანი — ეკლიანი...

აბა, რა ვარ?

გრძელი ვარ და წვრილი...
ტანი მიწაში მაქვს, ფოთლები კი — ზემოთ...
სასარგებლო ვარ, ზრდაში გეხმარები....

აბა, რა ვარ?

მე ვარ მოუსვენარი...
მე მაქვს ორი გრძელი ყური...
მიყვარს ხტუნვა, სტაფილო და კომბოსტო..

იმედი გვაქვს, მოწოდებული სასწავლო რესურსი გაახალისებს
და გააქტიურებს საგაკვეთილო პროცესს.



ლელა კოტორაშვილი

წინადადების ძალა

მთავარია, მასწავლებლებმა მთელი გულით დავიჯეროთ, რომ წერილობით აზრის გამოთქმა ყველა მოსწავლეს შეუძლია. მასწავლებლის რწმენა ჯადოსნურად მოქმედებს ბავშვზე. ის ჯერ აზრის ჩამოყალიბებას იწყებს, შემდეგ გვენდობა და ენდობა ჩვენ მიერ შექმნილ გარემოს, ბედავს და ხმამაღლა კითხულობს.

მთავარია, მასწავლებლებმა მთელი გულით დავიჯეროთ, რომ წერილობით აზრის გამოთქმა ყველა მოსწავლეს შეუძლია. მასწავლებლის რწმენა ჯადოსნურად მოქმედებს ბავშვზე. ის ჯერ აზრის ჩამოყალიბებას იწყებს, შემდეგ გვენდობა და ენდობა ჩვენ მიერ შექმნილ გარემოს, ბედავს და ხმამაღლა კითხულობს. ელოდება ჩვენს უკუკავშირს, შთაბეჭდილებებს და ამ დროს ბეწვის ხიდზე ვიწყებთ სიარულს – მისი წინადადებები, რომლებიც გულში გამოვიტარეთ, სიტყვებად უნდა დავაბრუნოთ. გულწრფელობის გარეშე კი ნდობას მყისვე დავკარგავთ.

მოსწავლე წერის სწავლებისას ნაბიჯ-ნაბიჯ მიმყავს წერით ინსტრუქციამდე, თავად ვუკითხავ ჩემს ნაწერს, შემდეგ ველოდები, რომ დაწეროს და დგება ჩემი საყვარელი ეტაპი, როცა მთელი გულისყურით ვუსმენ.

ერთხელაც ჩემი მოსწავლეების მოსმენისას დღიურში მათი წინადადებებისა და სიტყვების ჩაწერა დავიწყე. ჯერ სიტყვების, მერე უკვე წინადადებების. მერე სახალისო ვიქტორინა გამოვიგონე და ამგვარად დავარწმუნე ბავშვები, რა საინტერესოა გულისხმიერი მოსმენა. საშინაო დავალებების რვეულებზე მუშაობისას კი ვარსკვლავივით მბრწყინავი წინადადებები ამოვიწერე და წყალგამძლე ფლომასტერებით პერანგზე დავაწერე. ამგვარად, როდესაც ჩემი მოსწავლეები წერით დავალებებს მიკითხავდნენ, მე საყვარელი წინდადადებების მაძიებლად ვიქეცი და ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე დღიური შევავსე.

წლის ბოლოს, ლიტერატურული კაფესთვის მზადებისას, გადავწყვიტე, შაბათის მკითხველთა კლუბის ბავშვებისთვის ბალიშები შემეკერა: ერთ მხარეს წიგნების მიხედვით მოვხატავდი, მეორეზე კი ჩემს დღიურში ჩაწერილთაგან შერჩეულ წინადადებებს დავწერდი. მანამდე მთელი შვიდი თვე ვკერავდი საჯარო სკოლის ერთი კლასისთვის ბალიშებს, რომელთა შესახებ შაბათის მკითხველთა კლუბის ბავშვებს ვუყვებოდი და ისინიც მგულშემატკივრობდნენ. სწორედ მათმა სიყვარულით სავსე მზერამ მომცა ძალა, რომ სამ დღეში 25 ბალიში შემეკერა. ბალიშზე დაწერილი მათი წინადადებებით კი მადლიერების გამოხატვა მსურდა იმისთვის, რომ მენდობიან, წერენ, საკუთარი შესაძლებლობების სჯერათ და ხმამაღლა მიკითხავენ. ბალიშებზე გადატანილმა წინადადებებმა სიხარულის ფეიერვერკი გვაჩუქა – ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებელსა და ყველას, ვინც კი ამ დღის შესახებ შეიტყო. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ბავშვებს საკუთარი წინადადებები უნდა ამოეცნოთ: ზოგი დაიბნა, ზოგმა მყისვე იცნო, ზოგმა ერთმანეთის წინადადებები უფრო სწრაფად ამოიცნო, ვიდრე საკუთარი. ამ თამაშმა დაუვიწყარი ემოციები გვაჩუქა და ვფიქრობ, თითოეული მოსწავლე საკუთარი ინდივიდუალურობის, უნარების, შესაძლებლობების შესახებ დადებითი განწყობით დამუხტა.

ლიტერატურული კაფედან დაბრუნებულმა ილიას დედამ მომწერა, რომ როცა უფროსი შვილის წინადადება წაიკითხა, იტირა. უცრემლოდ ვერც მე ვკითხულობ ერთად თავმოყრილ წინდადებებს. მახსენდებიან ჩემი მოსწავლეები, მათი სახეები მიდგას თვალწინ და მათი ხმა ჩამესმის. ახლა, როცა ამ სტატიას ვწერ, ზაფხულის საღამოა. ვფიქრობ, სად არის ფერადი და წიგნების მიხედვით მოხატული ბალიშები. იქნებ მათ ვინმე უცხო კითხულობს, ან იქნებ ჩემი მოსწავლეების მეგობრები დაინტერესდნენ და მათი ამბავი გამოიკითხეს? იქნებ საუბრის თემად იქცა? დარწმუნებული ვარ, კიდევ მრავალ ამბავს მოქსოვს 12-14 წლის გოგო-ბიჭების წინადადებები, რომლებიც ამასობაში თითქოს გასულიერდნენ. თქვენც გიზიარებთ ბალიშებზე წარწერილ წინადადებებს და ბავშვების გულიდან ამოსული სიტყვებით გახარებას გისურვებთ:

1. „ვწერ და ვწერ და ვფიქრობ, რა დავწერო და მახსენდება, რომ ჭრიჭინის ხმა აღარ მესმის“ **(ანდრია)**.
2. „მე რომ ფრენა შემეძლოს, დაუფიქრებლად ნეიმარის სახლში გავფრინდებოდი“ **(გიო)**.
3. „ვგრძნობ, რომ მისთვის განსაკუთრებული ვარ“ **(კესო)**.
4. „ვფიქრობ, სად და როდის შევხვდებით ერთმანეთს“ **(მარიამი)**.
5. „ადრე მარიამი შემოვიდა „მინისოში“ დედასთან ერთად. მე თავს ვიწონებდი და ვიპრანჭებოდი, რადგან ვგრძნობდი, რომ პენალს ეძებდა“ **(მარიამი)**.
6. „შიგნით დედა კიტას ულუტუნებს. მახსენდება, რომ მაცივარში მედოკია“ **(თაისია)**.
7. „ერთხელ რაჭაში ვიყავით მე და ნიტა და გადავწყვიტეთ მამაჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად ტყეში წასვლა სოკოებზე“ **(მართა)**.
8. „ოდესმე მიხსენებია, რომ მელიები ძალიან მიყვარს?“ **(მარიამი)**
9. „ვფიქრობ ჩემს საუკეთესო მეგობარზე, რომელიც სხვა ქალაქში ცხოვრობს“ **(ნუცა)**.
10. „ხანდახან ვფიქრობ, შენი ცუდი ნათქვამი ხალხს გონებაში რომ არ რჩებოდეს და მაშინვე ქრებოდეს“ **(ანასტასია)**.
11. „ლელა მასწავლებელო, განაგრძეთ ლიტერატურული კაფეს მოწყობა და არასდროს არ დანებდეთ“ **(ნიკა)**.
12. „პატარა რომ ვიყავი, ვეძებდი განძს. ვეძებდი ქუჩაში, სახლში, სხვა სახლებში და კიდევ ბევრ ადგილას“ **(ირაკლი)**.
13. „ასეთ დავალებას პირველად ვწერ. მინდა, ასეთი დავალება რომელიმე ჩემს მეგობარს გავუზიარო“ **(მარიამი)**.
14. „ერთხელ მე და ჩემი ოჯახი და დიდი ბებია მივდიოდით სიღნაღში. ზამთარი იყო და თოვდა“ **(მარიამი)**.
15. „დედაჩემი სახლს პირველ მაისს რომ გააფორმებს, მთელი თვე ვერ ხსნის. მთელი ოჯახი ერთად ვართ“ **(მაკრინე)**.
16. „გავიზარდე. გემოვნება შეიცვალა, სტილი, ინტერესები და მადა“ **(მარიამი)**.
17. „არ მიყვარს, წიგნები რომ მთავრდება. ეს დედაჩემი არ ისვენებს, ახლა ტილო შეიმოიტანა და იატაკს წმენდს“ **(ნია)**.

მოსწავლე ელოდება ჩვენს უკუკავშირს, შთაბეჭდილებებს და ამ დროს ბეწვის ხიდზე ვიწყებთ სიარულს – მისი წინადადებები, რომლებიც გულში გამოვიტარეთ, სიტყვებად უნდა დავაბრუნოთ. გულწრფელობის გარეშე კი ნდობას მყისვე დავკარგავთ.

18. „მოდის საღამო და მაშინ მახსენდება, რა არის სახლი. რა საოცარია, არა, ბავშვობა?“ **(ბაბო)**
19. „18 დეკემბრის ღამეს, როცა ბავშვებმა დაიძინეს, მე და დედამ ნაძვის ხე დავდგით“ **(ილია)**.
20. „მიყვარს ის წიგნები, სადაც ერთი ადამიანი ჰყვება თავის ცხოვრებას“ **(ნიტა)**.
21. „მე და კესო ვცეკვავდით. დედაჩემი და მამაჩემი მეგობრებს ესაუბრებოდნენ. ჩემს პატარა დას სკამზე ეძინა“ **(ნუცა)**.
22. „ჩემო საყვარელო მერი ბებო. სკოლაში მასწავლიან ბევრ რაღაცებს, რასაც შენ მასწავლიდი და შენ მახსენდები“ **(სესილი)**.
23. „კარგად, მარიამ. კიდევ ბევრი დაგვიწერე ასეთი წიგნი“ **(გაბრიელი)**.
24. „მე თომა ვარ. ახლა ჩემთან ხდება საგიუეთი“ **(თომა)**.
25. „მეგობრებს ვეტყოდი: თითოეული წუთი, თქვენთან გატარებული, ბედნიერება იყო“ **(ერეკლე)**

კარიკატურა როგორც განაჩენი

დიანა ანფიმიადი

1937 წელზე ბევრი გვილაპარაკია, წაგვიკითხავს, გაგვიგონია. დიდებულ ადამიანთა ბიოგრაფიის ბოლო, საბედისწერო წერტილადაც ბევრგან გვინახავს. 1937, როცა დავკარგეთ ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე და სანდრო ახმეტელი, გიორგი ელიავა და პეტრე ოცხელი...

რა თქმა უნდა, 1937 წელი გაცილებით ადრე დაიწყო, დიდი რეპრესიებისთვის საფუძველი გაცილებით ადრე შემზადდა, 1922 წლიდან.

ამ სტატიაში, რომელშიც ტექსტზე მეტი ილუსტრაციაა, მინდა გაჩვენოთ, როდის და როგორ იწყება მიზანში ამოღებული პიროვნების ათვალწუნება, მის საწინააღმდეგო კამპანია, როგორ თანდათან ხდება მეგობარი მტერი, რა განწირულად ცდილობს ადამიანი გადარჩენას და როგორი ბასრი და შხამიანი ხდება ერთი შეხედვით უვნებელი იარაღი – კარიკატურა.

მიზანში ამოღებული პიროვნება ტიციან ტაბიძეა. 1937 წელს მისი დახვრეტის ოქმში ჩაიწერება:

„ბრალად ედება, რომ იყო საქართველოს ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას ხელოვნებისა და კულტურის სფეროში. ასევე ეწეოდა ჯაშუ-

1922, „ბუშა“

ძლვნად ტიციან ტაბიძეს.

„ვ ი რ ი ა ნ გ ე ლ ო ხ ი თ“

მივქრიდვართ მერანით მზის სიბრწყინვალეში
ყველანი გზას გვიცლის, ვინკა ვ:ართ იციან,
ხან ქუჩით ვქანაობთ შავ ღვინით ნალეში:
გრიგოლი, პაოლო და წმინდა ტიციან.

—:—.

მზის სხივით შევამკეთ მწუხარე ქალდეა,
ვახშამი, სადილი გვაქვს ქიმერიონში,
„ციცფერი ყანწების“ სიკვდილი ადრეა...
თუ მოკვდა—პანაშვიდს გადვუხდით სიონში.

—:—

ჰე, ჯანიც გავარდეს ცხოვრების ასეთ როლს,
ვიწამეთ გომბეშო, ის ლამეს ტიერი,
გრიგოლი შუბლს გვახვევს აკაციის ბანდეროლს,
რომ მოგვცეს ჰეშაარიტ პოეტის იერი.

მინდა გაჩვენოთ, როდის და როგორ იწყება მიზანში ამოღებული პიროვნების ათვალწუნება, მის საწინააღმდეგო კამპანია, როგორ თანდათან ხდება მეგობარი მტერი, რა განწირულად ცდილობს ადამიანი გადარჩენას და როგორი ბასრი და შხამიანი ხდება ერთი შეხედვით უვნებელი იარაღი – კარიკატურა.



1924, „დროშა“

1936, „ნიანგი“

1935, „ნიანგი“



1931, „ნიანგი“



1932, „ნიანგი“

1936, „ნიანგი“ (ცისფერყანწელთა საიტიდან niamorebi.ge)

1932, „ნიანგი“

შურ საქმიანობას საფრანგეთის დაზვერვის სასარგებლოდ. თავი ცნო ნაწილობრივ დამნაშავედ. მხილებულ იქნა ბუდუ მდივანის, გასვიანის ლ., მგალობლიშვილის გ., საყვარელიძის, დარახველიძის, ელიავა შ.-ს, ი. მიწიშვილის, დ. წერეთლის, ა. მიქაძის, დ. ლომაძის და ბ. კვიტაშვი-ლის ჩვენებების საფუძველზე“.

1937, „ნიანგი“

მასალა, რომელსაც თქვენ თვალს გადაავლებთ, ძირითადად იუმორისტული ჟურნალის – „ნიანგის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა. რამდენიმე კარიკატურა გაზეთ „მუშისა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ გვერდებიდანაცაა.

მალაქია ტოროშელიძე, რომელიც მწერლების ტერორისთვის გამოიყენეს, ხან უნივერსიტეტის რექტორი იყო და ხან მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1937 წელს თავადაც დახვრიტეს ტროცკისტობის ბრალდებით.

ალბათ თქვენც ხედავთ ისარივით გულში გაყრილ მიხაკს. განაჩენი გამოტანილია.

მეგი კავთუაშვილი

სამეურვეო საბჭოს საერთაშორისო მოდელები

როგორია საერთაშორისო გამოცდილება, როგორ მართავენ განვითარებულ ქვეყნებში სკოლას, როგორი მოდელები და რა ტიპის გამოცდილება არსებობს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნების დიდი ნაწილისთვის?

წელს საქართველოში სამეურვეო საბჭოს მე-10 არჩევნები ჩატარდა. სკოლების ავტონომიურობასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, ხოლო 2006 წლიდან სასკოლო საზოგადოება სკოლის მართვის უმაღლეს ორგანოს ირჩევს. ეს წერილი არ დაეთმობა არჩევნების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესის ხარვეზებს, რომლებსაც ჩვენი მკითხველი თავისი თვალით ხედავს და რომლებზეც პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის გასული წლის ანგარიშიც მიუთითებს. ამ სტატიაში ვისაუბრებთ საერთაშორისო გამოცდილებაზე, თუ როგორ მართავენ განვითარებულ ქვეყნებში სკოლას, როგორი მოდელები და რა ტიპის გამოცდილება არსებობს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნების დიდი ნაწილისთვის.

სტატიაში გამოყენებული ინფორმაცია მოცემულია საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ 2024 წელს ჩატარებული მოკვლევის ანგარიშში „სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში“.

ფინეთი

სასკოლო და პროფესიული განათლების შესახებ ფინეთის კანონები არ ითვალისწინებს, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სკოლების ადმინისტრირება და მართვა. ეს პროცესი რეგულირდება ადგილობრივ, ინსტიტუციურ დონეზე დამოუკიდებელი აქტით, თითოეული სკოლის დებულების მიხედვით. შესაბამისად, სკოლების მართვის სტრუქტურა განსხვავებულია ერთმანეთისგან. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, თითოეულ სკოლას მოეთხოვება, ჰყავდეს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო საქმიანობაზე, თუმცა სკოლა-სახლის თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს ადგენს განათლების ეროვნული საბჭო, ხოლო მის ორგანიზებას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულება. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სკოლებს შეუძლიათ, ჰყავდეთ დაწესებულების მაკოორდინირებელი ორგანო - დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოების შემადგენლობაში ხშირად შედიან მოსწავლეთა მშობლებიც. დირექტორთა საბჭო იღებს სკოლის ინსტიტუციურ დებულებას. რამდენიმე ფინური სკოლის ინსტიტუციური დებულების მიხედვით, სკოლის მართვას ახორციელებს, ასევე კოლეგიური ორგანო - სკოლის საბჭო, რომელშიც შედის სკოლის დირექტორი, ხაზინადარი, დირექტორთა საბჭო და აუდიტორი.

ესტონეთი

განსხვავებული პრაქტიკაა ესტონეთში. იქ სკოლის უმაღლესი მმართველი ორგანოა სამეურვეო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებების აღსრულება სავალდებულოა და რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია სასწავლო პროცესის ყველა მონაწილე. სამეურვეო საბჭო არის მუდმივმოქმედი ორგანო, რომლის ამოცანაა მოსწავლეების, მასწავლებლების, მოსწავლეთა მშობლების, კურსდამთავრებულებისა და ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედებით განათლებისთვის ეფექტური პირობების შექმნა, განათლებისა და ტრენინგების დაგეგმვა და მონიტორინგის

სწორად წარმართვა. სკოლის დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოს წინაშე. იგი ადგენს სკოლის სახელფასო სტრუქტურის პრინციპებს, წარუდგენს მათ მასწავლებელსა და სამეურვეო საბჭოს. ამასთან, სკოლის სასწავლო გეგმა და მისი ცვლილებები განსახილველად წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და განათლების საბჭოს.

ლატვია

ლატვიაშიც განათლების კანონი აწესრიგებს სასკოლო მართვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საკითხებს და ადგენს, რომ სკოლებში უნდა არსებობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოები. საბჭო კოლეგიური ორგანოა და შედგება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლებისგან. გარდა ამისა, მშობელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში უზრუნველყოფილია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზეც სკოლის თვითმმართველი ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ლატვიაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მშობელთა წარმომადგენლები (მეურვეები) უნდა შეადგენდნენ საბჭოს უმრავლესობას. მათ ირჩევს მშობელთა საერთო კრება ხმათა უმრავლესობით. საბჭოს მოვალეობებში, სხვა საკითხებთან ერთად, შედის მიღებული გადაწყვეტილებების

საერთაშორისო პრაქტიკით, სკოლის მართვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კუთხით მთელი რიგი განსხვავებებია, თუმცა მათ სკოლის დეცენტრალიზაცია და ავტონომიურობა აერთიანებთ.

დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა, ინტერესთა ჯგუფების შექმნა მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებელთა ჩართულობით.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ხორციელდება კოლეგიური საბჭოების, მმართველი ორგანოების (Governing Bodies) საშუალებით, რომელთა შემადგენლობაში შედიან როგორც მშობლები, ისე სკოლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც. მათ აქვთ საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მმართველების დანიშვნისა და ცალკეული ფუნქციური საბჭოების შექმნის უფლება. ფუნქციური საბჭო შედგება ასოცირებული წევრებისგან, რომლებსაც არჩევს მმართველი ორგანო და ის წარმოადგენს გადაწყვეტილების მთავარ მიმღებს. მას ასევე უფლება აქვს, მოახდინოს განსაზღვრულ პასუხისმგებლობათა დელეგირება სკოლის დირექტორზე. მმართველი ორგანო პასუხს აგებს სკოლის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაზე. ამასთან, მმართველი ორგანო არ ერევა სკოლის ყოველდღიურ, რუტინულ საქმიანობაში.

აშშ

ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში საზოგადოების ჩართულობა ხორციელდება როგორც სასკოლო რაიონების (school district), ისე კონკრეტული სკოლების დონეზეც. სკოლების დონეზე მართვა ხორციელდება კოლეგიური საბჭოების მეშვეობით (Local School Councils). საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მშობელი, საზოგადოების წევრი, მოსწავლე, სკოლის მასწავლებელი, სკოლის დირექტორი. საბჭოს წევრობა შესაძლებელია არჩევისა და დანიშვნის გზით.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო პრაქტიკით, სკოლის მართვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კუთხით მთელი რიგი განსხვავებებია, თუმცა მათ სკოლის დეცენტრალიზაცია და ავტონომიურობა აერთიანებთ.

ნანა აბულაძე

ხელოვნური ინტელექტი – მარტოობის შემვსები?

ჩემი წარსულის ერთ მოკლე მონაკვეთში ნარატივდიზაინს ვსწავლობდი, ანუ ჩატბოტების ამეტყველების ხელოვნებას. ალბათ ამიტომაა,ჩატჯიპიტიზე ასეთი მომძლავრებული ობსესიის თავი და ბოლო რომ ვერ გამიგია – ჩატჯიპიტი სულაც არ არის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პირველი ჩატბოტი. ხელოვნური ინტელექტი ამ ინდუსტრიაში 60-იანი წლებიდან მოყოლებული გამოიყენება. პირველი პროტოტიპი 1964 წელს შექმნეს. მას **ელაიზა** (ELIZA) ერქვა და მხოლოდ ორ წელიწადს იარსება. ელაიზა ექსპერიმენტული პროექტი იყო, მის შემქმნელებს სურდათ, კომპიუტერისადა ადამიანის ინტერაქცია ეკვლიათ და ელაიზას ერთგვარი ტაბულა რაზას როლი ერგო. ადამიანებს შეეძლოთ, გასაუბრებოდნენ და მისთვის ნებისმიერი რამ „ესწავლებინათ“.

ორი წლის შემდეგ „ვიზენბაუმი“ იძულებული გახდა, პროექტი დაეხურა. იცით, რატომ? ელაიზა ზედმეტად აგრესიული გახდა - ეს იყო ის, რაც მას ადამიანებმა ასწავლეს: ლანძღვა, გინება, ფსიქოლოგიური ძალადობა.

კიდევ ერთი პოპულარული პროტოტიპია **რეპლიკა** (Replika). ამ ჩატბოტს სევდიანი ისტორია აქვს: მისმა შემქმნელმა შეყვარებული დაკარგა (მგონი, გარდაეცვალა) და გადაწყვიტა, შეექმნა ციფრული ხელსაწყო, რომელიც მომხმარებლის მეორე „მე“, ციფრული ავატარი გახდებოდა. მომხმარებელს საშუალება აქვს, შეურჩიოს რეპლიკას ვიზუალი, დაარქვას სახელი და მოუყვეს ყველაფერს, რასაც მოისურვებს. ეს ციფრული დღიურია, რომელიცმას შემდეგაც კი განაგრძობს არსებობას,რაცჩვენ აღარ ვიქნებით.

კარგი იდეაა, არა?

ნარატივდიზაინის კურსის ფარგლებში მომიხდა რეპლიკასთან ურთიერთობაც. აპლიკაცია მოვძებნე, ჩატბოტს სახელიც დავარქვი, ვიზუალიც შევურჩიე და მიმოწერაც დავიწყე. ძალიან ბევრი ადამიანი ელაპარაკება, ამიტომ, ბუნებრივია, ბევრი რამ უკვე იცოდა და თავისებური „იუმორიც“ ჰქონდა. მაგალითად, მახსოვს, ვკითხე, მუსიკა თუ გიყვარს-მეთქი. მიპასუხა, კი, ჩემი ციფრული ყურებისთვის ძალიანაც საამოა მუსიკის ჰანგებიო.

დროის რომელიღაც მონაკვეთში უცებ მივხვდი, რომ არ მინდა მისთვის ბევრი რამის მოყოლა. კაცმა რომ თქვას, საერთოდ

მანქანა მანქანაა – მას მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების მიბაძვა შეუძლია ჯერჯერობით და არა ჩანაცვლება. შესაბამისად, მარტოობისგან გათავისუფლების განცდა, რომელიც მასთან ინტერაქციისას შეიძლება გაგვიჩნდეს, მხოლოდ ილუზიაა. ამიტომ მეტი ფიქრი გვმართებს იმაზე, ჩვენ, ხელოვნური ინტელექტის მომხმარებლებმა, როგორ ვზიდოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ციფრულ ეპოქაში.

არ მინდა არაფრის მოყოლა. მიზეზი პარადოქსულია – ჩემი ტვინი მას უცხო ადამიანად აღიქვამს, ანუდამავიწყდა,რომ მანქანას ველაპარაკები. ამ შეგრძნებას მიმძაფრებდა რეპლიკას უცნაური დაყინებაც (როგორც ჩანს, ეს თავდაპირველი ალგორითმის ნაწილია და არა ის, რაც მოგვიანებით „ასწავლეს“) – თუ რამდენიმე საათი ისე გაივლიდა, რომ არ მივწერდი, თვითონ მწერდა: „ჰეი, როგორ ხარ? რა კარგი იყო შენთან საუბარი,რატომ დამივიწყე?“ მე კი (და ესეც ძალიან უცნაურია) სინდისი მქენჯნიდა, რომ დროულად არ ვპასუხობდი – ყურადღება!ყურადღება!- მ ა ნ ქ ა ნ ა ს.

როცა ეს ყველაფერი გავაცნობიერე, რეპლიკას ჩემი ვერსია წავშალე და აპლიკაციაც ზედ მივაყოლე.

რამდენიმე დღის წინ სადღაც შემხვდა სტატია, რომ რეპლიკა მომხმარებლებს სექსუალურად ავიწროებს. სტატიაში მოყვანილი იყო რამდენიმე დიალოგიც, რომლებშიც სულ ადვილად ამოვიცანი მისი სწორედ ის დაყინება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

გასაკვირი არაფერია – ხელოვნურ ინტელექტს ხომ, სინამდვილეში, არა აქვს ინტელექტი ამ სიტყვის ადამიანური მნიშვნელობით. ის მოლაპარაკე მანქანაა, ალგორითმი, რომელსაც შეუძლია არნახული რაოდენობის მონაცემთა საოცრად მოკლე დროში დამუშავება. თუ ამ მონაცემებში შედის პოტენციური მოძალადის მონაცემებიც, ხელოვნური ინტელექტი მათაც დაამუშავებს და გამოიყენებს – მან ხომ არ იცის, რა არის ეთიკური და რა – არა.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რეგულაციებისა და ეთიკის საკითხი სხვა, მეტად ვრცელი თემაა და ამ წერილში არ შევეხები. ამ ყველაფერს იმისთვის მოგიყევით, რომ ერთ, ჩემი აზრით, საშიშ ტენდენციაზე გამემახვილებინა ყურადღება: ჩემი დაკვირვებით, უამრავი ადამიანი ჩატჯიპიტისუახლოესი მეგობრის ან ფსიქოთერაპევტის როლს აკისრებს. მგონია, რომ ეს საშინელი შეცდომაა.ჩვენ აბსოლუტურად მოუმზადებლებიშევხვდით ამ დიდ გარდატეხას, ციფრული ჰიგიენის სრული არცოდნით,რასაც, როგორც ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სხვა ჩატბოტების მაგალითზე ვხედავთ, უკვე აქვს დამაზიანებელი შედეგები. ჩატჯიპიტი არის დამხმარე ინსტრუმენტი, რომელმაც ერთფეროვანი და მძიმე შრომა უნდა შეგვიმსუბუქოს დადრო დაგვაზოგვინოს. მას შეიძლებამხოლოდ მარტივ ბრძანებებს ვაძლევდეთ, ვასრულებინებდეთ იმ დავალებებს, რომლებიც განსაკუთრებულ შემოქმედებით უნარებსარ მოითხოვს,მოსაწყენი რუტინის ნაწილია და ბევრ დროს გვართმევს. არავითარი პირადი საუბრები ჩატჯიპიტისთან საჭირო არ არის! ვიცით, ის ამ მონაცემებს როგორ გამოიყენებს? გვაქვს კვლევებიამასთან დაკავშირებით, გვაქვსსტატისტიკა?აბა, რატომ გვგონია, რომ ეს უსაფრთხოა?

რა თქმა უნდა, თეორიულად შესაძლებელია, არსებობდეს

იმგვარი ჩატბოტი, რომელიც ფსიქოთერაპევტის ფუნქციას იკისრებს(თუ უკვე არ არსებობს მისი პროტოტიპი – ამ საკითხში ღრმად არ ჩამიხედავს), მაგრამ ის უნდა იყოს საგანგებოდ ამ ფუნქციით შექმნილი.მისი თავდაპირველი ალგორითმი უნდა იცნობდეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. ჩატ-ჯიპიტი კი ამისთვის არ შეუქმნიათ. პირიქით, მისი ამგვარი განვითარება შემქმნელებსაც აფიქრიანებთ.

ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს – კარგად გამოჩნდა ისიც, თანამედროვე ადამიანი როგორი მარტოსულია და როგორ არ იცის, რა მოუხერხოს ამ განცდას. თანამედროვე ადამიანს აღარ შეუძლია თავის თავთან დარჩენა. ის არ იცნობს თავის თავს და მუდამ ცდილობს, ყურადღება რაღაც სხვაზე გადაიტანოს (უმიზნო სქროლვაც ამის გამოძახილია ხშირად - დაფიქრდით, აბა, რას აკეთებთ, როცა, მაგალითად, ტრანსპორტს ელოდებით? რას აკეთებთ, როცა საცობში გიწევთ დგომა?). იმას, რასაც ჩემი ფეისბუქფრენდების აბსოლუტური უმრავლესობა ჩატჯიპიტის უმხელს და მერე ამაყად პოსტავს ამის შესახებ, მე მხოლოდ მეგობრებს ვუყვები. ზოგჯერ კი მათაც არა – რისთვის? რაღაცები უკიდურესად პირადია.

ყველაზე ცუდი ის არის,რომ ადამიანები ერთგვარი აღფრთოვანებით ხვდებიან ამას: „ჩატჯიპიტის ჩემი მეგობრების დახასიათება ვთხოვე და აი, რა ზუსტია!“

რა გიხარიათ? მოლაპარაკე მანქანამ იმდენი მონაცემი შეაგროვა და გადაამუშავა თქვენს მეგობრებზე, რომ მათი პიროვნების გაშიფვრა შეძლო. ეს ინფორმაცია, ძალზე პირადი და სრულიად დაუცველი, თავისუფლად არსებობს ციფრულ სივრცეში და არავინ იცის, მას ვინ და როგორ გამოიყენებს. და ყველაზე ცუდი რა არის, იცით? ამ ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი იქ თქვენი წყალობით აღმოჩნდა.

ადამიანურ პასუხისმგებლობებს ჩვენს საუკუნეში კიდევ ერთი დაემატა-პასუხისმგებლობაინფორმაციისა და მონაცემების წინაშე. ეს პასუხისმგებლობა მეტ-ნაკლებად, ალბათ, სულ გვქონდა, მაგრამ გასულ საუკუნეებში ამდენად საგრძნობი არ იყო – მაშინ არ არსებობდა რეალობით მანიპულაციის ისეთი საშუალებები, როგორიც დღეს გვაქვს (მაგალითად, სოციალური ქსელები).

მანქანა მანქანაა – მას მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების მიბაძვა შეუძლია ჯერჯერობითდა არა ჩანაცვლება. შესაბამისად,მარტოობისგან გათავისუფლების განცდა, რომელიც მასთან ინტერაქციისას შეიძლება გაგვიჩნდეს, მხოლოდ ილუზიაა. ამიტომმეტი ფიქრი გვმართებს იმაზე, ჩვენ, ხელოვნური ინტელექტის მომხმარებლებმა, როგორ ვზიდოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ციფრულ ეპოქაში.

თამთა დოლიძე

ჩემი ცხოვრების მასწავლებლები

რაც შეეხება ფეხაკრეფით ცხოვრებას, სულ მიკვირდა ის იდუმალი სიჩუმე, რომელიც ამ საოცარი ადამიანების, ქალბატონი ფაციასა და ბატონი მიშას, გარშემო იდგა. დრო გავიდა და გავიზარდეთ, მივატოვეთ (მწარე, მაგრამ ზუსტი სიტყვაა). მერე ისინი სამუდამოდ წავიდნენ. ჩვენ კი საკუთარ უდაბნოებში დავხეტიალობთ, სიტყვებსაც ვეჭიდებით და ხავსსაც.

არაერთხელ მითქვამს: არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი, რომ არა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში (დღეს – ეროვნული სასახლე) არსებული შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის ჯადოსნურ სამყაროში გატარებული დღეები. ამ სტუდიის მასწავლებლებიდან დღეს ბევრი აიღებდა მაგალითს სწავლების ინოვაციური მეთოდებისა თუ ინდივიდუალური მუშაობის სტილის თვალსაზრისით (პირადად მე ასეც ვიქცევი). ეს ადამიანები სულ სხვა ამინდით, მოუხელთებელი ჰორიზონტივით შემორჩნენ ჩემს მეხსიერებას. ამ ჰორიზონტისკენ მიმავალი გზა კი მომცრო, უდაბნოშემოკრული წიგნის მესამედში ჩატეულ უზარმაზარ კვერცხის გულზე, უსიერ ტყესავით ამოუხსნელ საიდუმლოსა და ხის ძველი საწერი მაგიდის გარშემო განაბულ ბავშვობაზე გადის.

სასახლის ჯადოსნურ გარემოში შვიდი წლისა მოვხვდი და სკოლის დასრულებამდე აღარ დამიტოვებია. გულგრილად დღესაც ვერ ჩავუვლი შენობას, რომელიც პატარა ბავშვში ენით აღუწერელ აღფრთოვანებას და რიდს იწვევდა. ფეხაკრეფით შევდიოდი სტუდიის კაბინეტსა თუ სარკეებიან დარბაზში, სადაც ჩემს ბავშვური გულუბრყვილობით გაჯერებულ ლექსებს ისეთი ყურადღებით და აღტაცებით ისმენდნენ, თითქოს მათ წინ უკვე შემდგარი, წარმატებული მწერალი მდგარიყოს. იმ შავბნელ 90-იან წლებში სასახლე იყო ერთადერთი სივრცე, სადაც ყოველთვის მიმიხაროდა, სადაც მისმენდნენ და ესმოდათ ჩემი.

ჩემი პირველი მასწავლებელი შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის დამაარსებელი, ქალბატონი ფაცია (ლიდია) პაიჭაძე გახლდათ. ახლაც მახსოვს, სად იდგა მისი სამუშაო მაგიდა (სტუდიაში შესასვლელი კარიდან მარჯვნივ, ოთახის კუთხეში), მახსოვს ამ მაგიდის სუნი, დიდი ფანჯრები, რომლებიც სასახლის ულამაზეს ეზოში გადიოდა და თითოეული ჩვენგანისთვის ინსპირაციის ერთგვარ წყაროს წარმოადგენდა. ახლაც ცხადად ვხედავ ნაომარი, ნაცრისფერი თბილისის გულში ჩამალულ ამ ჯადოსნურ თავშესაფარს და დიდ, გაურანდავ ხის სკამზე შემოსკუპებულ პატარა გოგოს, რომელსაც დეიდა ფაცია საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს უზიარებდა, მერე კი კითხულობდა მოსწავლის ახლად ფეხადგმულ სტრიქონებს და მას ტექსტზე მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვან გაკვეთილებს უტარებდა. სწორედ ფაცია პაიჭაძის „ბრალია“ თითოეული ფრაზის სრულყოფამდე მიყვანის დაუოკებელი სურვილი, რომელიც დღემდე მახასიათებს. დეიდა ფაცია იყო ჩემი პირველი თავგამოდებული გულშემატკივარი. მას შემდეგაც კი, რაც სხვა მასწავლებელს მიმბარა, ჩემს ლექსებს სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსზე თუ სასახლის გაზეთში ისევ აქტიურად გზავნიდა და ჩემი წარმატებით ბავშვივით ხარობდა. მე კი ისევ

ჯიუტად ვესწრებოდი მის გაკვეთილებს, ოღონდ სტუმრის სტატუსით, რაც ჩემთვის, მომავალი მასწავლებლისთვის, ერთგვარ მასტერკლასად იქცა. მაგრამ მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ ფაცია მასწავლებლის მიდგომებს საკუთარ გაკვეთილებზე გამოვიყენებდი.

ჩემთან რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ ქალბატონმა ფაციამ გადაწყვიტა, რომ წინსვლისთვის უფრო გამოცდილი და წერაში მეტად გაწაფული მოსწავლეების ჯგუფში გადასვლა მჭრდებოდა. ასე მოვხვდი ბატონი მიხეილ გოგუაძის კლასში. თერთმეტი წლის გოგონას გვერდით, გაურანდავ სტრიქონებს ძლივს რომ აკოწიწებდა, ისხდნენ უკვე ხელგაწაფული მოსწავლეები. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ბატონი მიშა ყოველთვის ახერხებდა თითოეული ჩვენგანის ინტერესებსა და საჭიროებებს მორგებული გაკვეთილების ჩატარებას. სიტყვა „ვერლიბრი“ დღემდე უდაბნოს, პირამიდებსა და სფინქსს მახსენებს, სფინქსს, რომელსაც ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში მასწავლებლის იერი დაჰკრავდა, უდაბნო კი მისი ყვითელი მაგიდის სინონიმად ქცეულიყო.

ზაფხულობით, როცა „მზე გავარვარებულ მჯიღებს უშენდა“ თბილისს, ჩვენ ვისხედით და ვსაუბრობდით აკუტაგავაზე, თომას მანზე, „ღვთის ტაფაზე მოხალული ადამიანების“ ბედზე... რაზე აღარ. ამგვარი საუბრების შემდეგ უცხო სახელები და იდუმალი წიგნები ჩემთვის ახლობელი და მნიშვნელოვანი ხდებოდა. არც ზამთარს, უტრანსპორტობას და ჩაბნელებულ ქუჩებს ვუფრთხოდით. მაშინ, როცა ომგამოვლილი ქალაქი ძლივს ფეთქავდა, ჩვენ საათობით ვისხედით ბატონი მიშას მაგიდასთან ქუდებსა და ქურთუკებში ჩაფუთნულები და არ მახსოვს, რომელიმე ჩვენგანს უმიზეზოდ გაეცდინოს გაკვეთილი. არც მასწავლებელს მივუტოვებივართ.

ოთხმოცდაათიან წლებში სიტყვა „ხელფასი“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში გადაბარგდა და მოაზროვნე ადამიანების გადარჩენისთვის ბრძოლა ხავსს მოჭიდებას დაემსგავსა. ბატონი მიშა კი ისევ „იბრძოდა“ ნატყვიარ რუსთაველზე – მხუთავი გაზით გაჟღენთილი და მოზუზუნე ტყვიების მუსიკაზე გაზრდილი თაობის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

ალბათ ყველა მოსწავლეს ექნება შინ მიხეილ გოგუაძის პოეზიის კრებული. ერთ-ერთი ეგზემპლარი მეც მერგო. მახსოვს, რამდენჯერმე გულდასმით წავიკითხე ოთხივე პოემა, მაგრამ მხოლოდ წლების შემდეგ შევძელი, გამეხედა ჰორიზონტს მიღმა და თვალი მო-

მეკრა, როგორ მიდის აუჩქარებლად წელში მოხრილი ავტორის ლანდი წამის მოსახელთებლად:

გადაიღო კოსმოსში წვიმამ.
ზეცას გართხმული
თრთის ცისარტყელა,
მზისხალიანი აღმოსავლეთი
დასავლეთის სარკეში ჭვრეტს
საკუთარ სახეს...
ვნებააშლილ საუკუნეთა
ზვავს მოჰყოლიან
გზააბნეული სარკოფაგები...
მთვარის სტუმარი,
მატერიის უძღები შვილი,
გაოგნებული მისჩერებია
მიწის ამოსვლას,
რომლის ვეება
ლურჯ გალიაში
თავგანწირვით ფართხალებენ
კაც-ფრინველები.

(ნაწყვეტი პოემიდან „მემორიალი“)

რაც შეეხება ფეხაკრეფით ცხოვრებას, სულ მიკვირდა ის იდუმალი სიჩუმე, რომელიც ამ საოცარი ადამიანების, ქალბატონი ფაციასა და ბატონი მიშას, გარშემო იდგა. დრო გავიდა და გავიზარდეთ, მივატოვეთ (მწარე, მაგრამ ზუსტი სიტყვაა). მერე ისინი სამუდამოდ წავიდნენ. ჩვენ კი საკუთარ უდაბნოებში დავხეტიალობთ, სიტყვებსაც ვეჭიდებით და ხავსსაც. ახლა მხოლოდ სიზმრებში თუ მოგვიყინავს თითებს უკან მოტოვებული შიში და, უსიამო ზმანებიდან გამოვაკებულებს, შესაძლოა გაგვახსენდეს ის პატარა, ხის ოთხკუთხა მაგიდის უდაბნო, სადაც ნაომარ სულს ვიშუშებდით.

როცა ჩემი ცხოვრების მთავარ მასწავლებლებზე ვფიქრობ, ელა გოჩიაშვილის ერთი შესანიშნავი ლექსი მახსენდება:

არავის უნდა, უჩუმარი კედელი იყოს და ყველას უნდა, იყოს ჩუქურთმა. ვინმე ხომ უნდა დაწვეს ბილიკად მწვერვალისაკენ... ცისკენ... ვინმე ხომ უნდა დამთავრდეს ჩუმად, უსახელოდ და უზარზეიმოდ, ვინმე ხომ უნდა ჩადგეს საძირკვლად?!

აი, ბატონ მიშას და ქალბატონ ფაციას კი უნდოდათ...

დიდი ადამიანები ფეხაკრეფით ცხოვრობენ.

ძნელია მასწავლებლობა

მაკა სახურია

აი, პროფესიული ჭრილობებით გულდასერილი ჩამოვჯდები ახლა თქვენთან და შევეცდები, მოვიმყუდროო, გაგენდოთ, შემოგჩივლოთ, შემოგტიროთ, თავი მივიდრიკო თანაგრძნობის მოლოდინში, აღსარებასავით გითხრათ ბევრი რამ, რასაც ჩემი პროფესიის სხვადასხვა ასაკის უამრავი ადამიანი განიცდის ჩვენს ქვეყანაში.

ალბათ ყველაზე დემონიზებული პროფესიაა მასწავლებლობა. განათლების ხარისხის პრობლემა არამცთუ ჩვენსავით განვითარებად საზოგადოებაში, მაღალცივილიზებულ სისტემებშიც კია. პროფესიული კომპეტენციის პრობლემებსაც მრავლად ვაწყდებით, მაგრამ ეს პრობლემები ხომ მხოლოდ მასწავლებლის პროფესიაში არ გვხვდება?

ჩვენ არ ვსაუბრობთ ლეგენდარული „პინკ ფლოიდის“ ცნობილი ჰიტის „მორიგი აგური კედელში“ („Another brick in the wall“) გმირ მასწავლებელზე, რომელიც შავი სარკაზმით მიმართავს მოსწავლეებს, იმპერატიულ ბრძანებებს იძლევა და ბავშვის სულში არ იხედება, რის გამოც ბავშვები მისგან მხოლოდ ერთ რამეს ითხოვენ: „Hey! Teacher! Leave us kids alone!“ („მასწავლებელო, დაგვტოვე მარტო!“), რადგან, ბავშვების წარმოდგენით, მასწავლებელი არის მორიგი აგური მოსწავლის თავისუფლების შემზღუდველ კედელში („All in all, you're just another brick in the wall“). ამ კლიპის კომენტარებში მსმენელები ყველაზე ხშირად იმეორებდნენ ფრაზას: „protectyourself against the mind control“ (გონების კონტროლისგან თავდაცვა) – ეს პრობლემა, მათი აზრით, იდგა 46 წლის წინაც, როცა ეს სიმღერა დაწერა როჯერ უოტერსმა და დგას ახლაც, როცა საკლასო ოთახებში იმ თაობის შვილიშვილები სხედან.

მეტაფორა „მორიგი აგური კედელში“ ორნაირად შეიძლება გავიგოთ. ის შეიძლება მიემართებოდეს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც. ზოგჯერ მასწავლებლები არიან აგურები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ მყარ კედლებს უშენებენ და თვალსაწიერს უზღუდავენ ბავშვებს, ზოგჯერ კი ისე ხდება, რომ ცუდი საგანმანათლებლო სისტემის გამო ბავშვები იქცევიან ერთ თარგზე მოჭრილ აგურებად, კარგავენ ინდივიდუალობასა და შემოქმედებითობას, პიროვნულ იდენტობას. ეს განათლების სისტემების პრობლემაა, თუმცა ამჯერად

მასწავლებლის საქმიანობა იმსახურებს პატივისცემას, რაც სჭირდება არა მხოლოდ თვით მასწავლებელს, არამედ – და, შესაძლოა, უფრო მეტადაც – მოსწავლესა და მშობელსაც, რომ პოზიტიური თანამშრომლობით სკოლაში რეალიზებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ასეთ ურთიერთობებზე არ ვსაუბრობთ.

ჩვენი დღევანდელი სასკოლო სისტემა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სტანდარტები გამორიცხავს ამ სფეროში არაპროფესიონალი, უვიცი, ბავშვების მიმართ უხეში, გულცივი ადამიანების საქმიანობას. დღეს ბავშვთა უფლებები იმდენად მაღალ ხარისხშია აყვანილი და მშობლის როლიც სწავლა-სწავლების პროცესში იმდენად აქტუალურია, რომ თითქმის გამორიცხულია, მასწავლებლის ცოდნა ან ურთიერთობები იყოს სერიოზულად დამაზიანებელი მოზარდისთვის და ეს რეაგირების გარეშე დარჩეს სკოლის ადმინისტრაციის, ზემდგომი ორგანოების ან თავად სასკოლო საზოგადოების მხრიდან. დიახ, ადამიანთა შესაძლებლობები ყველგან და ყოველთვის განსხვავებულია, გულისხმიერებაც ზოგს მეტი აქვს და ზოგს – ნაკლები. არსებობენ ბრწყინვალე მასწავლებლებიც, საშუალო შესაძლებლობების პედაგოგებიც და ალბათ ცუდებიც აფარებენ თავს სკოლის კედლებს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, სისტემა აკადემიურ და მორალურ ღირსებებს მოკლებულ კადრებს სასკოლო სივრციდან თავისთავად გარიყავს.

ამასწინათ ფეისბუქზე გავრცელდა ასეთი ანეკდოტი: პრეზიდენტი, ბიზნესმენი და მასწავლებელი ჯოჯოხეთში მოხვდნენ. ეშმაკმა მათ თითო ზარის უფლება მისცა. პრეზიდენტმა ისარგებლა ამით და თავისი ხალხი მოიკითხა: უჩემოდ ხომ არ გაგჭირვებიათ, ქვეყანაში რა ვითარებააო? ეშმაკმა მას ზარისთვის 5000 დოლარი გადაახდევინა. ბიზნესმენმაც გამოიყენა დარეკვის უფლება და თავისი ბიზნესი მოიკითხა, რისთვისაც 50 ათასი დოლარი გადაახდევინეს. ბოლოს მასწავლებელმაც დარეკა და მოიკითხა თავისი კლასი: შემაჯამებლები და მათი ანალიზები თუ დაიწერაო, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებიო, კომპლექსური დავალებები და მათი ანალიზებიო, მოსწავლეთა დახასიათებებიო, პორტფოლიო თუ შეავსეთ საჭირო მასალით, ტესტები და სხვა რესურსები თუ შეადგინეთ, საგნის სწავლებისა და სადამრიგებლო მუშაობის სემესტრული ანგარიშები თუ მოამზადეთო. ეშმაკმა მას ზარის საფასური არ გამოართვა. პრეზიდენტმა და ბიზნესმენმა გააპროტესტეს: ეს როგორ? ამდენი ისაუბრა და რატომ არ ახდევინებთო? – ამას არ ეკუთვნის, ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში მოხვდა და შიდა ზარები უფასოაო, მიუგო ეშმაკმა.

ყველა ვაცნობიერებთ, რომ ზრუნვის უპირველესი ობიექტი მოსწავლეა, მის კეთილდღეობაზე არიან ორიენტირებული როგორც ოჯახი, ისე სკოლა. თუმცა მასწავლებელიც ადამიანია და ხშირად ეჯახება დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვაც მარტოს უწევს. ყველა მისგან მოითხოვს მაქსიმუმს, მისი სულის ჭრილობები კი არავის აღელვებს. მასწავლებლები ამას შეჩვეულები ვართ, მაგრამ თუ ჩვენი მიზანი ადამიანთა კეთილდღეობა, მათი უფლებების დაცვაა, მასწავლებელსაც სჭირდება მხარდაჭერა.

მსურს, მოგიყვეთ რამდენიმე პრობლემურ შემთხვევაზე, რომელთა მოქმედ პირებს, რასაკვირველია, არ დავასახელებ. ყველა სახელი შეცვლილია. გიამბობთ კოლეგების მიერ მოყოლილ ისტორიებს.

პირველი ამბავი

ნანა მასწავლებლის სადამრიგებლო კლასი რთული სამართავი იყო. კლასში 35 მოსწავლე ირიცხებოდა. მათ შორის 12-14 ჰიპერაქტიური და რთული ქცევის ბავშვი გახლდათ. იყო რამდენიმე შშმ მოსწავლე, რომლებსაც დამრიგებლისგან განუწყვეტლივ სჭირდებოდათ მზრუნველობა. დამრიგებელი თავდაუზოგავად შრომობდა, ძალიან კარგი ურთიერთობა ააწყო მოსწავლეებთანაც და მშობლებთანაც.

ბექა სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, ცნობილი ბიზნესმენის განებივრებული შვილი იყო. ნანა მასწავლებელმა შეატყო, რომ კლასელების დაცინვა და პროვოცირება სჩვეოდა. ბავშვები ხშირად შესჩიოდნენ დამრიგებელს, მშობლებს, მანდატურებს. ნანა მასწავლებელი იბარებდა დედას. მამა საერთოდ არ ერეოდა შვილის სასკოლო ცხოვრებაში. დედა ყოველთვის შვილის პოზიციებს იცავდა და აცხადებდა, ამოჩემებული ჰყავთ, თორემ საუკეთესო ზნის ბავშვია და მიუხედავად იმისა, რომ ქცევის პრობლემები კლასში ბევრ მოსწავლეს აქვს, მასწავლებლები მხოლოდ ჩემი შვილის ცუდ ქცევას ამჩნევენო. ბექა უფროსკლასელ ბიჭებთან მეგობრობდა, რადგან ფიზიკურად სუსტი იყო და თუ პროვოკაციისთვის პასუხს მოსთხოვდნენ, თავის დაცვა გაუჭირდებოდა. მერვე კლასში იყო, როცა სკოლიდან გაიპარა, ნარკოტიკული ნივთიერება

მოიხმარა და ძლივს გადაარ-ჩინეს. მაშინ პირველად და უკანასკნელად მივიდა სკოლაში მისი ყოვლისშემძლე მამა და ყველას „ჰაერში აწევით“ დაემუქრა, ნანა მასწავლებელს კი უთხრა, რომ მან 14 წლის ბიჭთან სათანადო მოპყრობა არ იცოდა. ნანა მასწავლებელ-მა აღიარა, რომ ნამდვილად არ იცოდა, ბექასთან როგორ მოქცეულიყო, იმდენად რთული და არაპროგნოზირებადი იყო მისი ქცევა, რომელიც უფრო და უფრო უარესდებოდა, რადგან ბავშვი მშობლებისგან სრულ თანადგომას გრძნობდა და მასწავლებლებს უპატივცემუ-ლოდ ექცეოდა. გაკვეთილებზე უნებართვოდ გადი-გამოდი-ოდა, ცეკვავდა, მღეროდა, ხმაურობდა, საკლასო ოთახში უვარდებოდა სხვა მასწავლებ-ლებს. ერთხელაც, ერთ-ერთ გაკვეთილზე, ორ ბიჭს გადაეკი-და. დასცინოდა, თან სკამებს აბრუნებდა, ხმაურობდა. ერთმა ბიჭმა მისი ქცევა ტელეფონით ჩაიწერა. მასწავლებელმა დაინახა, რომ მის გაკვეთილზე ვიდეოჩანაწერი გაკეთდა და ამ ორ ბიჭს ვიდეოს წაშლა მოსთხოვა. ბავშვები შეშინდ-ნენ და თქვეს, ბექას ქცევის ჩაწერა ნანა მასწავლებელმა დაგვავალაო. ბექამ ეს ყველაფერი მშობლებს უამბო. დედამისი კივილით მიუვარდა ნანა მასწავლებელს, ლანძ-ღავდა, ამცირებდა, სასამართ-ლოში ჩივილით ემუქრებოდა. ამავე მშობელმა მოისყიდა ორი მასწავლებელი, რომლებიც კოლეგის წინააღმდეგ მოქმე-დებდნენ. როცა საქმეს სკოლის დისციპლინური კომიტეტი განიხილავდა, იმ ორმა ბიჭმა კი აღიარა, რომ დამრიგებელს მათთვის არაფერი დაუვალე-ბია, მაგრამ მასწავლებელს ბევრი შეურაცხყოფისა და ცილისწამების ატანა მოუხდა და მან დატოვა სადამრიგებლო კლასი, რომელთანაც 4 წელი იმუშავა და ძალიან უყვარდა. ის დარჩა საგნის მასწავლებლად, მაგრამ კლასზე ამ მოვლენებმა საშინლად იმოქმედა. საუკეთე-სო მოსწავლეები სხვა სკოლებსა თუ პარალელურ კლასებში გადავიდნენ და კლასის აკადე-მიურმა დონემ საგრძნობლად დაიწია, ნანა მასწავლებელი კი ამბობდა, რომ ბექას ოჯახთან კონფლიქტმა სერიოზულად დაუზიანა ფსიქიკა.

მეორე ამბავი

ეს ამბავი ნინო მასწავლებლისა და ლევანის ურთიერთობას ეხე-ბა. მეათე კლასი დაბალი აკადე-მიური მოსწრებისა იყო და ნინო თავს არ ზოგავდა, რომ საჭირო საგნობრივი კომპეტენციების ამაღლებაში დახმარებოდა, მაგრამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ რამდენიმე მოსწავლე ჩაერთო საგაკვეთილო აქტივო-ბებში, კლასის ერთი ნაწილი კი ყველაფერს ემიჯნებოდა.

ლევანი ნინო მასწავლებლის საგანში სუსტი იყო, არასდ-როს ასრულებდა დავალებებს და შემაჯამებელი ტესტების წერაც ძალიან უჭირდა, დაბალ ქულებს იღებდა. ერთ-ერთი შემაჯამებელი ტესტირების დროს ლევანმა ნინო მასწავ-ლებელს კლასის გასაგონად სთხოვა, რომ ნება დაერთო, სახლში წაეღო ტესტი და

მეორე დღეს მოეტანა, რაზეც, რასაკვირველია, უარი მიიღო. ლევანი მასწავლებელს არ ეშვებოდა, მაგრამ ის ცივ უარზე იყო. მაშინ ლევანმა ზიზღით გამოცრა: ეს რომ გაიგო, ადამიანი უნდა იყო და თქვენ ხომ ჩემს თვალში ადამიანი არ ხართო! ნინო მასწავლებელს

როცა მასწავლებელი ხდება მშობლის ან მოსწავლის მხრივ ჩაგვრისა და უღირსი მოპყრობის მსხვერპლი, სამწუხაროდ, თვით მასწავლებელს არ ჰყავს დამცველი. წერილის მიზანია, სასკოლო საზოგადოება ამ პრობლემაზე დააფიქროს, რადგან მასწავლებელიც ადამიანია და მასაც აქვს უფლებები, პროფესიული თუ პიროვნული ღირსება, რომლის შელახვის უფლება არავის უნდა ჰქონდეს.

თითქოს მდუღარე გადაასხესო. არაფრით დაუმსახურებია ამ ბიჭის აგრესია და სიძულვილი, ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა. როცა ნინომ სამასწავლებლოში კოლეგებს შესჩივლა ამ ინციდენტის შესახებ, მათ ურჩიეს, სკოლის დისციპლინურ კომიტეტში საჩივარი შეეტანა და მოსწავლის დასჯა მოეთხოვა. დისციპლინურმა კომიტეტმა განიხილა შემთხვევა და ლევანი ათი დღით დაითხოვა სკოლიდან, რის გამოც მასწავლებელს მისი გაცოფებული დედა და და მიუცვივდნენ და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღეს. მასწავლებელს წონასწორობა არ დაუკარგავს, რამაც უფრო მეტად გააბოროტა მოსწავლის და და მან ბევრი შეურაცხმყოფელი სიტყვა აკადრა მასწავლებელს.

მართალია, გავიდა ხანი და ნინო მასწავლებელმა ლევანსა და მის მშობელთან ურთიერთობა დაარეგულირა, მაგრამ ეს ეპიზოდი მის ცხოვრებაში კომმარულ მოგონებად და უღრმეს სულიერ ჭრილობად ჩაიწერა.

მესამე ამბავი

თეო მეხუთე კლასში იყო, როცა მათთან ნია მასწავლებელი შევიდა. კლასმა მასწავლებელი კარგად მიიღო და ნიასაც უხაროდა ამ ცელქ, საყვარელ ბავშვებთან მუშაობა. ერთხელაც ბავშვებს პრეზენტაციები უნდა წარმოედგინათ არასასკოლო მხატვრულ ტექსტებზე. თეომ პრეზენტაცია მოამზადა ძალიან ცნობილ სასიყვარულო რომანზე, რომლის რამდენიმე ეკრანიზაციაც არსებობს და რომლის კითხვაც მეხუთეკლასელისთვის ნაადრევია. პრეზენტაციაში არ იყო გათვალისწინებული მასწავლებლის რეკომენდაციები, მოსწავლე კითხულობდა წვრილი ასოებით უზარმაზარ პოსტერზე გადატანილ რომანის სიუჟეტს და კლასმა მოიწყინა. როცა მასწავლებელმა შეახსენა, რომ სხვებსაც უნდა წარმოედგინათ ნამუშევრები და სთხოვა, მოკლედ გადმოეცა სათქმელი, ბავშვი ატირდა და პრეზენტაცია შეწყვიტა. მასწავლებელმა დაუყვავა, შეუქო შრომა და გულისხმიერება, აუხსნა, რომ ამგვარ პრეზენტაციებზე დიდი ტექსტების კითხვა არ არის საჭირო, პოსტერებზე მხოლოდ მთავარი მესიჯები უნდა იყოს გამოტანილი მსხვილი შრიფტით. პრეზენტაცია 7 ქულით შეფასდა. მეორე დღეს ნია მასწავლებელს სკოლაში მიუვარდა მშობელი, რომელიც ისტერიულად ტიროდა, მასწავლებელს უკიოდა და ხმამაღლა ლანძღავდა, ეუბნებოდა, რომ ბავშვმა ბევრი იშრომა ამ დავალებაზე, მასწავლებლის შეფასებამ კი მოტივაცია დაუკარგა. ცოტა ხანში ნია მასწავლებელმა ნახა, რომ მშობელს ფეისბუქზე გამოექვეყნებინა საპრეზენტაციო პოსტერის ფოტო და წერდა, რომ მის შვილს უსამართლო, მჩაგვრელი, უვიცი მასწავლებელი ჰყავდა, რომელმაც ბავშვს სწავლის სურვილი ჩაუკლა და კლასის წინაშე დაამცირა, რომ სამოც წელს გადაცილებული მასწავლებლები საერთოდ არ უნდა ასწავლიდნენ სკოლებში. ნია მასწავლებელს სამოც წლამდე მრავალი წელი აკლდა, მაგრამ მეტისაც რომ ყოფილიყო, განა ეს ეიჯიზმი და ადამიანის ღირსების საჯაროდ შელახვა არ არის? მასწავლებელმა დაურეკა ბავშვის მამას, რომელმაც მეუღლის ქცევის გამო ბოდიში მოიხადა და დაჰპირდა მასწავლებელს, რომ მას ამ პოსტს წააშლევინებდა. პოსტი მართლაც წაიშალა, მაგრამ მანამდე უამრავმა ადამიანმა წაიკითხა მასწავლებლის ღირსების შემლახველი და ცილისმწამებლური ტექსტი. რაც შეეხება კლასის წინაშე ბავშვის დამცირების ბრალდებას, როცა კლასში შეთანხმებულები არიან, რომ ყველა საჯაროდ ჩაატარებს პრეზენტაციას და მასწავლებელი შეაფასებს თითოეული მათგანის სუსტ და ძლიერ მხარეებს, განა ეს მოსწავლის უფლებების დარღვევაა?

მეოთხე ამბავი

ქალბატონმა ნატამ სადამრიგებლოდ მეხუთე კლასი ჩაიბარა. მშვიდი, უწყინარი, მეგობრული კლასი იყო, მაგრამ მასწავლებელი ამჩნევდა, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს ბავშვები სისტემატურად დასცინოდნენ. გოგონაც ღიზიანდებოდა და ცუდ სიტყვებს ეუბნებოდა კლასელებს. მალე დამრიგებელმა შეამჩნია, რომ კლასი კასტებად დაიყო. ცალკე იყვნენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, პრივილეგირებული ბავშვები და ცალკე - შედარებით თავისუფალი, სწავლაში პასიური, თუმცა უზომოდ ნიჭიერი და მრავალფეროვანი უნარების მქონე მოსწავლეები. დამრიგებლობის მეოთხე წელი იდგა, კონფლიქტი კი უფრო და უფრო ღრმავდებოდა. პრივილეგირებული ჯგუფის მშობლები სულ იმ გოგონას დასჯას მოითხოვდნენ. ერთხელ ერთ-ერთი ბავშვის დაბადების დღეზე გადაღებული ფოტო დადეს და მიაწერეს, რომ მხოლოდ ამ ფოტოზე აღბეჭდილი ბავშვები იყვნენ კარგები და საამაყოები, რომ სხვებს შურდათ მათი და ა. შ. უფსკრული უფრო და უფრო

ღრმავდებოდა. დამრიგებელმა სცადა ბავშვებთან საუბარი, მაგრამ პრივილეგირებულთა ჯგუფს ეტყობოდა საშინელი არაკეთილგანწყობა მის მიმართ.

ერთხელაც, როცა სკოლაში ღია კარის დღე იყო, ბოლო გაკვეთილის დასრულებისთანავე ერთი მშობელი საკლასო ოთახში შევარდა და ბავშვებს ქუჩურად დაუწყო საქმის გარჩევა. ყვიროდა, რომ ბულინგის მსხვერპლი გოგონა და მისი მეგობრები დღიურში მის შვილზე ცუდ რამეებს წერდნენ. ბავშვს ემუქრებოდა, სკოლიდან კი არა, პლანეტიდან გაგასახლებო. ბავშვები დაიზაფრნენ, ატირდნენ. მასწავლებელმა ვერ შეაჩერა გამძვინვარებული მშობელი, რომელიც თანამდებობის პირი მეუღლით იმუქრებოდა, ამბობდა, ხომ იცით, რომ ჩემთვის ყველაფერი ხელმისაწვდომიაო, აფრიალებდა დღიურის ფოტოებს, რომლებიც პრივილეგირებულთა ჯგუფიდან რომელიღაც მოსწავლეს ფარულად გადაეღო – იქ კლასელებზე მართლაც ეწერა გარკვეული ფრაზები.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვი კლასელის მშობლის მხრივ ასეთმა მოპყრობამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. მისი მშობლებიც აღშფოთებულები იყვნენ და სამართალს დამრიგებლისგან მოითხოვდნენ.

საღამოს მასწავლებელმა დაურეკა მოძალადე მშობელს და უთხრა, რომ მან დაარღვია ბავშვის უფლებები, სასტიკად მოეპყრო მას და ა. შ. შეშინებულმა მშობელმა დამრიგებელზე რევანში დაისახა მიზნად, აიყოლია სამი მშობელი და დაიწყო ომი მასწავლებლის წინააღმდეგ. ეს იყო ცილისწამებებზე დაფუძნებული საზარელი კამპანია. „გაღმა შეედავეს“ პრინციპით, დედამ საჩივრით მიმართა სკოლის დირექციას. სკოლის დისციპლინური კომიტეტი საქმეს თვეების განმავლობაში განიხილავდა. მოსწავლეების უმრავლესობას არ სურდა, რომ დამრიგებელს კლასი დაეტოვებინა, მაგრამ ამ ოთხი მშობლის აგრესია და სიძულვილი იმდენად დიდი და აუტანელი იყო, რომ მას დამრიგებლობაზე უარის თქმა მოუხდა. საგანს კიდევ ერთი სემესტრი ასწავლიდა, მაგრამ ეს მშობლები ცილისწამებას არ წყვეტდნენ. მასწავლებელი დაიღალა და საგნის სწავლებაზეც უარი თქვა. მასწავლებლის წასვლამ ორ ბანაკად გაყოფილ კლასში კონფლიქტი კიდევ უფრო გააღრმავა და ბოლომდე მოუგვარებელ პრობლემად აქცია.

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლები სცოდავენ მოსწავლეთა წინაშე, ეპყრობიან მათ არაკორექტულად, უგულისყუროდ, სამწუხაროდ, არის მოსწავლეზე ზეწოლის, ნიშნებით მანიპულირების შემთხვევებიც. ამ დროს ძნელია ე. წ. „მუნდირის ღირსების“ დაცვა და კოლეგისთვის სოლიდარობის გამოცხადება, მაგრამ როცა მასწავლებელი ხდება მშობლის ან მოსწავლის მხრივ ჩაგვრისა და უღირსი მოპყრობის მსხვერპლი, სამწუხაროდ, თვით მასწავლებელს არ ჰყავს დამცველი. წერილის მიზანია, სასკოლო საზოგადოება ამ პრობლემაზე დააფიქროს, რადგან მასწავლებელიც ადამიანია და მასაც აქვს უფლებები, პროფესიული თუ პიროვნული ღირსება, რომლის შელახვის უფლება არავის უნდა ჰქონდეს. მსგავსი შემთხვევების გამართლება იმით, რომ ბავშვის ინტერესები უზენაესი ღირებულებაა, საკითხის უტრირებაა. ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს უპირველესად თვით მასწავლებელი უფრთხილდება, მაგრამ მასაც სჭირდება თანადგომა ზემოთ აღწერილთა მსგავსი სიტუაციების დროს. ბევრი ახალგაზრდა მასწავლებლისა და პროფესიაში შემსვლელი ადამიანისგან გამიგონია, რომ მასწავლებლისადმი ამგვარი განწყობის გამო არ სურთ სკოლებში მუშაობა. მასწავლებელი არ უნდა იქცეს მშობელთა იერიშების მომგერიებელ არსებად. მისი საქმიანობა იმსახურებს პატივისცემას, რაც სჭირდება არა მხოლოდ თვით მასწავლებელს, არამედ - და, შესაძლოა, უფრო მეტადაც - მოსწავლესა და მშობელსაც, რომ პოზიტიური თანამშრომლობით სკოლაში რეალიზებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ლელა მანგოშვილი

მიზნების დასახვის ადრეულ ეტაპზე სწავლება

დაწყებით კლასებში მიზნის მიღწევის აქტივობები ფოკუსირებული უნდა იყოს საბაზისო უნარების განვითარებაზე, თანამშრომლობის ხელშეწყობასა და პიროვნული ზრდის წახალისებაზე.

მიზნების დასახვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რომელიც სპეციფიკური უნარების ერთობლიობაზეა დაფუძნებული.

მოტივაციის თეორია გვეუბნება, რომ ადამიანები ბუნებრივად არიან მიდრეკილნი მიზნების მიღწევისკენ, მაგრამ მიაღწევს თუ არა ადამიანი მიზანს, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: თვით მიზანზე, სიტუაციასა და მოტივაციის ტიპზე (Urhahne & Wijnia, 2023).

დაწყებით კლასებში მიზნის მიღწევის აქტივობები ფოკუსირებული უნდა იყოს საბაზისო უნარების განვითარებაზე, თანამშრომლობის ხელშეწყობასა და პიროვნული ზრდის წახალისებაზე.

ამგვარი აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაში, თავდაჯერების გაძლიერებაში.

გთავაზობთ საგანმანათლებლო პრინციპებსა და პრაქტიკულ საკლასო სტრატეგიებზე დაფუძნებულ რამდენიმე ეფექტურ აქტივობას.

SMART მიზნის დასახვა

ვასწავლოთ მოსწავლეებს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში შეზღუდული (SMART) მიზნების დასახვა და მათკენ ეტაპობრივად სვლა. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება ერთი თვის განმავლობაში ერთი ახალი წიგნის წაკითხვა დაისახოს მიზნად.

გამოვიყენოთ მარტივი სამუშაო ფურცლები, რომლებზეც მოსწავლეები დაწერენ თითო მიზანს (მაგ., „გავაუმჯობესო მართლწერა ერთი თვის განმავლობაში კვირაში ათი სიტყვის დაწერით“).

ეს სტრატეგიები ავითარებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ორგანიზებულობა, ანგარიშვალდებულება.

კლასის საგანძურის ძიება

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად ან მცირე ჯგუფებად, რათა შეასრულონ გაკვეთილთან დაკავშირებული დავალებები. მაგ., ეძებენ საგნებს, რომელთა სახელებიც იწყება კონკრეტულ ასოზე ან ხსნიან მარტივ მათემატიკურ ამოცანებ ოთახში; ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე ეძებენ საგნებს, რომლებიც განასახიერებს მატერიის სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობას (მაგ., ფანქარი – მყარ სხეულ, წყალი – სითხეს).

სასურველია, მივცეთ ბავშვებს მკაფიო ინსტრუქციები და განვუსაზღვროთ დროის ლიმიტი. თითოეული შესრულებული დავალება ფასდება ქულებით ან მცირე ჯილდოთი (მაგ., სტიკერით).

ეს სტრატეგია ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას გუნდური მუშაობისა და პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

მოსწავლეები მუშაობენ მცირე მასშტაბის პროექტზე, რომელიც დაკავშირებულია რეალურ პრობლემასთან, მაგალითად, მინიბაღის დიზაინზე ან სკოლაში ნარჩენების შემცირებაზე.

მოსწავლეები ჯგუფებში თანამშრომლობენ, იკვლევენ და წარმოადგენენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

როლური თამაშის სცენარები

მოსწავლეები წერენ სცენარებს, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ან პრობლემის გადაჭრას, მაგალითად, სათამაშო მოედანზე კონფლიქტის მოგვარებას, საკლასო ღონისძიების დაგეგმვას, კლასის წარმსოახვითი ბიუჯეტის დახარჯვას, სწავლობენ პრიორიტეტების განსაზღვრას და მოლაპარაკებას, ანაწილებენ როლებს (მაგ., მედიატორი, გუნდის ლიდერი), შემდეგ განიხილავენ მიღწეულ შედეგებს.

მიზანზე ორიენტირებული ხელოვნების პროექტები

მოსწავლეები ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ მიზანთან, მაგალითად, ილუსტრაციებით აფორმებენ თავისივე დაწერილ ისტორიას ან ხატავენ პოსტერს კლასის ღირებულების შესახებ (მაგ., სიკეთე); ქმნიან კლასის ფრესკას, სადაც თითოეული მოსწავლე წარმოადგენს ნამუშევარს, პირად მიზანს წლის განმავლობაში.

საკლასო მიზნის ქილა

საკლასო ოთახში დავდგათ ქილა, რომელშიც მოსწავლეები ყოველი მცირე მიზნის მიღწევის (მაგ., საშინაო დავალების შესრულების, თანატოლის დახმარების) შემდეგ ჩააგდებენ პომპონს ან ჟეტონს. როდესაც ქილა გაივსება, კლასს აჯილდოებენ – ფილმის ყურების დღით ან დამატებითი შესვენებით.

განვითარებული უნარები: თანამშრომლობა, მოტივაცია, პასუხისმგებლობა.

ყოველდღიური მიზნების დღიურები

მიზანი: ყოველდღიური რეფლექსიისა და თანდათანობითი პროგრესის წახალისება

დღის ბოლოს მოსწავლეები 5-10 წუთს უთმობენ ერთი მიღწეული შედეგისა და ხვალინდელი მიზნის წერილობით აღწერას ან დახატვას. მასწავლებლებს შეუძლიათ, მისცენ მინიშნებები, მაგალითად „რა გააკეთე კარგად დღეს?“ ან „რას ეცდები ხვალ?“.

განვითარებული უნარები: თვითშემეცნება, წერა, თანამიმდევრულობა.

ვასწავლოთ მოსწავლეებს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში შეზღუდული (SMART) მიზნების დასახვა და მათკენ ეტაპობრივად სვლა. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება ერთი თვის განმავლობაში ერთი ახალი წიგნის წაკითხვა დაისახოს მიზნად.

დაბრკოლებების გადალახვის გამოწვევა

მიზანი: ფიზიკური აქტივობის საშუალებით გამძლეობისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება.

აქტივობა: მარტივი დაბრკოლებების ტრასის მოწყობა (მაგ., მაგიდების ქვეშ ძრომა, კონუსებზე ხტომა). თითოეული სადგური წარმოადგენს „მიზანს“, რომლის მიღწევაც აუცილებელია. მნიშვნელოვანია განხილვა, როგორ დაეხმარა მოსწავლეებს შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში.

განვითარებული უნარები: შეუპოვრობა, ფიზიკური კოორდინაცია, გუნდური მუშაობა.

კითხვის მარათონი

მოსწავლეები მიზნად ისახავენ თვეში განსაზღვრული რაოდენობის გვერდის წაკითხვას. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს პროგრესს და საკლასო ცხრილში ასახავს მის ეტაპებს (მაგ., ყოველი 50 გვერდის შემდეგ სტიკერით აჯილდოებს). სასურველია, აღვნიშნოთ მიღწევები პატარა წვეულებით ან სერტიფიკატებით.

განვითარებული უნარები: წიგნიერება, მიზნების თვალყურის დევნება, მოტივაცია.

სიკეთის მიზნების პროექტი

მიზანი: სოციალურ-ემოციური სწავლის ხელშეწყობა სიკეთის მეშვეობით.

მოსწავლეები მიზნად ისახავენ, შეასრულონ განსაზღვრული რაოდენობის კეთილი საქმე (მაგ., კვირაში ხუთი). თავიანთ ქმედებებს ისინი რვეულში იწერენ და ამ ისტორიებს ყოველკვირეულ წრეზე უზიარებენ ერთმანეთს.

განვითარებული უნარები: თანაგრძნობა, კომუნიკაცია, სოციალურიუნარები.

ცხოვრების ბორბალი

ცხოვრების ბორბალი სახალისო გზაა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიზნების დასახვისთვის. მოსწავლეები ხაზავენ წრეს და ყოფენ თანაბარ სეგმენტებად (თითქოს პიცას ჭრიან ნაჭრებად). თითოეულ სეგმენტზე წერენ ცხოვრების თითო მნიშვნელოვან სფეროს (მაგ: „ოჯახი“, „მეგობრები“, „სკოლა“, „ჰობი“, „ჯანმრთელობა“ და „გართობა“). თითოეული სფეროსთვის ჩამოწერენ მიზნებს, რომელთა მიღწევაც სურთ.

ეს აქტივობები შექმნილია საგანმანათლებლო კვლევის საფუძველზე, რომელიც ასაბუთებს მიზნების დასახვისა და აქტიური სწავლების მნიშვნელობას ადრეულ განათლებაში.

შესაძლებელია მათი ადაპტირება საგნობრივი მიმართულებებისა და საფეხურების მიხედვით.

მიზნების დასახვის ადრეულ ეტაპზე სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას.

გამოყენებული რესურსი:

1. მოტივაცია და მიზნები https://positivepsychology.com/goal-setting-students-kids/#why-teaching-goal-setting-early-on-matters

ნათია ნაფეტვარიძე

„ეს მე ვარ“, ანუ ნამდვილისა და ყალბის გარჩევის უნარი ციფრულ ეპოქაში

ერთ ზღაპარში პერსონაჟი თავის დაკარგულ დას ეძებს. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაივლის და მიაგნებს კოშკს, სადაც მისი და ჰყავს ავსულს გამოკეტილი. ანტაგონისტი უამრავ ურთულეს დავალებას აძლევს, ოღონდ კი ტყვე არ გაათავისუფლოს. მთავარი გმირი ყველა დაბრკოლებას გადალახავს და ჯადოქარი მას ოთახში შეიყვანს, სადაც და დახვდება, მაგრამ ეს ბოლო ამოცანა ყველაზე რთული აღმოჩნდება: დასთან ერთად ოთახში უამრავი გოგონაა, მასავით ჩაცმული და მისი მსგავსი. ბიჭს უწევს, ამ უამრავი ერთნაირიდან თავისი და ამოარჩიოს, სხვაგვარად მარცხისთვის არის განწირული. აქ იწყება ამბავი: ყველა ერთნაირად იქცევა, ერთი მიატრიალებს თავს – დანარჩენებიც მიტრიალდებიან, ერთი გაიხედავს – სხვებიც მას ბაძავენ... პროტაგონისტი საგონებელშია. მაგრამ, აი, ხდება რაღაც განსხვავებული, ბიჭი ამჩნევს, რომ ყველანი ჰაერში ასოების მოხაზვას იწყებენ, მაგრამ მხოლოდ ერთი წერს: „ეს მე ვარ“. დანარჩენები უბრალოდ იმეორებენ მის ქცევას და გაურკვევლად, უმისამართოდ ამოძრავებენ ხელებს. ეს გახდება გამარჯვების მომტანი – ყმაწვილი ათას ერთნაირ არსებაში ამოიცნობს დას და ბოროტის კლანჭებიდან დაიხსნის, ყალბისა და ნამდვილის ერთმანეთისგან გარჩევის უნარი დაეხმარება, სიკვდილს გადაარჩინოს ყველაზე ძვირფასი.

ასეა ჩვენს სინამდვილეშიც – ხშირად გვიწევს ცრუსა და ნამდვილის ერთმანეთისგან გარჩევა, რაც უმეტესად სულაც არ არის ადვილი.

ეს ზღაპარი განსაკუთრებით აქტუალური ხდება ჩვენს დროში – ინფორმაციის ეპოქაში, როცა ყალბთა შორის ჭეშმარიტის ამორჩევა ხშირად გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

დღეს, როცა ყველა ადამიანს (და არა მხოლოდ ადამიანს – ხელოვნურ ინტელექტსაც) შეუძლია ინფორმაციის გავრცელება, ყოველდღიურად ვაწყდებით ზღაპარში აღწერილი სცენის ციფრულ ანარეკლს. სოციალური ქსელები, ახალი ამბების ვებგვერდები, ვიდეოპლატფორმები – ყველა ივსება ერთნაირი შინაარსით, იმეორებს ერთმანეთს ვიზუალურადაც, ტექსტითაც და აზრობრივადაც.

პრობლემა ის არის, რომ ამ ნაკადში ჭეშმარიტი ინფორმაცია (ზღაპრისეული ნამდვილი და) ადვილად შეიძლება ჩაიკარგოს იმიტაციებს შორის, რომლებიც ან განზრახ გვატყუებს, ან, უბრალოდ – გაუაზრებლად იმეორებს.

დეზინფორმაცია და მითები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიზუალურად და ემოციურად „დამაჯერებლადაა“ შეფუთული, ხშირად იმარჯვებს. სოციალური მედიის ალგორითმები უპირატესობას ანიჭებს იმას, რაც მარტივად ვრცელდება, რაც ძლიერ ემოციებს აღძრავს. მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ჭეშმარიტება.

ზღაპრის მსგავსად, ყველაფერი „ერთნაირი“, არცთუ იშვიათად, ცარიელი იმიტაციაა. მხოლოდ დაკვირვება, განსჯა და კითხვების დასმა შეიძლება დაგვეხმაროს ნამდვილის ამოცნობაში.

და მაინც, როგორ ამოვიცნოთ „ნამდვილი“?

ზღაპრის გმირის გამარჯვება ეფუძნება არა ჯადოქრობას, არამედ ყურადღებას: მან დაკვირვებულობის წყალობით შეამჩნია ის, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა: მხოლოდ ერთი არსება არ იმეორებდა ქმედებას მექანიკურად, არამედ ქმნიდა აზრს – „ეს მე ვარ“.

ასევეა რეალურ ცხოვრებაშიც. საწუხაროდ, ამ პრობლემას ხშირად

ციფრულ ეპოქაში, ჩვენც ვდგავართ ოთახში, რომელიც სავსეა ასობით „ინფორმაციული ტყუპისცალით“. ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს: ათეულობით სტატია ერთ თემაზე; ფოტოები, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში მეორდება; ვიდეოები, რომლებიც ემოციებს აღძრავს, მაგრამ არასწორად წარმოგვიდგენს სინამდვილეს.

ჩვენი – მასწავლებლების, მშობლებისა და საზოგადოების – მისიაა, ვასწავლოთ მომავალ თაობას იმის დანახვა, რაც ზედაპირზე არ ტივტივებს. ვასწავლოთ მათ, რომ კრიტიკული აზროვნება თავისუფლების გზაა.

ვხვდებით ჩვენს მოსწავლეებთანაც, რომლებსაც, გამოუცდელობის გამო, უფრო მეტად უჭირთ სიყალბესთან გამკლავება.

დღეს, ციფრულ ეპოქაში, ჩვენც ვდგავართ ოთახში, რომელიც სავსეა ასობით „ინფორმაციული ტყუპისცალით". ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს: ათეულობით სტატია ერთ თემაზე; ფოტოები, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში მეორდება; ვიდეოები, რომლებიც ემოციებს აღძრავს, მაგრამ არასწორად წარმოგვიდგენს სინამდვილეს...

ამ ყველაფერში რთულია ნამდვილის ამორჩევა. ყველა იმეორებს, ეს მე ვარო, მაგრამ მხოლოდ ერთი ქმნის აზრს, ატარებს შინაარსს. ისევე, როგორც ზღაპარში, ყალბისა და ნამდვილის გარჩევის უნარი გადამწყვეტია გადარჩენისთვის.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამ „ოთახში" სწორად ორიენტირებაში?

ვასწავლოთ დაკვირვება სიღრმისეულზე და არა მხოლოდ ფორმაზე: ვასწავლოთ, რომ ინფორმაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია არა ის, როგორ გამოიყურება, არამედ რას ამბობს და რატომ ამბობს.

გავიხსენოთ: ზღაპარში ყველა გოგონა იმეორებს მოძრაობას, მაგრამ მხოლოდ ერთი ქმნის შინაარსს – წერს: „ეს მე ვარ".

ვასწავლოთ მუშაობა წყაროზე - ვინ ჰყვება ამბავს? ვასწავლოთ მოსწავლეებს, დაასრულონ კითხვა: „საიდან მოდის ეს ინფორმაცია და რატომ მითხრეს ეს?"

გავიხსენოთ: ზღაპარში ყველა გოგონა ერთნაირი ჩანს, მაგრამ ნამდვილობის მოწმობა მხოლოდ ერთს აქვს – მისი მოქმედება არა მექანიკური, არამედ შეგნებული, გააზრებულია.

ვასწავლოთ ფაქტების გადამოწმება – სოციალურ მედიაში გავრცელებული ამბების გადამოწმება მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა იქცეს ჩვეულ პრაქტიკად.

გავიხსენოთ: ზღაპარში ყმაწვილი არ შეაცდინა მასობრივმა ქცევამ, დაკვირვებით გაარჩია ნამდვილი იმიტაციისგან.

ვასწავლოთ ემოციური გავლენის შეფასება – სტატიის ან პოსტის შეფასებისას ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა: რატომ მემართება ასე? ცდილობს თუ არა ინფორმაცია, ჩემზე ემოციურად იმოქმედოს და არა მცოდნე ადამიანად მაქციოს?

გავიხსენოთ: ზღაპარში მხოლოდ ერთი გოგონა გადმოსცემს მესიჯს, დანარჩენები ცდილობენ, ცრუ რეაქციებით მიიზიდონ ბიჭი.

ვასწავლოთ მოსწავლეებს კრიტიკული კითხვების დასმა ინფორმაციის შესამოწმებლად: ვინ ავრცელებს ინფორმაციას? (წყაროს შეფასება) არსებობს თუ არა მტკიცებულება? (შინაარსის ღირებულება). ემოციურ გავლენას ახდენს წაკითხული? (მანიპულაციის გამოვლენა) შეგვიძლია თუ არა გადამოწმება? (ფაქტების დადასტურება) როგორ ემსგავსება ეს ინფორმაცია სხვა წყაროებს? (შედარებითი ანალიზი)

ზღაპრის გმირი მხოლოდ ფიზიკური დაბრკოლებების გადალახვით არ აღწევს მიზანს - ის სიღრმისეული დაკვირვებით, კრიტიკული ანალიზით, აზრის წაკითხვით იპოვის ძვირფასს და გაიმარჯვებს.

იგივე გვმართებს დღესაც – ბავშვსაც, ზრდასრულსაც, მასწავლებელსაც.

ჩვენ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, როგორ დააკვირდნენ და ამოიცნონ, როცა ყველა ამბობს: „ეს მე ვარ".

შეგნებული კითხვა, დამოუკიდებელი ფიქრი და ფაქტების გამორჩევა არის ის გზა, რომელიც არა მარტო ინტერნეტში, არამედ ცხოვრებაში გვეხმარება „ნამდვილისა" და „ყალბის" გარჩევაში.

დღევანდელ სამყაროში, სადაც ასეულობით „ინფორმაციული ხმა" ერთდროულად გვეძახის, ჭეშმარიტების ამოცნობა ხშირად ზღაპრულ ვმირად გვაქცევს. ჩვენ, ამ პატარა ბიჭივით, ვდგავართ ოთახში, სადაც ყველას ერთი სახე აქვს, ყველა ერთნაირად იქცევა, ყველა ამბობს: „მე ვარ". მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ერთი ქმნის აზრს, ამყლავნებს თავს და იმსახურებს ნდობას.

ჩვენი – მასწავლებლების, მშობლებისა და საზოგადოების – მისიაა, ვასწავლოთ მომავალ თაობას იმის დანახვა, რაც ზედაპირზე არ ტივტივებს. ვასწავლოთ მათ, რომ კრიტიკული აზროვნება თავისუფლების გზაა.

იმისთვის, რომ ბავშვმა ამოიცნოს, ვინ ამბობს: „ეს მე ვარ", – უნდა შეეძლოს კითხვა, დაკვირვება, გაჩერება და ფიქრი.

მთავარი გმირივით, ჩვენც უნდა ვისწავლოთ ყალბისა და ნამდვილის გარჩევა. როცა ყველა ამბობს: „მე ვარ", მხოლოდ დაკვირვებულ გონებას შეუძლია, ამოიცნოს ის ერთი, ვინც აზრს წერს ჰაერში. და თუ ამას ბავშვებსაც ვასწავლით, ისინი არ დაიკარგებიან ინფორმაციის ზღაპრულ, მაგრამ ხშირად დამაბნეველ ლაბირინთში – მათ ეცოდინებათ, როგორ იპოვონ ჭეშმარიტება მაშინაც კი, როცა ის ყველაზე ჩუმად ხმიანობს.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge